პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- — რეინის ნავთსადგურების მუშათა გაფიცვა. — გაფიცულია 10.000 კაცი.
- — დამთავრდა საიდუმლო პოლიტიკურ მკვლელობათა მონაწილეების პროცესი.
- — ემდენის (გერმანია) ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია კომუნისტი ვენდტი.
- — რომში დამთავრდა იტალიელ კომუნისტების დიდი პროცესი.
- — ვენის მუშათა უბანში გახსნეს ლასალის ძეგლი.
- — ამანულა-ხანი ლენინგრადში.
- — გრიგალი კიევში და მინსკში. მოკლულია ერთი, დაჭრილია რამოდენიმე კაცი.

პარასკევი, 11 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 107 (2150)

12 მაისს, საღამოს 6 საათზე,
სასახლის წითელ დარბაზში
გაიხსნება
საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის
მორიგი პლენუმი
საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო
კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი

მივეშველოთ ქუთაისს

ქუთაისს მოულოდნელად საშინელი უბედურება დაატყდა თავს. ცეცხლის სტიქიამ იმსხვერპლა მისი ერთ-ერთი უდიდესი უბანი. ჯერ კიდევ საბოლოოთ გამორკვეული არაა ის მატერიალური ზარალი, რომელიც ცეცხლმა მიაყენა ქალაქსა და მოსახლეობას, ჯერ კიდევ არავინ იცის რამდენი ადამიანი შეიწირა აბობოქრებულ ცეცხლის ალმა.

ეხლა, როდესაც იწერება ეს წერილი, ცეცხლი ისევ მძვინვარებს და უკვე არის ცნობა, რომ წინასწარი დაახლოებითი გამოანგარიშებით ზარალი მილიონ მანეთებით განიზომება, რომ უკვე აღმოჩენილია ადამიანთა რამოდენიმე მსხვერპლის შემაძრწუნებელი შემთხვევები.

ქუთაისის ქუჩები მოფენილია უსახლკაროთ დარჩენილ მოსახლეობით, ქალაქის ბაღები და მოედნები გაჭედილია ცეცხლის ალიდან გადარჩენილ ნივთებით. ქუთაისის მთელი მოსახლეობა ფეხზე დგას. ყველაზე უფრო საგულისხმო აქ ის არის, რომ უბედურება განსაკუთრებით თავს დაატყდა ისედაც მატერიალურად და კულტურულად დაბეჩავებულ ებრაელ ღარიბ-ღატაკ მოსახლეობას.

უბედურება უთუოდ იმდენად დიდია, რომ მისი შედეგების დაძლევა მარტო ქუთაისს არ ძალუძს. საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ძალთა სასწრაფო მობილიზაცია, რომ მოუშუშებულ იქნას ის მწვავე იარა, რომელიც ცეცხლის სტიქიამ მიაყენა ჩვენს ერთ-ერთ დიდ ქალაქს.

ძნელია აქედანვე იმ დანაკლისის გათვალისწინება, რომელსაც გარდა პირდაპირი ზარალისა, უქადის ქუთაისს ცეცხლის სტიქია. ქალაქის ნორმალური სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრება უკვე დაირღვა არაჩვეულებრივ უბედურ შემთხვევის გამო. ადგილობრივ ძალთა მთავარი ყურადღება უახლოესი პერიოდის განმავლობაში მიპყრობილი იქნება უბედურებათა ლიკვიდაციისაკენ.

კვლავ ხაზგასმით ვიმეორებთ, მარტო ქუთაისი ამ ბრძოლაში უძლური იქნება. საბჭოები, პარტორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები, ყველა სახის ნებაყოფლობითი ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ დახმარების საქმის ორგანიზაციას. ძმური დახმარება დამწვარ ქუთაისს, აი რა უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც წაიკითხავს დღევანდელ ცნობებს ქუთაისში მომხდარ უბედურების შესახებ.

სოციალისტური აღმშენებლობის მტერია არა მარტო ჩვენი კლასიური მტრები, არამედ სტიქიური უბედურებანიც, — რომელნიც ჩვენთვის მით უფრო საშიშია, რაც უფრო ჩამორჩენილი ვართ ეკონომიურად და ტეხნიკურად. მოუსავლობა, მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი და სხვა ამგვარი მოვლენები, არა ერთხელ დასტეხია თავს საბჭოთა რესპუბლიკებს. ჩვენ ვიცით თავის გრანდიოზულობით გაუგონარი საშინელება როგორიც იყო 1921 წელში ვოლგის მხარის დამშევა, ჩვენ ვიცით საშინელი მიწისძვრის შემთხვევა ლენინაკანში და ყირიმში და სხვა. ყველა ასეთ შემთხვევაში ზარალი, რომელიც განიცადა ჩვენმა მეურნეობამ, ჩვენმა მშენებლობამ, აურაცხელი იყო. დიდი იყო აგრეთვე ადამიანთა მსხვერპლიც.

საბჭოთა ხელისუფლების მტრები იმედის თვალით შეჰყურებდენ თავიანთ მოკავშირე სტიქიის განმანადგურებელ მოქმედებას. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა შეკავშირებულმა ძალამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ჩვენ დავძლიეთ 1921 წლის შიმშილობა მაშინ, როცა საბჭოთა რესპუბლიკები ისედაც დამშეული და შევიწროებული იყვნენ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომისაგან. ჩვენ მით უფრო ვძლევთ დამწვარ ქუთაისის საშინელებას. ამისათვის საჭიროა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინიციატივის ფართედ გაშლა.

აღდგენილ უნდა იქნას ქუთაისის განადგურებული, დღეს ფერფლად ქცეული რაიონი, უნდა წარიშალოს ცეცხლის საშინელების კვალი. ქუჩაში დარჩენილ, უსახლ-კარო, უმწეო ღარიბ მოსახლეობას სასწრაფო ენერგიული დახმარება უნდა აღმოეჩინოს.

ამისათვის თავიდანვე საჭიროა სასტიკად განიდევნოს სასოწარკვეთილების ყოველგვარი განწყობილება.

უნდა მოეწყოს რეალური, სასწრაფო და სისტემატიური დახმარება.

სიტყვა მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას ეკუთვნის!!

ჩ ვ ე ნ ი წ ვ ლ ი ლ ი

„კომუნისტი"-ს რედაქციამ გადასდო „ქუთაისის ფონდისათვის"	350 მან.
„კომუნისტი"-ს რედაქციის თანამშრომლებმა	150 მან.
სულ . . .	500 მან.

განკარგულება მიეცა ჩვენი მთავარი კანტორის ქუთაისის განყოფილებას, დღესვე გადასცეს ეს თანხა დანიშნულებისამებრ.

პროლეტარულ რევოლუციონერის დასაცავად

ავსტრიის კანცლერი ზეიპელი აშკარათ ემუქრება სასტიკი სასჯელით ავსტრიის ბურჟუაზიის ტყვეს ამხ. ბელა კუნს. ზეიპელს სურს გადასცეს ბელა კუნი ავაზაკ ხორტის, რომელიც ცდილობს ხელში ჩაიგდოს სისხლში ჩახრჩობილ უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ბელადი. ლაყბობით ბელა კუნის „აგრესიულ მიზნების" შესახებ ზეიპელი მიზნად ისახავს არა მარტო ბირკენხედის და პუანკარეს გულის მოგებას, არამედ უშუალოდ ამზადებს საზოგადოებრივ აზრს ბელა კუნის გადასაცემად უნგრეთის ჯალათებისათვის.

ტყუილად ცდილობს კანცლერი თავის საზიზღარ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაფაროს იმით, რომ ის ეყრდნობა სასამართლოს ინსტანციებს, რომლებიც, თითქოს, საკითხს გადასწყვეტენ „კანონიერების, და მართლმსაჯულების" საფუძველზე. ჩვენ მშვენივრად ვიცით ნამდვილი ბუნება ამ „კანონიერებისა", რომელსაც ბურჟუაზია ფეხქვეშ სთელავს, როცა საქმე ეხება პროლეტარულ რევოლუციონერების დასჯას. თვით ავსტრიის ბურჟუაზიულმა პრესამაც კი ნათლად დაამტკიცა, რომ ბელა კუნის, გადაცემა უნგრეთის მთავრობისათვის იქნებოდა ავსტრიის კანონების და ავსტრიის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებების აშკარა დარღვევა. მაგრამ ბურჟუაზია მზადაა ფეხ-ქვეშ გასთელოს მის მიერვე შექმნილი კანონები, როცა საქმე ეხება კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ბრძოლას! ზეიპელის ლაყბობას სასამართლოს მიუდგომლობის შესახებ არღვევს მისივე პროვოკაციული განცხადება: „ავსტრია ვერ მოითმენს, რომ საკითხი ბელა კუნის თვითნებურ დაბრუნების შესახებ უმნიშვნელოდ იქნეს მიჩნეული".

რომ გავიგოთ ავსტრიის კანცლერის მუქარის ნამდვილი აზრი, საჭიროა მივმართოთ პუანკარეს ოფიციოზს „ტან"-ს. ეს პარიზის ბირჟის გაზეთი უხეშად და ბრძანების კილოთი მოითხოვს ავსტრიისაგან ბელა კუნის შეუბრალებელ და სასტიკ დასჯას. საფრანგეთის მევახშეების ხარჯზე მყოფი კალმის მეძავები უსინდისო და საზიზღარ ცილისწამების კამპანიას ეწევიან ბელა კუნის წინააღმდეგ, უწოდებენ მას „ავაზაკს და ჯალათს" და აცხადებენ, რომ თვით ავსტრიის ინტერესები მოითხოვენ, რომ ის დაეხმაროს ხორტის ბელა კუნის დასჯაში.

ასეთივე ხასიათის წერილს ათავსებს შვეიცარიის მთავრობის ოფიციალური ორგანო „ჟურნალ დე ჟენევ"-ში წითელი ჯვრის კომიტეტის ყოფილი დირექტორი ფონ-ლოდიჟენსკი. ეს პატივცემული ქრისტიანი ურჩევს ავსტრიის ხელისუფლებას, რომ მან ბელა კუნი გადასცეს საწამებლად უნგრეთის ჟანდარმებს.

გამხეცებულ რეაქციის მთელი სიძულვილი მუშათა კლასისა და მისი ავანგარდისადმი კომუნისტური ინტერნაციონალის სახით ამჟამად მიმართულია იმ ადამიანისაკენ, რომელიც მეთაურობდა მუშათა და გლეხთა რესპუბლიკას ევროპის შუა გულში. ჩვენი ამხანაგი ბელა კუნი ამჟამად ევროპის შავი რეაქციისათვის გახდა რევოლუციონურ მოძრაობის სიმბოლოთ და რეაქცია ცდილობს უნგრეთის რევოლუციის სახელოვანი ბელადის დასჯით შური იძიოს საბჭოთა კავშირის და მთელი ქვეყნის მუშებზე.

არ უნდა დაიკარგოს არც ერთი საათი, არც ერთი წუთი. საჭიროა ეხლავე შევაჩეროთ ჯალათების ხელი, ჯალათების, რომლებიც ამზადებენ საზიზღარ მკვლელობას.

ბელა კუნის ჯალათები სრულიადაც არ მალავენ, რომ მათი შურისძიებით მოშხამული ისრები მიმართულია არა მარტო ბელა კუნის, არამედ მთელი მსოფლიო რევოლუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. ოპერატიული ავსტრიის კანცლერი, რომელიც ბურჟუაზიულ გაზეთმა „ტან"-მა სამართლიანად შეადარა „ჭურჭლეულობის მაღაზიაში შესულ სპილოს", არ კმაყოფილდება გაბოროტებული გამოსვლით კუნის წინააღმდეგ. ის იმუქრება, რომ გამოაქვეყნებს ყველაფერს იმას, რაც „ჩვენ ამ საქმესთან დაკავშირებით გავიგეთ კომინტერნის მუშაობის შესახებ"-ო. ეს მან განაცხადა 6 მაისს. ხოლო იქამდის ერთი კვირით ადრე „ტან"-მა უკვე ავანსათ იცოდა, რომ ბელა კუნის დაპატიმრების დროს აღმოჩენილ დოკუმენტების გამოკვლევა დაამტკიცებს, რომ მისი ჩამოსვლის მიზანი იყო „ფართე მოძრაობის მოწყობა აჯანყების მიზნით ჯერ უნგრეთში, ხოლო შემდეგ მთელს ცენტრალურ ევროპაში". ამგვარათ ჩვენ უკვე ვიცით ავსტრიის „სპილოს" მუქარის უშუალო წყარო. ბოლდუინის და ბირკენხედის წარსული გამოცდილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ავსტრიის მთავრობისათვის არ იქნება ძნელი პუანკარეს დავალების შესრულება და იმის „დამტკიცება", რომ ბელა კუნი უშუალო საფრთხეს წარმოადგენდა არა მარტო უნგრეთის და ავსტრიის კეთილდღეობისათვის, არამედ აგრეთვე მთელი ცენტრალური ევროპისათვის.

ამ ყალბი დოკუმენტების დამამზადებელთა ამოცანა სავსებით ნათელია. ამ „დოკუმენტებმა" უნდა გაამართლონ საზიზღარი ბოროტმოქმედება, რომელიც ამჟამად მზადდება. სწორედ ამ მიზნით „ტან" ბელა კუნს უწოდებს „მოსკოვის ბრძანებათა ვულგარულ შემსრულებელს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას", რომელიც მოკლებულია „იმის საერთო გაგებასაც კი, რასაც თავხედურათ უწოდებენ მარქსისტულ იდეალს", ამ მიზნითვე ავსტრიის „სპილო" თავის მოვალეობათ სთვლის დაეხმაროს მეზობლებს, „რათა მათ შეეძლოთ ზომების მიღება და თავიდან აიცილონ აჯანყება და გადატრიალება".

პუანკარეს ორგანომ მშვენივრად იცის, რომ კომუნისტები არ წარმოადგენენ შეთქმულთა მცირე ჯგუფს. ქვეყანაში, სადაც ხდება ფრანკის სტაბილიზაცია, 1.100.000 ფრანგმა მუშამ მიუხედავათ სასტიკი დევნისა და ათასგვარ დაბრკოლებებისა „ნაციონალურ ერთიანობის" პარლამენტში გაიყვანა 14 დეპუტატი. საკმარისია პატარა ავსტრიიდან გაიხედოთ აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ, რომ დავრწმუნდეთ, რომ მრავალი მილიონი პროლეტარები გაბედულათ და თავგანწირულათ იბრძვიან კომინტერნის დროშის ქვეშ.

ავსტრიის კანცლერმა, რასაკვირველია, იცის ეს. მაგრამ მისი თვალები მიპყრობილია გამხეცებულ ხორტისაკენ ერთის მხრივ და ბირკენხედისა და პუანკარესაკენ მეორეს მხრივ.

მსოფლიო პროლეტარიატმა თავისი სიტყვა უნდა სთქვას. ბოროტმოქმედებამ, რომელსაც ამზადებენ პატარა ავსტრიაში, თავისი სისასტიკით და სისაძაგლით შეიძლება გადააჭარბოს იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც ჩაიდინეს საკოსა და ვანცეტის მიმართ. ბელა კუნის დაცვა საერთაშორისო მუშათა კლასის მოვალეობაა. პროტესტის ხმა ჯალათების წინააღმდეგ უნდა გაისმას ისე მძლავრად, რომ აცილებულ იქნას მოსალოდნელი საზიზღარი ბოროტმოქმედება.

თვითეული დღე, თვითეული საათი ძვირფასია. ბელა კუნისათვის სახრჩობელა უკვე მომზადებულია. მსოფლიო მუშათა კლასმა უნდა გამოჰგლიჯოს ჯალათებს ხელიდან ბელა კუნი, არ უნდა დაუშვას საზიზღარი მკვლელობა.

„პრავდა". 10 მაისი.

ლიტვის პრესა პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის შესახებ

„ზავი პოლონეთთან შესაძლებელია მხოლოდ ვილნოს დაბრუნების შემდეგ"

წარმატებით ვითარდება ლატვია-საბჭოთა ეკონომიური ურთიერთობა

ჩან-კაი-შიმ იკისრა სამხრეთის ჯარების ხელმძღვანელობა მუკდენის წინააღმდეგ

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

ინტერვიუ გოლუვკოსთან.

ვარშავა, 9 მაისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ, გოლუვკომ კოვნოში ლიტვის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ დღემდე ლიტვის საზოგადოებრივი აზრი უნდობლობით ეპყრობა პოლონეთს და სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ ლიტვას საფრთხე მოელის პოლონეთის მხრით. პოლონეთი, აყენებს რა წინადადებას თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ, აშკარავებს გულწრფელ დამოკიდებულებას ლიტვისადმი და ხაზს უსვამს, რომ პოლონეთის მთავრობას არავითარი მტრული ზრახვები არა აქვს ლიტვის მიმართ. ლიტვის დამოუკიდებლობა აუცილებელია ჩვენი ინტერესების თვალსაზრისითაც.

მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშობილ სახელმწიფოებს, როგორიც პოლონეთი და ბალტიის სახელმწიფოებია, საერთო ინტერესები აქვთ. (ადს).

გოლუვკო ბარიერის შექმნის შესახებ გერმანიასა და საბჭოთა კავშირის შორის

კოვნო, 9 მაისი. პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ გოლუვკომ ერთერთ კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული მისი სიტყვები ბარიერის შექმნის საჭიროების შესახებ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის—განაცხადა:

„ისტორია გვეუბნება, რომ პოლონეთის გაყოფა მოახდინეს გერმანიამ და რუსეთმა. პოლონეთი რაპალოს ხელშეკრულებას აფასებს, როგორც მის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეს".

ზავი მხოლოდ ვილნოს დაბრუნებით.

კოვნო, 9 მაისი. ქრისტიან დემოკრატების ორგანო „რიტას"-ი, უკეთებს რა კომენტარიებს გოლუვკოს ინტერვიუს, სწერს:

„ლიტვის ერი ზიზღით უარჰყოფს ურთიერთობას პოლონელებთან, სანამ უკანასკნელნი არ დასთანხმდებიან სერიოზულად დასვან საკითხი ვილენის დაბრუნების შესახებ. ზავი პოლონეთთან შესაძლებელია მხოლოდ ვილნოს დაბრუნების საშუალებით". (ადს).

დემონსტრაციის ჩაშლა

კოვნო, 9 მაისი. იმ სასტუმროს პირდაპირ, სადაც სცხოვრობს პოლონეთის დელეგაცია, შეიკრიბა სტუდენტების ჯგუფი. სტუდენტებს მიზნად ჰქონდათ გაემართათ დემონსტრაცია პოლონელების წინააღმდეგ, მაგრამ ისინი გაფანტა პოლიციამ (ადს).

ლატვია-საბჭოთა ეკონომიური ურთიერთობა

რიგა, 9 მაისი. ლატვია - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შემდეგ, ლატვიის პრესა „ბრივა ზემე"-ს სახით პირველად ათავსებს სტატისტიკურ ცნობებს სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირთან და აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებას დადებითი შედეგები მოჰყვა ლატვიისათვის.

„წინა წლებში — სწერს გაზეთი— გასული წლის ნოემბერშიაც კი ჩვენი ვაჭრობის ბალანსი საბჭოთა კავშირთან პასიური იყო. მიმდინარე წლის იანვარში და თებერვალში ჩვენ გვაქვს 700.000 ლატის აქტივი. ეს არაჩვეულებრივი მოვლენაა, ვინაიდან აქამდე ჩვენ გვქონდა უდიდესი პასივი". (ადს).

ბ რ ძ ო ლ ა ჩ ი ნ ე თ შ ი

იაპონია - ჩინეთის ჯარების შეტაკება

ტოკიო, 9 მაისი. ცზინანიდან მიღებული ცნობით, იაპონიის ბრიგადას, რომელიც დაირენიდან ცინდაოში მიდიოდა, ცზინანთან შეტაკება ჰქონდა სამხრეთელების მთავარ ძალებთან, რომლებსაც სარდლობს ჩენ - ჩაო-იუანი. ბრძოლაში იაპონელებს მოუკლეს 4 კაცი და დაუჭრეს 20. სამხრეთელებს სერიოზული ზარალი მოუვიდა, ბრძოლა გრძელდება. (ადს).

იაპონიის მოქალაქეთა ევაკუაცია იანცზინიდან.

ტოკიო, 9 მაისი. ხელისუფლებამ გადასწყვიტა ცინცზინში მცხოვრები ყველა იაპონელი მოქალაქეები გადაიყვანოს ხანკოუსა და შანხაიში, იაპონიის ფლოტის მფარველობის ქვეშ. (ადს).

ცზინანი დაიკავეს იაპონელებმა

ტოკიო, 9 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტომ გამოაქვეყნა იმ ულტიმატუმის შინაარსი, რომელიც სამხრეთის ჯარებს გადასცა შანდუნში მყოფ იაპონელ ჯარების სარდალმა ფუკუდამ. ცნობაში აღნიშნულია, რომ ულტიმატუმი უპასუხოდ დარჩა და იაპონიის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. უკანასკნელი ცნობებით, ბრძოლა სწარმოებს ჩენკაკუსთან, ცზინანის სამხრეთ - დასავლეთით. ცზინანი მთლიანად დაიკავეს იაპონელებმა. (ადს).

ჩან-კაი-ში ხელმძღვანელობს შეტევას პეკინზე

ტოკიო, 9 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ფინ-იუი-სიანის და ჩან-კაი-შის თათბირზე გადასწყდა, რომ ამიერიდან ჩრდილოეთის ლაშქრობას უხელმძღვანელოს ჩან-კაი-შიმ, ხოლო ადმინისტრატიული საქმეები და მოლაპარაკება ცზინანის შესახებ იკისროს ფინ-იუი-სიანმა. (ადს).

„ჩენ ბაო"-ს წერილი

პეკინი, 9 მაისი. „ჩენ ბაო" იაპონიის ჯარების სარდლის მიერ წარმოდგენილ ულტიმატუმის შესახებ სწერს: „ჩვენ არ გვაკვირვებს ულტიმატუმი, ვინაიდან **იაპონია სცდილობს ისევ ჩაიგდოს ხელში შანდუნი**".

გაზეთი ურჩევს ჩინელებს სიმშვიდე დაიცვან იმ საფრთხის წინაშე, რომელიც ემუქრება ჩინეთს, და წინადადებას აძლევს მათ შესწყვიტონ სამოქალაქო ომი, მოაწყონ სრულიად ჩინეთის კომიტეტი და უარჰყონ ულტიმატუმი.

ვარშავაში მომხდარ თავდასხმის შემდეგ

„გერმანია" ვოიცეხოვსკის თავდასხმის შესახებ

ბერლინი, 9 მაისი. ცენტრის ორგანო „გერმანია", უკეთებს რა კომენტარიებს ვოიცეხოვსკის თავდასხმას, სწერს:

„ემიგრანტის ტყვიამ ისევ საფრთხეში ჩააყენა პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა. ერთი წელიწადიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ბოგომოლოვის წინამოადგილე ვოიკოვი მოკლულ იქნა თეთრგვარდიელი მკვლელის მიერ და მხოლოდ დათმობისა და მოხერხებული პოლიტიკის წყალობით შესძლო პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა თავიდან აეცილებია ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან. ეხლაც ისე, როგორც მაშინ, საბჭოთა პრესა აღშფოთებულია და უსაყვედურებს პილსუდსკის, რომ მან არავითარი სერიოზული ზომები არ მიიღო საბჭოთა კავშირის ოფიციალურ წარმომადგენლობის დასაცავად. ბუნებრივია, რომ საბჭოთა პრესამ ვარშავაში მომხდარი თავდასხმა დაუკავშირა ბირკენხედის გამოსვლას ბერლინში და პუანკარე — ჩემბერლენის აგრესიულ გეგმებს საბჭოთა კავშირის მიმართ.

[illegible] ანობის დასაცავად კონფლიქტის რაც შეიძლება მოკლე დროში მოგვარება იმდენადვე სასურველი, რამდენადაც მეთვალყურეობის გაძლიერება ემიგრანტების საქმიანობაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტები, რომლებსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს". (ადს).

სანტოს და მისი ამხანაგების საქმე

ვენა, 9 მაისი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით, სასამართლოში რომელიც არჩევს სანტოს და მისი ამხანაგების საქმეს პროკურორმა გააფთრებით გაილაშქრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოიყვანა რა საბუთად ბელა კუნის დაპატიმრება ვენაში, წინადადება მისცა სასამართლოს გაძლიეროს პირველი ინსტანციის განაჩენი.

დამცველებმა აღნიშნეს, რომ სანტოს და მისი ამხანაგების მუშაობასა და ბელა კუნის დაპატიმრებას შორის არავითარი კავშირი არ არის. (ადს).

ბელა კუნის დაპატიმრების გარშემო

ვენა, 9 მაისი. ბელა კუნისა და სხვა დაპატიმრებულთა დამცველებმა საოლქო სასამართლოს მიმართეს შუამდგომლობით, რათა დაპატიმრების დროს პოლიციის მიერ წაღებული ყველა დოკუმენტები კანონის თანახმად, დალუქოს და გადაეცეს სასამართლოს.

საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

ამასთან დაკავშირებით, „აბენდ"-ი აღნიშნავს, რომ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ დაიგვიანა, ვინაიდან ვენის პოლიციამ წინააღმდეგ კანონისა, შესაძლებლობა მისცა უნგრეთის პოლიციას გაეცნობოდა დოკუმენტებს. პოლიციას ბელა კუნისა და სხვების დაპატიმრების დროს არც კი მიუცია კითხვა მათთვის—თანახმა არიან ისინი თუ არა, რომ პოლიციამ გაეცნოს ამ დოკუმენტებს (ადს).

კომუნისტი ქალაქის საბჭ. თავმჯდომარე

ბერლინი, 9 მაისი. ემდენის ახალ მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია კომუნისტი ვენდტი. მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და ორი მდივნის თანამდებობაზე აგრეთვე კომუნისტები არიან არჩეული. ბურჟუაზიულმა პარტიებმა გაასაჩივრეს კომუნისტების არჩევა.

კაპიტალისტურ რეაქციის გამარჯვება

(ჩვენი პარიზელი კორესპონდენტისაგან)

გუშინ მოხდა განმეორებითი არჩევნები 425 ადგილის, ე. ი. მომავალი პარლამენტის ორი მესამედის შესავსებათ. პარლამენტი უნდა შეიკრიბოს პირველ ივნისს. უნდა ითქვას, რომ პუანკარეს მომხრეებმა, რომლებიც პირველი არჩევნების დროს საკმაოდ ძლიერნი აღმოჩნდენ, უკანასკნელ არჩევნებში საბოლოოდ გაიმარჯვეს. აი მშრალი ციფრები, რომლებიც მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ რეაქციონურ კაპიტალიზმის გამარჯვების შესახებ. თუ მხედველობაში მივიღებთ ახლად არჩეულ დეპუტატების პოლიტიკურ მიმართულებას დავინახავთ, რომ ახალ პალატაში პუანკარეს უზრუნველყოფილი აქვს მტკიცე უმრავლესობა. ვინაიდან მემარჯვენე პარტიები მას აქამდის უსიტყვოდ უჭერდენ მხარს, ამიტომ ისინი მთლიანად და სავსებით ეკუთვნიან პუანკარეს უმრავლესობას. ახალ პარლამენტში მემარჯვენეთა რიცხვი უდრის 333 კაცს, ხოლო მემარცხენეთა 279 კაცს, მათ შორის არის 14 კომუნისტი. („მემარცხენეებს" ჩვენ ვაკუთვნებთ რადიკალ - სოციალისტებს, სოციალისტ - რესპუბლიკანელებს და ბლიუმ - რენოდელის მიმართულების სოციალისტებს). ამგვარად გამოდის წმინდა პუანკარისტების უმრავლესობა („ნაციონალური გაერთიანება") 54 ხმის რაოდენობით, თუ მხედველობაში მივიღებთ ეგრედწოდებულ რადიკალ - სოციალისტების მერყეობას, შეგვიძლია გადაჭრით განვაცხადოთ, რომ ბევრი მათგანი გადაბარგდება პუანკარეს ბანაკში. მაშასადამე, ბ-ნ პუანკარეს, მსხვილ კაპიტალის ამ აშკარა წარმომადგენელს, დაახლოებით ეყოლება 400 ხმის უმრავლესობა. სოციალისტებმა, თუ მხედველობაში მივიღებთ დეპუტატების რიცხვს, შეინარჩუნეს თავისი პოზიციები, მაგრამ სამაგიეროთ მათ საკმაოდ ბევრი ხმები დაჰკარგეს სამრეწველო ცენტრებში, დაჰკარგეს თავის ჩინებული საპარლამენტო ბელადი ბ-ნი ბლიუმი, რომელმაც თავისი სამარცხვინო მოქმედებით მეორე ტურის დროს დაჰკარგა არა მარტო დეპუტატის ადგილი, არამედ პატიოსნებაც. სოციალისტებმა დაჰკარგეს აგრეთვე თავისი „წითელი" დეპარტამენტი ე. ი. ჰოტ-ვიენ, სადაც აქამდის მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტებს ირჩევდენ. მათ დაჰკარგეს მეორე თავისი ბელადი, ოპორტუნისტი — ფანატიკოსი ლება, ქალაქ რუბეს მერი და ჟულ გედის ყოფილი თანამშრომელი. მოიგეს მათ ბრაკე, მთელი ოპორტუნისტული ჯგუფის ერთად - ერთი განათლებული „მარქსისტი", მაგრამ სამაგიეროთ უკიდურესი ოპორტუნისტული სოციალ - პატრიოტი.

ბურჟუაზიული და სოციალ - ბურჟუაზიული პარტიები თავს ინუგეშებენ მით, რომ კომუნისტებმა დაჰკარგეს თითქმის ხმების უმრავლესობა (27 მაგიერ ჩვენ გვაქვს 14 ადგილი). მაგრამ ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ეს უმთავრესად აიხსნება საარჩევნო ოლქების განაწილების სისტემით, არჩევნების პროპორციული სისტემის უქონლობით და სოციალისტების და რეაქციის კავშირით. საფრანგეთში, რომ არსებობდეს არჩევნების პროპორციული სისტემა, როგორიც არის გერმანიაში, კომუნისტებს, რომლებთაც მიიღეს 1.070.000 ხმა, ეყოლებოდათ 70 დეპუტატი, ხოლო სოციალისტებს 1.600.000 ხმით 130 დეპუტატი (100-ს მაგიერ).

მუშათა მასები არჩევნების საბოლოო შედეგებს დამშვიდებულათ შეხვდენ, ვინაიდან მათ შეგნებული აქვთ, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების დროს, გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართება არა პარლამენტის კედლებში. რადიკალური პარტიის დამარცხება აიხსნება საშუალო კლასების გახრწნით, რომელთა ნაწილი კუდში მისდევს ბ-ნ პუანკარეს, რომელსაც ორი მილიონი წვრილი რანტიე თავის მხსნელად სთვლის, ვინაიდან მან 100 პროცენტით აწია ფრანკის და სახელმწიფო ქაღალდების ღირებულება, თუმცა „გადარჩენის" შემდეგაც ფრანკისაგან დარჩა მისი ნომინალური ღირებულების მხოლოდ ერთი მეხუთედი.

წვრილ-ბურჟუაზიულ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიჰყვება სოციალისტებს და მუშების შეუგნებელ ნაწილიდან ერთად უჭერის მათ რეფორმისტულ გაიძვერობას. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მომწიფებული ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი ადრე თუ გვიან გააქარწყლებს მათ ილიუზიებს. უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში საფრანგეთის ექსპორტი შემცირდა 10 პროცენტით. ფრანკის სტაბილიზაცია ჯერ - ჯერობით ბურუსით არის მოცული და მოსალოდნელია არასასიამოვნო სიურპრიზები. შინაური და საგარეო ვალების პრობლემა არ არის გადაჭრილი. კაპიტალისტური რაციონალიზაცია მუშების ხარჯზე ენერგიულად ტარდება. გრძელდება ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ. შრომის კონფედერაციის რეფორმისტებიც კი იძულებული არიან მოუწოდონ მუშებს სერიოზულ საპირველმაისო დემონსტრაციისაკენ. სოციალისტური პარტია იძულებულია ოპოზიციაში ჩაუდგეს პუანკარეს, თუმცა მისი ბელადების უმრავლესობა ძილშიაც კი ხედავს სამინისტრო პორთფელებს და მზადაა მონაწილეობა მიიღოს ყოველგვარ ბურჟუაზიულ მთავრობაში.

მემარჯვენე პალატა, როგორც ჩანს, განაგრძობს რეპრესიებს მუშათა კლასისა და მისი რევოლუციონური ავანგარდის წინააღმდეგ. სოციალისტების წყალობით, ჩვენი ამხანაგები, რომლებიც დამწყვდეული არიან ციხეში, როგორც მაგ. ამხ. მარტი და კომკავშირის ცეკას მდივანი მარზე და სხვ., უსოციალიზმო სოციალისტების მანევრების წყალობით დამარცხდენ არჩევნებში. სამაგიეროთ ჩვენ გავიყვანეთ ამხ. მენეტრიე, რომელსაც ბრალს სდებდენ ჯაშუშობაში საბჭოების სასარგებლოდ.

უკანასკნელ არჩევნების დამახასიათებელია გამარჯვება სამი კომუნისტის, რომლებიც არჩეული არიან ელზას - ლორენის დეპუტატებათ. იქვე გავიდა მთელი რიგი ავტონომისტები, რომლებიც ზიან ციხეებში ელემენტარულ ნაციონალურ უფლებების დაცვისათვის. ეს სასტიკი დამარცხებაა ბ-ნ პუანკარეს პოლიტიკის, რომელიც ამ ორი ოლქის მართვა-გამგეობაში ბაძავს პრუსიის ძველ მეთოდებს. პუანკარე, რომელიც აცხადებს, რომ მან საფრანგეთს დაუბრუნა ბისმარკის მიერ 1870 წელს ცეცხლითა და მახვილით წართმეული ეს ორი ოლქი, ელზასელების თვალში წარმოადგენს მჩაგვრელს და მტერს. მხოლოდ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც უსირცხვილოდ უერთდებიან ნაციონალურ ბლოკს (როგორც მაგალითად ჩვენი უბოროტესი მტერი გრუმბახი) ცდილობენ გამოასწორონ მდგომარეობა. კაპიტალისტური ჩაგვრა ყოველთვის შეთანხმებულია ნაციონალურ ჩაგვრასთან. ერთი განსაზღვრავს მეორეს.

ხ. რაპოპორტი.

პარიჟი, 30 აპრილი.

უკანასკნელი ცნობები

„ლენინბუნდის" დაშლა

ბერლინი, 9 მაისი. „ლენინბუნდის" ცეკადან გამოვიდა შვიდი წევრი (15-დან): შოლემი, გესე, მასლოვი, ფიშერი, შიმანსკი, მეტცლერი და შლოხტი; დარჩენილები ურბანსის ჯგუფს ეკუთვნიან. ცეკადან პირველად გამოვიდა შოლემი, შემდეგ მასლოვი და რუტ ფიშერი. ეს გამოსვლა თავისი შედეგებით უდრის „ლენინბუნდის" ლიკვიდაციას და გამოწვეულია „ლენინბუნდის" შინაგანი დაშლით, რაც მოხდა გერმანიის კომპარტიის კრიტიკის გავლენით (ადს).

გერმანიის კომპარტიის ცეკა შოლემისა, მასლოვისა და რუტ ფიშერის წერილების შესახებ

ბერლინი, 9 მაისი. „როტე ფანე"-ში გამოქვეყნდა გერმანიის კომპარტიის ცეკას დასკვნა შოლემისა, მასლოვისა და რუტ ფიშერის წერილების შესახებ. ცეკა აღნიშნავს, რომ ამ წერილებში არამც თუ დაგმობილია მათი ავტორების პოლიტიკური ხაზი, არამედ პირიქით, ეს წერილები პირდაპირ ადასტურებენ ამ ხაზის კონტრ-რევოლუციონურ ხასიათს.

„შოლემი, მასლოვი და რუტ ფიშერი,—ნათქვამია დასკვნაში,—„ლენინბუნდიდან" გამოდიან არა იმიტომ, რომ ის მათთვის წარმოადგენს ანტი-ბოლშევიკური ხაზის მატარებელ მოღალატეთა პარტიას, როგორიცაა ის ნამდვილად, არამედ იმიტომ, რომ „ლენინბუნდის" ტაქტიკა მათ მიაჩნიათ არახელსაყრელად გერმანიის კომპარტიის დანგრევისათვის. გერმანიის კომპარტიის ცეკა მიმართავს მუშებს, რომლებიც ტროცკისტულ ბელადების მიერ შეყვანილი არიან შეცდომაში და მოაგონებს მათ კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ დადგენილებას, რომელშიაც ნაჩვენებია პატიოსან რევოლუციონერ მუშების გერმანიის კომპარტიის რიგებში დაბრუნების გზა. ცეკა მოუწოდებს მუშებს დაუმტკიცონ მომავალი საარჩევნო ბრძოლაში ბურჟუაზიას, რეფორმისტებსა და მათ ტროცკისტულ დამქაშებს, რომ რეფორმიზმსა და კომუნიზმს შუა მდგომ პარტიის შექმნის ცდა საბოლოოდ დამარცხდა".

ამხ. ლიზარევზე თავდასხმის გარშემო

ვარშავა, 10 მაისი. გაზ. „ექსპრეს პორანნი" და „მომენტი" იუწყებიან, რომ ლიზარევზე თავდასხმის საქმის გამომძიებელი ვოიცეხოვსკის დანაშაულს განიხილავს მე-455 მუხლით მე-49 მუხლის გამოყენებით. მე-455 მუხლით, რომელიც შეეხება ოფიციალური პირთა მკვლელობას, დაწესებულია უვადო კატორღა. მე-49 მუხლი, რომელიც შეეხება მკვლელობის ცდის მომზადებას, ამსუბუქებს სასჯელს. ვოიცეხოვსკის წინააღმდეგ აღძრულ საქმესთან ერთად საქმე აღძრულია 13 რუსი ემიგრანტის წინააღმდეგ, რომლებიც უკანასკნელ ხანებში იქნენ დაპატიმრებული. მათ ბრალი ედებათ მე-467 მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, რომელიც შეეხება შეთქმულებას ოფიციალური პირის მოკვლის მიზნით. ამ მუხლის სხვადასხვა პარაგრაფები ითვალისწინებს დაპატიმრებას 8 წლამდე. როგორც „მომენტი" იუწყება, განსაკუთრებით სენსაციური ხმები დადის დაპატიმრებულ იგმარიოვზე, რომელიც ამას წინად რომელიღაც სპეციალური მიზნებით დასახლდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პირდაპირ. როგორც გაზეთები იუწყებიან, ვოიცეხოვსკიმ სასამართლოს გამომძიებელს განუცხადა, რომ იგი ამზადებდა თავდასხმას საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩეველ კოციუბინსკიზე.

სპარსეთ-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

სპარსეთის პრესის წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის თეირანის საელჩოში

თეირანი, 8 მაისი. ამ დღეებში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელმა თეირანში **დავთიანმა** მიიღო თეირანის პრესის და საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამხ. დავთიანმა მიესალმა პრესის წარმომადგენლებს და განაცხადა:

ამხ. დავთიანის სიტყვა

„პატივცემულნო პრესის წარმომადგენელნო! მე მოხარული ვარ, რომ თქვენ გხედავთ სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ჩვენი ეკონომიური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. მე იმედი მაქვს, რომ ამ მეგობრული შეხვედრით ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას.

პრესას ყველა ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა აქვს, ის უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის საზოგადოებრივ აზრზე. სპარსეთის წინაშე ამჟამად სდგას მთელი რიგი უდიდესი ისტორიული ამოცანები. ამჟამად სპარსეთის მთავრობა გადამჭრელ ნაბიჯებს სდგამს იმ უთანასწორო ხელშეკრულებებისაგან განთავისუფლებისათვის, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მზღუდავდენ სპარსეთის დამოუკიდებლობას. ეს მუშაობა მეტად ძნელია და დიდ დახმარებას მოითხოვს მთელი ქვეყნის საზოგადოებრივ აზრისაგან. თქვენ იცით, რომ ზოგიერთი სახელმწიფოებს აქამდის არ სურთ უარი სთქვან იმ პრივილეგიებზე, რომლითაც [illegible] პოლიტიკის საშუალებით, მათ არ სურთ თანასწორუფლებიანი ურთიერთობა სპარსეთის ხალხთან.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სპარსეთის მთავრობის ნაბიჯები წარმატებით დაგვირგვინდება და სპარსეთი შესძლებს ამ უთანასწორო იმპერიალისტურ ხელშეკრულებებისაგან განთავისუფლებას. თქვენ დარწმუნებული უნდა იყვეთ, რომ ამ მუშაობაში სპარსეთის მთავრობას და საზოგადოებრივ აზრს საბჭოთა კავშირის სახით ეყოლება საიმედო და ერთგული მეგობარი. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი დიდის სიმპატიით ადევნებს თვალყურს სპარსეთის მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სპარსეთის ტერიტორიის მთლიანობის დაცვას იმპერიალისტების მტაცებლური პოლიტიკისაგან.

განსაკუთრებულ თანაგრძნობას იწვევს ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს სპარსეთის მთავრობა სპარსეთის კუთვნილ ბაჰრეინის კუნძულებისათვის.

სპარსეთის წინაშე უდიდესი ამოცანები სდგას აგრეთვე ეკონომიურ განვითარების სფეროში და ამ მხრივ ეხლა ენერგიული მუშაობა სწარმოებს. ამ სფეროშიაც თქვენ უნდა მოელოდეთ მეგობრულ დახმარებას საბჭოთა კავშირის მხრივ, განსაკუთრებით, სპარსეთში მომუშავე საბჭოთა ეკონომიურ ორგანიზაციების მხრივ".

მელიქ უშ-შუარის სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა პუბლიცისტმა—პოეტმა და მეჯლისის დეპუტატმა **მელიქ უშ-შუარამ**. მე განსაკუთრებით მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ საბჭოთა მთავრობამ საქმით დაამტკიცა თავისი მეგობრობა სპარსეთისადმი. რომ სპარსეთის ხალხი გულწრფელი სიმპატიით უყურებს საბჭოთა კავშირს ამის დამამტკიცებელია თუგინდ ის, რომ დღეს საბჭოთა საელჩოში მივიდნენ მთელი პრესის წარმომადგენლები. ეს პირველი შემთხვევაა, როცა უცხოეთის საელჩოში იკრიბებიან პრესის წარმომადგენლები სრული შემადგენლობით. ეს მოწმობს, რომ ჩვენს შორის არსებობს უაღრესად გულწრფელი დამოკიდებულება".

მირზა იბრაჰიმ-ხანის სიტყვა

მელიქ უშ-შუარის სიტყვის შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა გაზეთ „ნაჰიდ"-ის რედაქტორმა **მირზა იბრაჰიმ-ხანმა**, რომელმაც ხაზი გაუსვა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლის სიტყვებს ბაჰრეინის კუნძულების შესახებ.

„ბაჰრეინი,—განაცხადა მან,—სპარსეთის განუყოფელი ნაწილია და სპარსეთის ხალხი დაიცავს თავის უფლებებს."

შემდეგ ილაპარაკეს მთელი რიგი გაზეთების რედაქტორებმა.

ბანკეტმა დიდი ინტერესი გამოიწვია თეირანის ყველა გაზეთებში.

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ახალი სპეციალისტების განაწილება

მოსკოვი, 10 მაისი. ახალგაზრდა სპეციალისტების გამოყენების საკითხს უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დღემდე ბევრ წარმოება-დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა არანორმალურ მოვლენებს, როცა ახალგაზრდა სპეციალისტები სხვადასხვა მიზეზების გამო მოკლებული იყვნენ საშუალებას სათანადოთ დაახლოვებოდენ საქმეს, გამოეჩინათ მუშაობაში თავიანთი ცოდნა და მიეღოთ შესაფერისი გამოცდილება.

სპეციალისტების საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა თათბირებზე, კრებებზე და პრესაშიც ამ მომენტს ყველა თითქმის ერთხმად აღნიშნავდა.

მომავალში ასეთი მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვეტილია აქედანვე მიღებულ იქნას ზომები იმ სპეციალისტების რაციონალურად გამოყენებისათვის, რომლებსაც მოგვცემს წელს უმაღლესი სპეციალური სასწავლებლები.

წინასწარი ცნობებით მიმდინარე წელს სპეციალურ სასწავლებლებს დაამთავრებს ათი ათასი ახალგაზრდა. განათლების სახალხო კომისარიატს მიცემული აქვს განკარგულება, რომ მან თავის ხელში აიღოს ახალგაზრდა სპეციალისტების წარმოება-დაწესებულებებში განაწილების საქმე.

მოსკოვის პრესა კომპოზიტორ სპენდიაროვის შესახებ

მოსკოვი, 10 მაისი. მოსკოვის მთელ რიგ გაზეთებმა და მხატვრულ გამოცემებმა უძღვნეს ცალკე წერილები დამსახურებულ ხელოვნების კომპოზიტორის რესპუბლიკის სახალხო მსახიობ სპენდიაროვის ხსოვნას. პრესაში მოთავსებულია განსვენებულის ბიოგრაფია და მუსიკალური ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა.

გაზეთების სიტყვით სპენდიაროვმა დაიჭირა ადგილი მსოფლიო მუსიკაში, როგორც კომპოზიტორ-ორიენტალისტმა. მის მუსიკალურ თხზულებაში გამოხატულება ჰპოვა აღმოსავლეთის ყველა თვალსაჩინო ეროვნებათა მელოდიებმა. განსაკუთრებით განირჩევა სპენდიაროვის მუსიკალური ნაწარმოები თავისი იშვიათი პოპულარობით.

სპენდიაროვის მუსიკა ერთნაირად გასაგებია ყველა ეროვნების მშრომელ მასისათვის.

„პრავდა"-ს და „იზვესტია"-ს სიტყვით კომპოზიტორი სპენდიაროვის დამსახურება მუსიკალურ ხელოვნებაში არ შეიძლება მარტო აღმოსავლეთით განისაზღვროს. სპენდიაროვი—ორიენტალისტი, ამავე დროს უდიდესი ფიგურაა, როგორც მუსიკოსი ინტერნაციონალისტი.

უმგზავსოება მიტიშჩის ფაბრიკაში

მოსკოვი, 10 მაისი. დაბა მიტიშჩის ერთ-ერთ დიდ ფაბრიკაში აღმოჩენილ იქნა ადგილობრივ ჩუბაროვშჩინის საზიზღარი შემთხვევები.

გამოირკვა, რომ პასუხისმგებელ თანამშრომელთა ერთი ჯგუფი სარგებლობდა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით და ძალდატანებით სქესობრივ კავშირს იჭერდა ფაბრიკაში მომუშავე მუშა-ქალებთან.

აღსანიშნავია, რომ ამ უმგზავსოებაში ფაბრიკის ეგრედ წოდებული „სამკუთხედი" შეთანხმებულად მოქმედებდა. ასე მაგალითად, მოძალადეთა ჯგუფში ერივნენ, როგორც ადმინისტრაციისა და ფაბკომის წარმომადგენელნი, ისე პარტიის წევრებიც კი.

მოსკოვის ორგანიზაციის პარტიულ საკონტროლო კომისიამ სასტიკად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. ბრალდებული კომუნისტები დაუყოვნებლივ გამორიცხულ იქნენ პარტიიდან. ყველა დამნაშავეები მიცემულია პასუხისგებაში.

„გოლოვანოვები" არ სცხრებიან

მოსკოვი, 10 მაისი. ამ რამოდენიმე დღის წინ მე უკვე გაცნობებდით, რომ ხელოვნების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ კომიტეტის კომისიამ დაასრულა მოსკოვის დიდი ოპერის თეატრში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობის გამოკვლევა. კომისიის დასკვნის თანახმად, მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები უნდა მოხსნილ იქნან დიდი ოპერიდან, ფავორიტიზმისათვის, ანტისემიტურ გამოსვლებისათვის და საერთოდ საოპერო საქმეში გამოუსადეგრობისათვის. ასეთ პირთა შორის იყო დიდი ოპერის დირიჟორი გოლოვანოვი, რომელმაც განსაკუთრებით, კომაროვი, ბორისოვი, სერგეევი, ლოსკი, ფილიშინი; ფედოროვსკი და ლუკაშევი.

ამასთან ერთად დიდი ოპერის საქმეების გამოკვლევას ხელი მოჰკიდა რუსეთის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ სპეციალურად გამოყოფილ კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობს თვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ილინი.

მოსკოვის ყველა გაზეთებმა, მათ შორის „პრავდა"-მ და „იზვესტია"-მ რამოდენიმე წერილი უძღვნეს დიდი ოპერის საკითხს. გაზეთები მოითხოვდენ ოპერის საქმეში ენერგიულად ჩარევას და შექმნილ მძიმე ატმოსფეროს განმენდას. ამ საერთო განწყობილებას თან დაერთო ის ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც ამ ათიოდე დღის წინად მოხდა ოპერის დიდ თეატრში. ვგულისხმობთ ახალგაზრდა მხატვარი კორინოვას და აქსიონოვას თვითმკვლელობას წარმოდგენის დასრულების წუთში დიდი ოპერის სცენაზე. ირკვევა, რომ თვითმკვლელობა გამოიწვია იმ საერთო არანორმალურ მდგომარეობამ, რომელსაც ადგილი აქვს დიდი ოპერის თეატრში და კერძოდ დირიჟორ გოლოვანოვის დამოკიდებულებამ ახალგაზრდა მხატვარ ქალებისადმი, როგორც თავის გარყვნილ სქესობრივ ჟინის დაკმაყოფილების ობიექტისადმი.

ყველა ამ საზიზღრობების შემდეგ, რის შესახებაც უკვე გაიგო მთელმა მოსკოვმა, ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევებს: გოლოვანოვმა მის წინააღმდეგ მიმართულ საზოგადოებრივ აზრის პროტესტის ნიშნად შეჰკრიბა თავისი მომხრე მუსიკოსები და დაიწყო კონცერტების გამართვა.

დამსწრეებმა არ მოისურვეს ორკესტრის მოსმენა გოლოვანოვის ხელმძღვანელობით, ატეხეს სტვენა, ფეხებით ბრახუნი და ხმაურობა. გოლოვანოვმა, რომ გაექარწყლებია დამსწრეთა ხმაურობა, დააკვრევინა ორკესტრს ტუში. დარბაზში უწესრიგობა ჩამოვარდა. ამის შემდეგ წესრიგი რის ვაი-ვაგლახით იქნა აღდგენილი.

დიდი ოპერის სოლისტების ცალკე კრებაზე მსახიობ იუდინმა განაცხადა, რომ მსახიობისათვის სრულიადაც საინტერესო არაა, საზოგადოებრივი მუშაობა. ბარიტონ მიგაიმ პროტესტი გამოსთქვა იმის გამო, რომ პროფესიონალური კავშირები ერევიან არა „თავიანთ" საქმეში.

დიდი ოპერის დირექტორ ბურდუკოვის სიტყვით საჭიროა თეატრიდან გაძევებულ იქნან „მოუსვენარი" ელემენტები.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისია სასწრაფო ზომებს ღებულობს, რომ ბოლო მოუღოს დიდი ოპერის თეატრში შექმნილ მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ა. დ. ციურუპას გარდაცვალების გამო

ნეშტის გადასვენება

ხარკოვი, 10 მაისი. მატარებელი ამხ. ციურუპას ნეშტით ხარკოვში მოვიდა 9 მაისს 15 საათ., ამხ. ჩატონსკის და ყირიმის მთავრობის წარმომადგენელთა თანხლებით, განსვენებულის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად სადგურზე მოვიდნენ სრულიად უკრაინის ცაკ. პრეზიდიუმის და სახკომსაბჭოს წევრები, უკრაინის კომპარტიის ცაკა სრული შემადგენლობით, სახალხო კომიტეტის პლენუმი, უკრაინის პროფსაბჭოს პრეზიდიუმი და ბევრი სხვები. ხარკოვის ქარხნებმა გამოგზავნეს მთელი რიგი დელეგაციები. იმ ვაგონს, რომელშიაც ასვენია ამხ. ციურუპას ნეშტი, მოჰყვება შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა ყარაული. დამსწრე საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს ამხ. ვლასენკომ, ჩუბარმა, სკრიპნიკმა, ფრუმკინმა და სხვებმა. მათ მოუწოდეს მთელ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას იაროს იმ გზით, რომელიც განვლო განსვენებულმა და განაგრძონ ის საქმე, რომელსაც 40 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ლენინის ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელი და მეგობარი.

16 საათზე მატარებელი დაიძრა მოსკოვისაკენ. ნეშტს მოსკოვამდე აცილებენ პარტიის და უკრაინის მთავრობის წარმომადგენლები და ხარკოვის ქარხნების მუშათა დელეგაცია. (ადს).

ამხ. ციურუპას ნეშტის ჩამოსვენება მოსკოვში

მოსკოვი, 10 მაისი. 10 მაისს დილის 8 საათზე მოსკოვში ჩამოსვენებულ იქნა ამხ. ციურუპას ნეშტი. ნეშტის ჩამოსვენებამდე კურსკის სადგურის მოედანზე გამწკრივდა საბჭოთა ყარაული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. რამოდენიმე წუთით ადრე მატარებლის მოსვლამდე სადგურის ბაქანზე გავიდნენ მთავრობის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცაკას, მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების წევრები. მათ შორის იყვნენ ამხ. კალინინი, რუძუტაკი, მოლოტოვი, ტომსკი, ენუქიძე, კრჟიჟანოვსკი, ორჯონიკიძე, ლეჟავა, ბრიუხანოვი, კოსიორი, მუკლევიჩი, ლიტვინოვი და სხ.. როცა მატარებელი გაჩერდა, ვაგონიდან, რომელშიაც ესვენა ამხ. ციურუპას ნეშტი, გამოიყვანეს განსვენებულის ოჯახის წევრები და ნათესავები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შემდეგ ვაგონიდან გამოიტანეს გვირგვინები და ცოცხალი ყვავილები, რომლებითაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შეამკეს გზაში განსვენებულის კუბო. კუბო სადგურის ბაქანიდან სადგურის მოედანზე გადაიტანეს ამხ. კალინინმა, რუძუტაკმა, მოლოტოვმა, ენუქიძემ, მიქოიანმა და სხ. აქ კუბო დაასვენეს ბალდახინზე. კუბოს დაადეს ახალი გვირგვინები: ამხ. რიკოვისაგან. შემდეგი წარწერით: „ბრძოლაში და მუშაობაში ძველ გამობრძმედილ ამხანაგს", აგრეთვე ძმისაგან და დებისაგან.

კურსკის სადგურიდან პროცესია გაემართა კავშირთა სახლისაკენ. კავშირთა სახლთან ამხ. კალინინმა, რუძუტაკმა, მოლოტოვმა, ტომსკიმ, ენუქიძემ, მიქოიანმა, ორჯონიკიძემ, ლეჟავამ და ამხ. ციურუპას შვილმა კუბო აიღეს ბალდახინიდან და გადაიტანეს კავშირთა სახლის მცირე დარბაზში. კუბოს გადატანის დროს უკრავდა სამგლოვიარო მარში. კუბოს, რომელიც დადგმულ იქნა ყვავილებისა და პალმებს შორის, ახლდა სასტუმრავი და ამხ. ციურუპას ნეშტთან ადგილი დაიჭირეს საპატიო ყარაულის მონაწილეებმა. ყარაულის პირველ წყებაში იდგნენ ამხ. კალინინი, ტომსკი, რუძუტაკი და მიქოიანი. ისინი შესცვალეს ამხ. მოლოტოვმა, ორჯონიკიძემ, შმიდტმა, სტანისლავ კოსიორმა, შემდეგ ენუქიძემ, ბრიუხანოვმა, კრჟიჟანოვსკიმ, სკრიპნიკმა, ლეჟავამ და სხვ. ამავე დროს შენობაში შედიოდნენ მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ეთხოვებოდნენ განსვენებულს. (ადს).

სამგლოვიარო კრება

ბერლინი, 9 მაისი. შესდგა საბჭოთა კოლონიის სამგლოვიარო კრება **ციურუპას** ხსოვნის აღსანიშნავად. სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში **კრესტინსკი**, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დუდნიკი** და სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე **ზელენკო**.

კრებამ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცაკას, სახკომსაბჭოს, ცაკს და განსვენებულის ოჯახს. (ადს).

სამძიმრის დეპეშები

მოსკოვი, 10 მაისი. ცაკის პრეზიდიუმში მოდის მრავალრიცხოვანი სამძიმრის დეპეშები სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან, ამხ. ციურუპას გარდაცვალების გამო. კერძოდ მიღებულია დეპეშა სტალინგრადის მაღაროს კომიტეტისაგან 17.000 მემაღაროეს სახელით.

ბევრი დეპეშები მოსდის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცაკას. (ადს).

ლენინგრადი, 10 მაისი. სამეცნიერო აკადემიამ ამხ. ციურუპას გარდაცვალების გამო, ამხ. რიკოვს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც სახკომსაბჭოს ულრმეს სამძიმარს უცხადებს საბჭ. კავშირის ერთ-ერთი უდიდესი მუშაკის და მშენებელის უდროოდ გარდაცვალების გამო. (ადს).

ა.-კ. ცაკის სამძიმარი

საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ციურუპას** გარდაცვალების გამო ამიერ-კავკ. ცაკის პრეზიდიუმმა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცაკას, საკავშირო ცაკს და საკავშირო სახკომსაბჭოს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი ამიერკავკასიის მრავალრიცხოვან მშრომელი ხალხის სახელით გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას და გიცხადებთ ამხანაგურ თანაგრძნობას იმ მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ განიცადა დაუვიწყარი ძველი ბოლშევიკის და ილიჩის თანამებრძოლი—ამხ. **ციურუპას** სიკვდილით.

ამხ. ციურუპას დაუღალავი მუშაობა დიდ სამოქალაქო ომის პერიოდში, შემდეგ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის შენების დარგში და ლენინიზმის გზის მტკიცეთ დაცვაში ყოველთვის აღაფრთოვანებს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას და მოუწოდებს მას შეუდრეკელად გასწიოს წინ მთელ მსოფლიოში სოციალიზმის საბოლოოთ გამარჯვებისაკენ.

ჩვენ გვწამს, რომ უდიდეს საბჭოთა ქვეყნის მეურნეობის აღდგენა, მუშათა და გლეხთა აქტივობის ზრდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეში შეავსებენ ისეთი დიდ მშენებელ ბოლშევიკის სიკვდილით გამოწვეულ დანაკლისს, როგორიც იყო მტკიცე ლენინელი დაუვიწყარი ამხ. ციურუპა.

ავღანისტანის ფადიშაჰი საბჭოთა კავშირში

ფადიშაჰი სამხედრო აკადემიაში

მოსკოვი, 10 მაისი. 9 მაისს, დილით ფადიშაჰმა დაათვალიერა წითელი არმიის სამხედრო აკადემია. ფადიშაჰს შეეგება აკადემიის უფროსი ამხ. **ეიდემანი**. ამხ. ეიდემანმა გააცნო მას აკადემიის ამოცანები და სამოსწავლო კურსი და მიართვა აკადემიის თანამშრომელთა ნაბეჭდი შრომები. ფადიშაჰი დაესწრო აღმოსავლეთის განყოფილების უფროსის ამხ. **ციფერის** ლექციას, რომელიც შეეხებოდა ინგლის-ავღანისტანის ომების გარჩევას.

13 საათზე ფადიშაჰი დაესწრო მანევრებს ოქტომბრის მოედანზე. ფადიშაჰს შეეგებნენ ამხ. ვოროშილოვი, უნშლიხტი და სხვები. მანევრებში მონაწილეობას იღებდნენ ყველა სახის ჯარები.

სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრებთან გამოთხოვების დროს, ფადიშაჰმა განაცხადა, რომ მანევრებმა და აღლუმმა მასზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა.

ფადიშაჰმა მთავრობას სამძიმარი გამოუცხადა ციურუპას გარდაცვალების გამო. (ადს).

ფადიშაჰის გამგზავრება ლენინგრადში

მოსკოვი, 10 მაისი. ღამის 12 საათზე ფადიშაჰი მეუღლით და ამალით გაემგზავრა ლენინგრადში. (ადს).

ამანულა-ხანი ლენინგრადში

ლენინგრადი, 10 მაისი. 10 მაისს მოსკოვიდან ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშაჰი მეუღლით, ოჯახის წევრებით და ამალით. იმავე მატარებლით ჩამოვიდნენ ამხ. **ვოროშილოვი**, **კარახანი** და სხ. მატარებელს შეხვდნენ სახალხო აღმასკომის და საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ამხ. **კომაროვის** მეთაურობით, ლენინგრადის სამხედრო ოლქის უფროსი ამხ. **კორკი**, აკადემიკოსი **ოლდენბურგი** და სხ. ფადიშაჰს მიესალმა ამხ. **კომაროვი**. ჩამოსულები გაემართნენ მოედნისაკენ ზამთრის სასახლის წინ, სადაც გაიმართა ჯარების აღლუმი. აღლუმის დამთავრების შემდეგ ფადიშაჰი მეუღლით, ოჯახის წევრებით და ამალით წავიდა მისთვის მომზადებულ ბინაზე ზამთრის სასახლის შენობაში (ადს).

ავღანისტანის გარეშე საქმეთა მინისტრი ჩიჩერინთან

მოსკოვი, 10 მაისი. 9 მაისს, საღამოთი ამხ. ჩიჩერინმა მიიღო ავღანისტანის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე ფულამ-სადიკ-ხანი. (ადს).

პირველი საკავშირო ენერგეტიული ყრილობა

მოსკოვი, 10 მაისი. 9 მაისს შესდგა ელექტრო-ტექნიკურ მეცხრე ყრილობის და თბოტექნიკურ ყრილობის გაერთიანებული სხდომა. ამ ყრილობებიდან შესდგა პირველი საკავშირო ენერგეტიული ყრილობა. თავმჯდომარე ამხ. კრჟიჟანოვსკიმ აღნიშნა ყრილობების ნაყოფიერი მუშაობა და წინადადება შეიტანა მუდმივი საკავშირო ენერგეტიული კომიტეტის შექმნის შესახებ.

შემდეგ ამხ. კრჟიჟანოვსკიმ წაიკითხა იმ დეპეშის ტექსტი, რომელსაც ყრილობა უგზავნის ამხ. რიკოვს. დეპეშაში, სხვათა შორის ნათქვამია:

„ყრილობის მუშაკები ყოველნაირად შეეცდებიან, რათა გაამართლონ ის იმედები, რომელთაც თქვენ ამყარებთ თბოტექნიკოსებისა და ელექტრო-ტექნიკოსების გაერთიანებულ მუშაობის შედეგებსა და ენერგეტიულ საფუძველზე წარმოებულ გეგმიან სამეურნეო მშენებლობის მიღწევებზე".

დასასრულ, ყრილობამ აირჩია საკავშირო ენერგეტიული კომიტეტი. კომიტეტში შედის 180 კაცი. კომიტეტის დიდ პრეზიდიუმში არჩეულთა შორის არიან ამხ. კრჟიჟანოვსკი, გორევი, რამზინი, ფლაქსერმანი, შატელენი და სხ. (ადს).

პარტიული ცხოვრება

გმობენ „ლენინბუნდს"

მოსკოვი, 10 მაისი. „პრავდა"-ს რედაქციის მიერ მიღებული ცნობებით, ვუპერიმა, საფარლემა და ვარღინმა განაცხადეს, რომ ისინი სასტიკად გმობენ „ლენინბუნდის" შექმნას გერმანიაში და „ულტრა-მემარცხენეების" კანდიდატების წამოყენებას რეიხსტაგის არჩევნებში (ადს).

კომუნისტ-პოლონელების საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 10 მაისი. 7 მაისს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცაკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან გაიხსნა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ პოლონელ მშრომელთა შორის მომუშავე კომუნისტ-პოლონელების საკავშირო თათბირი.

თათბირი გახსნა ნაციონალურ უმცირესობათა განყოფილების გამგემ ამხ. დიმანშტეინმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა პოლონელ მოსახლეობაში საბჭოთა გავლენის გადიდების და კათოლიკური სამღვდელოების კონტრრევოლიუციური შესუსტების. თათბირმა მოისმინა ამხ. ძერჟინსკაიას მოხსენება პოლონელ მშრომელ მასებში მუშაობის შესახებ. (ადს)

ბიუროების გადარჩევა და თვითკრიტიკის ლოზუნგი

დღევანდელ პირობებში, როდესაც ჩვენმა პარტიამ მოახდინა ტროცკისტული ოპოზიციის ლიკვიდაცია—შინაპარტიული დემოკრატიის გატარების, საბჭოთა აპარატის და თვით პარტიის ნაკლულოვანებათა საქმიანი კრიტიკა გადაიქცა პარტიული მასის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. ტყუილად კი არ განაცხადა ამხ. სტალინმა ცაკას უკანასკნელ პლენუმზე: „თვითკრიტიკა ისე გვჭირდება, როგორც ჰაერი, როგორც წყალი"-ო.

უჯრედთა ბიუროების მიმდინარე გადარჩევაში თვითეულმა კომუნისტმა უნდა მოიმარჯვოს კრიტიკის მწვავე იარაღი და დაუზოგავად გამოამჟღავნოს ჩვენი მუშაობის ნაკლი და სუსტი მხარეები.

სამწუხაროდ ბევრ ამხანაგს სჩვევია საკუთარი ნაკლის მიჩქმალვა. ზოგიერთ შემთხვევაში, როცა უჯრედის მდივანი „ამრუდებს" და „ალამაზებს" საანგარიშო მოხსენებას, სცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი კარგადაა გაკეთებული, ასეთ „დაწესებულებრივ პატრიოტიზმს" და „თავის მოტყუებას" საბოლოოდ ბოლო მოეღოს გადარჩევების კამპანიაში.

ყველა ჩვენგანმა შესანიშნავად იცის, რომ უჯრედების მუშაობას თან ახლავს მრავალი ნაკლი, ამიტომაც ბიუროს ანგარიშის შეფასებაში ზომაზე გადაჭარბებულ ქება-დიდებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

პარტუჯრედებში შექმნილია ერთგვარი ტრადიცია: როგორიც არ უნდა იყოს ბიუროს მუშაობა, იგი მაინც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. მიმდინარე კამპანიის დროს ეს ტრადიცია სავსებით აუცილებლად დაირღვეს. თუ სუსტი იყო ბიურო, თუ მას არავითარი გაუკეთებია—მისი საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ნ. ფ—ძე.

ბიუროს საარჩევნო კრებაზე

ტრამვაის № 1 საამქრო უჯრედში

პარტიის დარბაზი ძლივს იტევს უჯრედის წევრებს. კედლებზე ბელადების სურათებია გაკრული.

წინ—ლენინის უზარმაზარი სურათი მოსჩანს. სურათის ახლოს პატარა მაგიდას შემოსხდომიან ბიუროს წევრები.

უჯრედის მდივანი ამხ. მარასალოვი ასრულებს თავის მოკლე და სხარტულად შედგენილ მოხსენებას.

იმართება კამათი. მუშები დიდი ინტერესით მსჯელობენ მოხსენების გარშემო.

ისინი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ უჯრედის ბიუროს მუშაობის თვითეულ ნაკლს და [illegible] აღნიშნავენ ხოლმე.

— ამხ. მარასალოვმა ვერ აღნიშნა ჩვენი მიღწევა სამეურნეო დარგში—ამბობს ამხ. კრჩარიანი. ბოლტების მომზრელ დაზგის მუშაობა რამოდენიმეჯერ გაუმჯობესდა. თუ წინედ თვითეული ბოლტი 20 კაპ. ჯდებოდა, ეხლა 5 კ. ღირს. რაც შეეხება ჩამოსხმელ საამქროს—იქ მუშაობას ვერ ექცევა სათანადო ყურადღება, სახურავი გაფუჭებულია და სასწრაფოდ შეკეთებას მოითხოვს.

— პარტიულ კრებებზე დასწრება ცუდია, საწარმოო თათბირებში მუშათა საკმაო რიცხვი არ არის ჩაბმული. ახალმა ბიურომ უნდა მოაწესრიგოს ეს საკითხი (ბალზაკი).

— კულტურული მუშაობა მოიკოჭლებს.

ტრამვაის წარმოებაში 2000 მუშა-მოსამსახური ირიცხება, აქედან კლუბის წევრად მხოლოდ 600 კაცია ჩაბმული. ჩვენ ვერ შევძლებთ მოვახდინოთ კულტურული რევოლიუცია, თუ ყველანი არ ჩავებით კულტურულ საქმიანობაში—აღნიშნავს შემდეგი ორატორი.

— უჯრედს ემჩნევა, რომ ჯერ კიდევ ვერ აწარმოებს დამოუკიდებელ მუშაობას. ვერ იხილავს საწარმოო ხასიათის საკითხებს. მეტი ყურადღება უჯრედის შინაპარტიულ მუშაობის გაძლიერებას—აი რა უნდა დაისახოს უპირველესად ახალმა ბიურომ.

დასასრულ არჩეულ იქნა უჯრედის ახალი ბიურო.

იმიჯნებიან ტროცკიზმისაგან

პარტიის წევრებმა თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონიდან შეიტანეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში განცხადებები ტროცკისტული ოპოზიციიდან გამიჯვნის შესახებ.

ამხ. სერგო სოფრომის ძე ქურიძე, მუშა, პარტიის წევრი 1906 წლიდან სწერს: „მე-15 პარტყრილობამდე მე ვიზიარებდი ოპოზიციის შეხედულებებს ზოგიერთ საკითხებში და ხელი მოვაწერე ოპოზიციის განცხადებას. მე-15 პარტყრილობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ოპოზიციის შეხედულებები სწორი არ იყო. ამიტომ ვაცხადებ, რომ ვემიჯნები ოპოზიციის შეხედულებებიდან და გავატარებ ცხოვრებაში მე-15 პარტყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს".

ამხ. ვალერიან მიხეილის ძე სუფესიშვილი, პარტიის წევრი 1917 წლიდან და სილიბერ სამსონის ძე ნეფარიძე, მოსამსახურე, პარტიის წევრი 1921 წლიდან, აგრეთვე სწერენ, რომ იმიჯნებიან ოპოზიციის შეხედულებებიდან და გაატარებენ ცხოვრებაში მე-15 პარტყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს (ადს).

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში პარტიის ყოფილმა წევრებმა, სენაკის ორგანიზაციიდან, გლეხებმა ანდრო პერტენავამ და ვარლამ გრიგოლიამ შემოიტანეს განცხადება ოპოზიციისაგან გამიჯვნის შესახებ.

ხსენებული ამხანაგები შუამდგომლობენ პარტიის რიგებში დაბრუნების შესახებ და აცხადებენ, რომ ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ, ტროცკისტული ოპოზიციის მენშევიკურ წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრაში, რის გამოც იმიჯნებიან მისგან იდეურად და ორგანიზაციულად. ამასთან ერთად ისინი დაწვრილებით აღნუსხავენ ოპოზიციის მიერ სენაკში წარმოებული დეზორგანიზატორული მუშაობის ყველა ფაქტებს.

[illegible] შესახებ შემოიტანა აგრეთვე გლეხმა ამხ. ბაგრატ გველამ.

ადგილები წითელ პროფესურის ინსტიტუტში

მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაში საქართველოს დათმობილი აქვს 3 ადგილი. მიღების პირობები გამოქვეყნებულია ჟურნალ „ბოლშევიკ"-ის № 6-ში და „კომუნისტურ რევოლიუციაში" (6).

მსურველებმა განცხადებები უნდა შეიტანონ საქ. კ. პ. (ბ) ცაკას საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საკავშირო კომკავშირის ყრილობა

9 მაისის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ჩაპლინის მოხსენების გარშემო. ორატორები ამჟღავნებდნენ კომკავშირის მტკივნეულ ადგილებს და აღნიშნავდნენ საჭირო ზომებს დეფექტების ასაცილებლად. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა კომკავშირის ც. კ.—ის მდივანმა მილჩაკოვმა. მან აღნიშნა ახალგაზრდობის მასასთან უჯრედებისა და აქტივისტების კავშირის შესუსტების შემთხვევები, აგრეთვე მუშაობის სისუსტე მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა შორის, უნდა გადავისროლოთ ლოზუნგი—არ არსებობს უჯრედი, რომელიც არ მუშაობს მოჯამაგირეთა შორის.

„თუ სინდისის ქვეშ ვიმუშავებთ—სთქვა ამხ. მილჩაკოვმა—ჩვენ უახლოესი წლის განმავლობაში მოვახერხებთ კოლექტივიზაციის ახალ კერათა შექმნას. სოფლად უნდა დავგზავნოთ უფრო კულტურული მუშაკები და მუშა აქტივისტები. კულტურულ ფრონტზე ულმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ყოველ უარყოფით მოვლენას კომკავშირის რიგებში".

მოსკოვი, 10 მაისი. 9 მაისს საღამოს კომკავშირის მერვე ყრილობაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ბუხარინის და ჩაპლინის მოხსენებების გარშემო.

სხდომის დასასრულ ყრილობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ბელა კუნის დაპატიმრების წინააღმდეგ.

დიდი ხანძარი ქუთაისში

გადამწვარია ებრაელთა უბანი

რამოდენიმე ათასი სული უსახლკაროდ.—ზარალი მილიონამდე

არის ადამიანთა მსხვერპლი. ცეცხლი გაჩნდა გუშინ დილის თერთმეტის ნახევარზე. ხანძარის მიზეზი-პრიმუსის გასკდომა ერთ ოჯახში.-გუშინ საღამოს ქუთაისში სასწრაფოდ გაემგზავრა საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯუღელი.--ზომები დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად

გუშინ, დილით ქალაქ ქუთაისში ებრაელების უბანში გაჩნდა იშვიათი სიძლიერის ხანძარი, რომელიც სწრაფად ძლიერდება.

ამხ. ლვამიჩავას ტელეფონოგრამა

გუშინ დღის 12 საათზე საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ლვამიჩავასაგან** მიიღო შემდეგი ტელეფონოგრამა:

ქუთაისში გაჩნდა ხანძარი. დაიწვა ებრაელების უბნის ნაწილი. ცეცხლი ძლიერდება და გადადის სხვა უბნებზე. ამინდი მზიანია. ქრის ქარი, რაც ხელს უწყობს ცეცხლის გამძვინვარებას. ადგილობრივი ცეცხლის მქრობელი რაზმი უძლურია ჩააქროს გამძვინვარებული ცეცხლი. სასწრაფოდ გამოიწვიეთ სამტრედიის, შორაპნის, ფოთის და ბათომის ცეცხლის მქრობელი რაზმები. გთხოვთ აღნიშნულ რაზმებს მისცეთ სასწრაფო განკარგულება. წესრიგს ქალაქში იცავს გარნიზონი. ქალაქში სიწყნარეა. დამატებით ცნობებს მოგაწვდით ორ საათში.

სახკომსაბჭოს განკარგულება

საქართველოს სახკომსაბჭომ სასწრაფო განკარგულება მისცა ბათომის, ფოთის, სამტრედიის და შორაპნის ცეცხლის მქრობელ რაზმებს სასწრაფოდ გაემგზავრონ ქუთაისში მისაშველებლად.

ბრანდმაიორ ამხ. ბერიძეს მიეცა განკარგულება სპეციალური მატარებლით სასწრაფოდ გაემგზავროს ქუთაისში.

მეორე ტელეფონოგრამა

გუშინ ორ საათზე სახკომსაბჭომ ამხ. **ლვამიჩავასაგან** მიიღო მეორე ტელეფონოგრამა:

ცეცხლი ძლიერდება. სამტრედიის ცეცხლის მქრობელი რაზმი გამოვიდა სამტრედიიდან და მალე ჩამოვა. დანარჩენი პუნქტებიდან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. ქალაქში დაიწყო პანიკა. გთხოვთ დანიშნოთ მთავრობის კომისია.

ბრანდმაიორი ბერიძის გამგზავრება ქუთაისში

გუშინ ნაშუადღევის სამ საათზე და 30 წუთზე სპეციალური მატარებლით სასწრაფოდ გაემგზავრა ქუთაისში ბრანდმაიორი ბერიძე, რომელმაც თან წაიყვანა 20 თანამშრომელი და წაიღო სახანძრო მანქანები.

მესამე ტელეფონოგრამა

საღამოს 8 საათზე სახკომსაბჭომ [illegible] ტელეფონოგრამა:

ცეცხლი ძლიერდება. უკვე დამწვარია 100-ზე მეტი სახლი. როგორც ირკვევა, არის ადამიანის მსხვერპლიც. კერძო ცნობების თანახმად; პირველათ ცეცხლი გაჩნდა ერთი ებრაელის ოჯახში სამოვრიდან. ამჟამად ხანძარი ღებულობს საშიშ ხასიათს. ცეცხლის ჩასაქრობად მიღებულია ყოველგვარი ღონისძიებები.

ამხ. ს. ჯუღელის გამგზავრება

გუშინ საღამოს ქუთაისში გაემგზავრა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯუღელი, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა საქმის მდგომარეობას.

ცეცხლი კლებულობს

გუშინ ღამის 11 საათზე ამხ. **ლვამიჩავასა** და **კეკელიასაგან** მიღებულია დეპეშა: ცეცხლის გაჩენის შემდეგ წესრიგის დასაცავად გამოყვანილ იქნა გარნიზონი. ამასთანავე მიღებული იყო ზომები ქალაქის, ფაბრიკების, ქარხნების და დაწესებულებათა დასაცავათ. ცეცხლმა საშიში ხასიათი მიიღო იმის გამო, რომ ებრაელების უბანში დიდი უმეტესობა ხის სახლებია და, გარდა ამისა, ქროდა ძლიერი ქარი. მძვინვარე ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლას აფერხებდა წყლის და სათანადოთ მოწყობილი ცეცხლის მქრობელი რაზმის უქონლობა.

დროზე მიღებული ენერგიული ზომებით და გარნიზონის თავგანწირული მუშაობით საღამოს 5 საათისთვის შესაძლო შეიქნა ცეცხლის იმდენათ შესუსტება რომ ის არ გადასულიყო სხვა უბნებზე. ხანძარი ჯერ კიდევ არ არის ჩაქრობილი.

საღამოს 5 საათისთვის მოვიდნენ ცეცხლის მქრობელი რაზმები ბათომიდან, ხაშურიდან და ფოთიდან. მიღებულია ყოველგვარი ზომა და ვფიქრობთ, რომ ცეცხლს მალე ჩავაქრობთ.

ჯერ-ჯერობით გამორკვეულია, რომ ცეცხლში დაიღუპა 10 კაცი. დამწვარი სახლების და ზარალის გამორკვევა ჯერ შეუძლებელია. ზარალი ძალიან დიდია. 5.000 კაცამდე მოსახლე დარჩენილია ქუჩის ამარა, უბინაოთ. დანიშნულია კომისია, რომელსაც დაევალა დაზარალებულთათვის ბინების აღმოჩენა და მათი უზრუნველყოფა პურითა და წყლით.

გთხოვთ სასწრაფოთ გადმოგზავნოთ ფქვილი, ვინაიდან ჩვენი მარაგი მეტად მცირეა.

დაზარალებულთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენათ საჭიროა გადმოგვიგზავნოთ ფული.

ამხ. ლ. ქართველიშვილის დეპეშა

გუშინ, ღამის 11 საათზე, საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლ. ქართველიშვილმა ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ლვამიჩავას** გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: მოსახლეობა უზრუნველყავით პურით. გიგზავნით სამ ვაგონ ფქვილს. მიიღეთ ყოველგვარი ზომა დაზარალებული მოსახლეობისათვის ბინების აღმოსაჩენად.

მეხანძრეთა რაზმები

ხანძრის გაჩენისთანავე სასწრაფოდ გამოცხადდა ქალაქის და რკინის-გზის მეხანძრეთა რაზმები, მაგრამ მათი დახმარება წვეთი იყო ზღვაში, რადგან ცეცხლი **ებრაელთა მთელ უბანს მოედო**.

ნაშუადღევის ოთხ საათზე უკვე ცეცხლის ალში იყო გახვეული შემდეგი ქუჩები: **გელათის**, **შაუმიანის**, **აზერბეიჯანის**, **ინტერნაციონალის**, **კლარა ცეტკინის** და **ჯაფარიძის**.

ოთხასზე მეტი მოსახლეა განადგურებული

ხანძრის ადგილას გამოცხადდა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ლვამიჩავა**, მაზრკომის მდივანი **კეკელია** და სხვები. იმ წამსვე გამოწვეულ იქნა მილიციის და ჯარის ნაწილები. მობილიზაცია უყვეს დროგებს, წყლის საზიდ ბოჭკებს, საბარგო ავტომობილებს და სხვა. ადამიანის ძალა თითქმის უძლური გამოდგა ხანძართან ბრძოლაში. საღამოს 6 საათისათვის ოთხასზე მეტი მოსახლე იყო დამწვარი, დანგრეული და განადგურებული. 6 საათიდან ხანძართან ბრძოლა უფრო გაადვილდა, რადგან ამ დროისათვის ქუთაისში თავი მოიყარა სამტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურის, ხაშურის რკინისგზელთა მეხანძრეთა რაზმებმა. ხანძართან ბრძოლას ხელს უშლიდა და აბრკოლებდა წყალსადენის უქონლობა. 6 საათზე მოგვეშველა ბათომის მეხანძრეთა რაზმი. წყალს ეზიდებიან ვედრებითაც, მაგრამ 7 საათამდე ქარი არ ცხრება და ცეცხლი ერთი შენობიდან მეორეში გადააქვს. არის შემთხვევა, რომ იქა-აქ, შიგა და შიგ უბრალო ფიცრული ქოხები არის გადარჩენილი, ხოლო არც ერთი თვალსაჩინო შენობა არ გადარჩენილა.

საღამოს შვიდი საათიდან ხანძარმა იკლო

შვიდი საათიდან ხანძარმა იკლო. 9 საათისათვის თბილისიდან მოელიან თბილისის მეხანძრეთა რაზმს, რომელიც სპეციალური სასწრაფო მატარებლით არის წამოსული.

რამოდენიმე ათასი სული უსახლკაროთ

სასოწარკვეთ შთაბეჭდილებას სტოვებს რამოდენიმე ათასი სული, რომლებიც უსახლკაროდ და ულუკმა პუროთ არის დარჩენილი. სახლებიდან გამოტანილი ბარგით სავსეა ქუთაისის ქუჩები და ბაღები. ქალაქის აღმასკომი სასწრაფოდ აწყობს პურის მიწოდებას. ქალაქი შეკრულია, რომ ძარცვა-გლეჯას არ ჰქონდეს ადგილი. იმდენად სწრაფად მოხდა ცეცხლის გაჩენა და განვითარება, რომ არის ადამიანის მსხვერპლიც. ჯერჯერობით გელათის ქუჩაზე აღმოაჩინეს ერთი დამწვარი ქალის გვამი, ხოლო შაუმიანის ქუჩაზე ახლად მოლოგინებული ქალი ბავშვით, რომელიც ლოგინში დამწვარა. მრავალია დამწვარი და დასახიჩრებული. ჯერჯერობით ათამდე მძიმეთ დასახიჩრებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჯერ-ჯერობით ჭირისუფალთ ვერ მიუგნიათ დამწვარი თავისიანები. აქა-იქ წააწყდებით ქუჩაში უპატრონოდ მიტოვებულ აკვნიან ბავშს.

საჭიროა სწრაფი დახმარება

ზარალი უნდა აღწევდეს მილიონზე მეტს. საჭიროა სწრაფი და საგრძნობი დახმარება ყოველმხრივ. ქალაქის ჰაერი სიცხით არის გაჟღენთილი. ხანძრის ახლობელ რაიონებში ქუჩა ფეხს არ იკარებს, გახურებულია.

7 საათიდან ქარი ცოტა ჩადგა და არის ნიშნები იმისა, რომ ამაღამვე შეძლება მოხდეს ხანძრის ლიკვიდაცია.

ქუთაისი, 10 მაისი ღამის 1 საათი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ღამის 11 საათია. თბილისის ცეცხლის მქრობელი დამხმარე რაზმი ჯერ კიდევ არაა ჩამოსული. ქუთაისისა და სამტრედიის რაზმები ქანცმილეულნი არიან. მათ სცვლიან ხაშურის, ჭიათურის, ბათომის და ფოთის რაზმები.

ქალაქის დასავლეთი ნაწილი ბნელს მოუცავს, ხოლო აღმოსავლეთით ცა მთლად შეწითლებულია. ზოგჯერ დამცხრალი ქარი თითქოს ვიღაცამ გააჯავრაო,—წამოუბერავს და სადღაც ავარდება ალი.

ღამის 11 საათისათვის ხანძარი ძლეული არაა, მაგრამ საკმაო ენერგიულ ზომებს იღებენ, რომ ცეცხლი მთლად არ გადავიდეს და სხვა შენობებს მაინც [illegible]. ამისათვის შიგა და შიგ კვლავ ანგრევენ შენობებს, რომ ცეცხლის სვლას გზა დაუჭრან; არის საიმედო ნიშნები, რომ ხანძარი დიდხანს ვეღარ იბოგინებს. მით უმეტეს, რომ თბილისიდან წამოსული დამხმარე რაზმი ამჟამად უკვე სად. სვირიდან გვირეკავს—გამოვედითო.

ხალხი ქუჩებშია, ცეცხლიდან გაშორებით, რადგან ახლომახლო ქუჩები შეკრულია წითელ არმიელებით.

ძნელია აღწერა დაზარალებულთა მდგომარეობის. ვინ შვილებს ეძებს, ვინ ქმარს, ვინ დედას და ნათესავებს. დიდია ხელისუფლების დახმარება, მაგრამ ასე მალე ამდენ გაჭირვებულს ვინ გასწვდება!

ეზოები, ბაღები, სკოლები, დამწვარ განადგურებული ხალხითაა სავსე.

ქუთაისს ასეთი განსაცდელი ჯერ არ უნახავს. ასეთი [illegible] იშვიათად და შესაძლებელი.

ღამის 11 საათსა და 20 წუთზე ქალაქს ცეცხლი ზედმეტად საშიში აღარაა.

ღამის 12 საათზე ცეცხლს მნიშვნელოვნად ეტყობა დაცხრომა. ქალაქი შედარებით მშვიდდება, ხოლო აღმასკომსა და პარტკომში გამუდმებული ფუსფუსია: დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს დაზარალებულთა დახმარების საქმის მოწესრიგება.

ქუთაისი, 10 მაისი საღამოს 8 საათი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

სად და როგორ გაჩნდა ცეცხლი

მხოლოდ უდიდეს მიწის ძვრას შეეძლო ასეთი ზიანის მიყენება ქალაქისათვის.

დილის 10 ½ საათზე ებრაელთა განაპირა უბანში გელათის კუთხის ბოლოში, იქ, სადაც ებრაელთა ზედა სალოცავია, იფეთქა ცეცხლმა.

როგორ გაჩნდა ხანძარი? უტყუარი ვერსია ასეთია: სავაჭროდ წასულ **ისაკ ელიგულაშვილის** ფიცრულ სახლში დარჩენილ ქალებს და ბავშვებს აკიდებული პრიმუსისათვის არ მიუქცევიათ ყურადღება. პრიმუსი გამსკდარა და სახლს წაჰკიდებია ცეცხლი.

საუბედუროდ, დღეს დილით საკმაოდ ძლიერი ზენა ქარი უბერავდა. ელიგულაშვილის სახლიდან ცეცხლი ელვის სისწრაფით გადავიდა იქვე ახლო დასახლებულ ებრაელ მოსახლეობაზე. თუ რამდენად ჩქარი იყო ხანძრის ტემპი, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ნაშუადღევის 12 ნახ. საათზე, ე. ი. ორი საათის განმავლობაში უკვე 27 მოსახლეზე მეტი იყო დამწვარი.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოსაგან

ქუთაისი, 10 მაისი. დღეს, დილის 10 საათზე ებრაელთა უბანში, გელათის ქუჩაზე ებრაელთა თორას მახლობლად გაჩნდა ხანძარი. ძლიერი ქარის გამო ხანძარი სწრაფად განვითარდა მჭიდროთ დასახლებულ უბანში. ხანძრის ჩასაქრობად მაშინვე მიიღეს ზომები ქალაქის ყველა მეხანძრეთა რაზმებმა, მაგრამ წყალსადენის უქონლობამ ქალაქში მეტად გააძნელა ხანძრის ჩაქრობა. წყალის მისაწოდებლად მობილიზაცია უყვეს ყველა გადასაზიდ საშუალებებს.

დღის 4 საათზე ცეცხლი მოედო თითქმის მთელ უბანს. საღამოს 6 საათისათვის დამწვარი იყო დაახლოებით 300 სახლი.

ამ დროს ზესტაფონიდან, ფოთიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოვიდნენ მეხანძრეთა რაზმები. უსახლკაროდ დარჩენილთ დახმარებას უწევს წითელი ჯვარი. ამ უკანასკნელის ცნობებით, დაიწვა სამი ადამიანი—მამაკაცი, ქალი და ბავშვი. მძიმედ დაშავდა 8 კაცი.

ქუთაისის ქუჩები სავსეა უსახლკაროდ დარჩენილებით და მათი ნივთებით. ზარალი რამდენიმე ასეულ ათას მანეთს უდრის.

საღამოს 7 საათზე ცეცხლმა იკლო. ქუთაისში მოელიან მეხანძრეთა ახალ რაზმებს.

კულტურული რევოლიუცია და თეატრის ამოცანები

(ამხ. ს. მამულიას მოხსენებიდან თეატრალურ თათბირზე)

ამხანაგებო! კულტურული რევოლიუციის საკითხი არ არის ახალი საკითხი, ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც მუშათა და გლეხთა წინაშე დასვა, როგორც პრაქტიკული ამოცანა, ქვეყნის გარდაქმნა სოციალისტურ ყაიდაზე, ბუნებრივად დააყენა მათ წინაშე კულტურული რევოლიუციის საკითხიც. ოქტომბრის რევოლიუციის და შემდეგი პერიოდის მშენებლობის სოციალ-ეკონომიური შინაარსი არის სოციალიზმის შენება, სოციალიზმი ისეთი კულტურული მოვლენაა, რომ მისი შენება უკულტუროთ არ შეიძლება, მუშები და გლეხები ვერ შესძლებენ ქვეყნის მართვა-გამგეობას, თუ მათ კულტურა არ ექნებათ. კულტურული რევოლიუციის საკითხი განსაკუთრებით მწვავეთ სდგას მუშათა კლასის წინაშე, ყოველ კლასს წინეთ ჰქონდა საშუალება ზიარებოდა კულტურას. ამ საშუალებას მოკლებული იყვნენ მხოლოდ მუშები და გლეხები. მათ ამის შესაძლებლობა მიეცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ძალა-უფლება დაიპყრეს.

კულტურული რევოლიუციის საკითხი არა ერთხელ და ორჯელ დასმულა ჩვენი პარტიის წინაშე, **ლენინი** ამა თუ იმ მნიშვნელოვან სამეურნეო საკითხთან დაკავშირებით ყოველთვის სვამდა კულტურული რევოლიუციის საკითხსაც. როდესაც ლენინმა გადაშალა ხელის უფლების და პარტიის წინაშე კოოპერატიული მშენებლობის გეგმა, მაშინ მან დასვა კულტურული რევოლიუციის საკითხიც. ლენინს არ ჰქონდა წარმოდგენილი კოოპერატიული მშენებლობა გარეშე მასების მომზადებისა.

როდესაც ლენინმა დასვა პარტიის და ხელის უფლების წინაშე ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საკითხი, მაშინ მან ამასთან დაკავშირებით დასვა კულტურული რევოლიუციის საკითხიც. გარეშე განათლებისა, გარეშე კულტურისა ლენინს ვერ წარმოედგინა ვერც ბიუროკრატიზმის დაძლევა და ვერც სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება. კულტურული რევოლიუციის საკითხის გადასაჭრელად მთელი სიგრძე-სიგანით ლენინი აყენებდა სამ პირობას: ა) საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებას, ბ) წერა-კითხვის გავრცელების განსაზღვრულ დონეს მიღწევას და გ) შინაური სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებას და განსაზღვრულ მატერიალურ ბაზისს.

გვაქვს თუ არა ჩვენი განვითარების დღევანდელ პერიოდში მოცემული ეს სამი პირობა, რომ დავსვათ მისი სრული მნიშვნელობით კულტურული რევოლიუციის საკითხი? გვაქვს. ჩვენი საგარეო მდგომარეობა, წინანდელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა. ჩვენ გვიცნო მთელმა რიგმა სახელმწიფოებისამ. მართალია, ბურჟუაზიული სახელმწიფოები ხშირად სხვადასხვა ხრიკებს მიმართავენ ჩვენ წინააღმდეგ. ზოგჯერ მწარეთაც გვკბენენ. მაგრამ ჩვენი შინაური ზრდის და ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჩვენს მოკავშირეთა ძალების ზრდის საფუძველზე, ჩვენი საგარეო მდგომარეობა გაცილებით უკეთესია ახლა, ვიდრე წინათ იყო.

აიწია საერთოდ ჩვენმა კულტურულმა დონემ. ამ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში სკოლების რიცხვი საქართველოში 1.800-დან 180.000 მოსწავლით და 6.100 მასწავლებლით გაიზარდა 2.100-მდე 290.000 მოსწავლით და 10.400 მასწავლებლით. ყველა ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი მენშევიკების დროს არ აღემატებოდა 25—30.000 ცალს. ახლა კი ჩვენ გვაქვს 14 გაზეთი 125.000 ტირაჟით და 30 ჟურნალი 55.000 ტირაჟით. უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში წერა-კითხვა შეისწავლა 350.000 კაცმა და ქალმა 15—40 წლამდე. ამ ორი წლის წინად ჩვენ მივაღწიეთ სამეურნეო განვითარების ომის წინა დროის დონეს და გადავედით რეკონსტრუქციის და ფართო ახალი კაპიტალური მშენებლობის ხანაში. ავაშენეთ და შენდება აუარებელი ფაბრიკები, ქარხნები და ელექტროსადგურები. ელექტროფიკაციის საკითხში ჩვენ უფრო წინ წავედით, ვიდრე ჩვენ ამისათვის მზად ვართ. ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი უკულტურობის გამო ზაჰესის ენერგიის სავსებით გამოყენება. სოფლის მეურნეობის განვითარებამ უკვე მიაღწია ისეთ დონეს რომ ძველი გზით მისი განვითარების პირობებში ერთი მესამედი მეურნეობათათვის ერთი ცხენის შენახვაც კი საზარალოა. მანქანაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. სოფლის მეურნეობის გამოყვანა ჩიხიდან და მისი შემდგომი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ „მაშინიზაციის", კოლექტივიზაციის და აგრონომიის მიღწევების გამოყენების გზით. დღეს ჩვენი შემდგომი სამეურნეო განვითარება ეჯახება ჩვენს უკულტურობას; გარეშე კულტურული ზრდისა, ჩვენი შემდეგი სამეურნეო ზრდა შეუძლებელია. ამაზე ბევრი ითქვა მე-15 პარტყრილობაზე და ამ ყრილობამ სთქვა, რომ კულტურული რევოლიუციის საკითხი სამეურნეო რევოლიუციის საკითხის განუყრელ ნაწილს შეადგენს.

ჩვენს წინაშე სდგას კულტურული რევოლიუციის შემდეგი ამოცანები: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ურომლისოთ შეუძლებელია კულტურული წინსვლა და განვითარება; ბ) მუშათა შეგნების ამაღლება იქამდის, რომ მათ გაიგონ ის ამოცანები, რომელსაც დღეს პარტია აყენებს მრეწველობის დარგში, გ) გლეხების კულტურული დონის აწევა, რომ მათ შეიგნონ მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობათა უპირატესობა წვრილ, კერძო მეურნეობათა წინაშე. დ) შექმნა ახალი ადამიანის, გარდაქმნა ძველი ყოფა-ცხოვრების, ძველი ჩვეულებების, ტრადიციების, როგორიცაა—სიმთვრალე, სახელმწიფო ქონებისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობა, ქალზე ძველი შეხედულება, სხვადასხვა რელიგიური წესების შესრულება და სხვა. ე) ახალგაზრდობის აღზრდა ახალი ყოფა-ცხოვრების საფუძველზე; ვ) მომუშავეთა ახალი კადრის შექმნა; ზ) კულტურაზე ზიარება მოსახლეობის ფართო მასების, ფართო ფენების, რომ მათ შესძლონ ძველი კულტურის კრიტიკული შეთვისება კულტურულ განძთა ახალ შემომქმედთა მოცემა.

ჩვენ გვაქვს აუარებელი ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელნიც კულტურის საქმეს ემსახურებიან: ბიბლიოთეკები, სასწავლებლები, გამომცემლობა, მწერლობა, თეატრი, კლუბები და სხვადასხვა. კულტურული რევოლიუცია მოითხოვს ამ დაწესებულებათაგან მათ შინაგან რეკონსტრუქციას, რომ მათ შესძლონ ნამდვილი სამსახური იმ გრანდიოზულ სამეურნეო საზოგადოებრივ მშენებლობისათვის, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

წინათ თეატრი ჩვენში (და ახლაც კაპიტალისტურ ქვეყნებში) ემსახურებოდა ძველ კულტურას—ბატონყმურს და ბურჟუაზიულს და მაშინ გაბატონებულ კლასებს; ის იყო არა მასისათვის, არამედ საზოგადოების მცირე პრივილეგიურ ნაწილისათვის; მასში აღზრდის ელემენტს სჭარბობდა გართობის ელემენტი. ჩვენი თეატრი უნდა იყოს არა გართობის საშუალება, არამედ მძლავრი იარაღი მუშათა კლასის ხელში საზოგადოების აღზრდის და გარდაქმნის საქმეში.

თეატრი მისი ზეგავლენის თვალსაზრისით არის ფორმა, რომელიც ძლიერ მოქმედობს მაყურებელზე. თეატრის საშუალებით ადამიანი ამა თუ იმ იდეას ითვისებს ტვინით, გრძნობით, სმენით, მხედველობით და სხვა. თეატრალურ ფორმებში მოცემული იდეა ადვილი გასაგებია. თეატრი იძლევა ისეთი ადამიანის აღზრდის და გარდაქმნის საშუალებას, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, არა აქვს განვითარების განსაზღვრული დონე. ამიტომ თეატრს ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა მუშებისა და გლეხებისათვის. მუშა და გლეხი, რომელთაც ეძნელებათ ორი საათით მოხსენება-ლექციის მოსმენა, სიამოვნებით უყურებენ წარმოდგენას, რომელიც 4—5 საათი გრძელდება, და იქიდან ითვისებენ ამა თუ იმ იდეას. თეატრის ასეთი დიდი მნიშვნელობა აყენებს საკითხს მისი შინაარსის შესახებ. თეატრი უნდა იყოს ახალი ყოფა-ცხოვრების, ახალი ურთიერთობის, ახალი იდეების, ახალი მშენებლობის, რაციონალიზაციის და კოლექტივიზაციის პროპაგანდისტი.

ის უნდა იყოს ორგანიზატორი ახალი ადამიანის ფსიხიკის, რასაკვირველია, მხატვრული ფორმებში, ამიტომ თეატრს ჩვენგან დიდი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ ეს ყურადღება მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ჩვენ გვაქვს შედგენილი ხუთ-წლიანი გეგმა სამეურნეო მშენებლობის დარგში, მაგრამ ასეთ გეგმაზე ჯერ ჩვენ არ გვიფიქრია თეატრალურ მშენებლობის დარგში.. თეატრალური კადრების მოსამზადებლად ჩვენ არ გვაქვს არავითარი სასწავლებელი და სხვა...

თეატრი თავისი შინაგანი კონსტრუქციით სინთეთიური ხელოვნებაა, ის კოლექტიური მოქმედების ნაყოფია და კოლექტივის სანახავად არის დანიშნული. თეატრის ძირითადი ელემენტებია: ლიტერატორი, რეჟისორი და მსახიობი. შემცდარია ის, ვინც იტყვის, რომ რეჟისორი არაფერია და მსახიობი ყველაფერი, ან—მსახიობი ყველაფერია და რეჟისორი არაფერი, ან და დრამატურგი ყველაფერია და სხვა არაფერი. სამივე ელემენტი ერთნაირად საჭიროა. სამივე ელემენტის ჰარმონიული შეთანხმება იძლევა მათ ჰარმონიულ შემოქმედებას.

იმისათვის, რომ შევქმნათ ახალი საბჭოთა, რევოლიუციონური თეატრი, საჭიროა დრამატურგი, რომელიც მოგვცემს ახალი ადამიანის ტიპს, მოგვცემს მხატვრულ ფორმებში ახალ ურთიერთობას, ახალი ყოფა-ცხოვრების სურათებს, მეურნეობის სოციალისტური ფორმების ძლევამოსილ ბრძოლას კაპიტალისტურ ფორმებთან და სხვა. ახალ თეატრს სჭირია ისეთი მსახიობი, რომელსაც შეუძლია ახალ განცდათა, ახალ მისწრაფებათა, ახალ იდეათა გამოხატვა, ახალი ადამიანის ტიპის მოცემა და სხვა. ახალ თეატრს სჭირია ისეთი რეჟისორი, რომელიც არამც თუ ემსახურება მსახიობს, არამც თუ ამყარებს მთლიანობას ხელოვნების სხვადასხვა ელემენტებს შორის, არამედ რომელიც რეაქციონურ პიესას გადააკეთებს რევოლიუციონურ პიესად. ამ თვალსაზრისით შეიძლება იყონ რევოლიუციონერი და კონტრ-რევოლიუციონერი დრამატურგი რეჟისორი და მსახიობი. ჩვენი დრამატურგია ძლიერ სუსტია. ჩვენმა დრამატურგებმა ჯერ ვერ მოგვცა საჭირო პიესები, ჩვენი თეატრი რევოლიუციონურ გზაზე შედგა არა ორიგინალური, არამედ თარგმნილ პიესების საშუალებით. ქართულ დრამატურგიაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ იყო ცდები ახალი პიესების მოცემის. ყანწელების წარმომადგენელმა გრიგოლ რობაქიძემ მოგვცა „მალშტრემი" და „ლამარა". აქ არის მოცემული ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა გამოიხატება მანქანების ნგრევაში და სოფლის პრიმიტიულობის იდეალიზაციაში.

იყო ცდები საბჭოთა კომედიისა, აზიანი ქმნის კომედია „დეზერტირკა"-ს, მაგრამ იქ ტიპები დამახინჯებულია. ტიპი ბოლშევიკისა ძალზე დამახინჯებულია. შემდეგ შიუკაშვილი იძლევა—„ამერიკელი ძიის გასაბჭოება"-ს რომელიც იდეოლოგიურად სრულიად გაუმართლებელია. ახალი ცხოვრების მშენებელი ტიპი ძალზე დამახინჯებულია. პატიოსანი კომუნისტი გამოყვანილია რეგვენად, ჭკვიანი-კი შანტაჟისტად და აფერისტად. დრამატურგიაში ჩვენ ორივე ფეხებით მოვკოჭლობთ, მოვისუსტებთ. ჩვენს დრამატურგებს სჭირიათ განსაკუთრებული მუშაობა, გაგება და შესწავლა იმისა, რაც ეხლა ხდება, მისი მოცემა მხატვრულ ფორმებში. თემატიკა ჩვენი მდიდარია. არც ერთ კლასს არა აქვს ისეთი მაღალი და ფართო იდეალები, როგორც პროლეტარიატს. უკანასკნელ ხანებში ჩვენი თეატრი მტკიცედ დგება რევოლიუციონურ გზაზე. პირობები იმისათვის, რომ თეატრი ზესდგეს ამ გზაზე, ჩვენ ბევრი გვაქვს; ასეთებია: პროლეტარიატის დიქტატურა, სახელმწიფო სუბსიდია, განათლების კომისარიატთან არსებული სახელოვნო კომიტეტი, საბჭოთა პრესა, ახალი მაყურებელი, ფართო საზოგადოებრიობა, ახალი ყოფა-ცხოვრება ახალი კულტურა და სხვა.

მიუხედავად ამისა, ჯერ თეატრს და ჩვენს სათეატრო მუშაობას ბევრი ნაკლი აქვს. ასეთებია: ა) თეატრი მოწყვეტილია ჩვენს სინამდვილეს. ის ახლოს ვერ დგას იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საზოგ.-სამეურნეო მუშაობასთან, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, ის ვერ შეეხო იმ პრობლემებს, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას მეურნეობის დარგში: რაციონალიზაცია, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ბრძოლა უკულტურობასთან, ცრუმორწმუნეობასთან და სხვა.

ბ) ჩვენი დრამატურგია ძალიან მოიკოჭლებს; ის თავის შემოქმედებაში გვისურათებს სიყვარულს ან წვრილმან დამოკიდებულებას ადამიანებს შორის; მაგრამ ვერ იძლევა იმ დიდი პროცესების და შემოქმედების სურათს, რომელიც სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში;

გ) არ არის მჭიდრო კავშირი ლიტერატურასა და თეატრს შორის. არა გვაქვს თანამშრომლობა მათ შორის;

დ) ჩვენი თეატრი შებორკილია წარსულის ტრადიციებით; ის არ იძვრება ერთი ადგილიდან, რომ დაუახლოვდეს მაყურებელს და გაავრცელოს თეატრალური კულტურა;

ე) სუსტია კავშირი თეატრისა და მაყურებელს შორის, თეატრი ვერ იცნობს მაყურებელს, არ ესაუბრება მას, სუსტია თეატრალური კრიტიკა;

ვ) სუსტია ერთმანეთთან სხვადასხვა თეატრალურ კოლექტივების კავშირი; სულ არაა კავშირი პროვინციასთან; სუსტია პროფესიონალური თეატრების კავშირი საკლუბო თეატრებთან, რომელიც რიცხვით ბევრია და რომელსაც ძალიან ბევრი მაყურებელი ყავს;

ზ) ჯერ კიდევ ადგილი აქვს მსახიობთა კორპორატიულ კარჩაკეტილობას; არ არის მათში საკმაოთ განვითარებული საზოგადოებრიობა; ისინი თავს გრძნობენ, როგორც გარე კლასიურ ელემენტი;

თ) სუსტია თეატრალური ქსელი; სათეატრო მშენებლობა ძალიან სუსტად და უგეგმოთ მიმდინარეობს; არა გვაქვს თეატრალური სკოლა ახალი კადრების მოსამზადებლად, განსაკუთრებით, პროვინციისათვის, რომელიც სავსებით უყურადღებოდ არის დატოვებული;

ი) ძლიერ ცოტა გვაქვს წიგნები თეატრალური კულტურის შესახებ; არა გვაქვს მხატვრული ჟურნალი და სხვ.;

კ) რეპერტუარი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი; სულ გვაქვს რამდენიმე რევოლიუციონური პიესა;

ლ) ჩვენი თეატრების დეფიციტიანობა ჯერ კიდევ ძალიან დიდია;

მ) საბავშო თეატრს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა არც თბილისში და არც სხვაგან.

ამოცანები

ა) თეატრის დაახლოვება სინამდვილესთან და იმ მშენებლობასთან, რომელსაც პარტია აწარმოებს; პროპაგანდა იმ ღონისძიებათა, რომელსაც ხელისუფლება ღებულობს: რაციონალიზაცია, კოლექტივიზაცია, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ბრძოლა უკულტურობასთან, და სხვა; თეატრმა უნდა იცოდეს—რა გვჭირია ჩვენ; თეატრი ხელს უნდა უწყობდეს ახალი იდეოლოგიის და ურთიერთობის განმტკიცებას.

ბ) ჩვენმა დრამატურგებმა უნდა გაიგონ ის პროცესები, რომელიც ხდება ჩვენს სინამდვილეში; მათ უნდა შესძლონ ასახვა იმ ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს ჩვენში სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის [illegible] და გამარჯვებით უკანასკნელის მხარეზე; მათ უნდა მოგვცენ ახალი ტიპები, ახალი ყოფა-ცხოვრების სურათი;

გ) მჭიდრო კავშირის დამყარება და თანამშრომლობა ლიტერატურასა და თეატრს შორის; ლიტერატორი უნდა ეხმარებოდეს თეატრს და აძლევდეს იმას, რაც თეატრს სჭირია; თეატრიც თავის მხრივ უნდა ეხმარებოდეს ლიტერატორს;

დ) თეატრმა უნდა დასწყვიტოს წარსულის ტრადიციის ბორკილები. საჭიროა ის მთელი სეზონით გადადიოდეს ერთი ადგილიდან მეორეზე და უკავშირდებოდეს ახალ მაყურებელს;

ე) საჭიროა მაყურებლებთან საუბარი. მათი აზრის გაგება, მათი კრიტიკა, მათი ორგანიზაცია და ჩაბმა თეატრალურ მუშაობაში;

ვ) საჭიროა თეატრალური კოლექტივების ერთმანეთთან დაკავშირება, ბრძოლა სხვადასხვა თეატრალურ მიმართულებათა, რომ უკეთესი თეატრალური ხელოვნება მივიღოთ; საჭიროა მოვსპოთ ის იზოლაცია, რომელიც არის სხვადასხვა თეატრალურ კოლექტივებს შორის, უნდა დაინგრეს მათ შორის ამართული ჩინური კედლები;

ზ) უნდა მოისპოს კორპორატიული კარჩაკეტილობა; საჭიროა კავშირი მასებთან; საჭიროა მსახიობებმა შეიგნონ, რომ ისინი ისეთივე საზოგადოებრივი მომუშავენი არიან, როგორც სხვები; საჭიროა საზოგადოებაც ახლოს უყურებდეს მსახიობებს;

თ) საჭიროა თეატრალური ქსელის და მშენებლობის გაფართოება; ხუთწლიანი გეგმის შედგენა და მთელს სათეატრო მუშაობაში გეგმიანობის შეტანა ისე, როგორც ეს სხვა დარგებში არის; საჭიროა თეატრალურ სკოლაზე ზრუნვა; საჭიროა თეატრალურ კადრების მომზადება პროვინციისათვის, საჭიროა ზრუნვა ძველ მსახიობთა აღზრდაზე, რათა მათ შესძლონ ახალი ტიპების მოცემა, ზრუნვა მსახიობთა ახალ კადრების შექმნაზე;

ი) საჭიროა გამომცემლობის გაძლიერება თეატრალურ კულტურაზე და საკითხის დასმა ერთი მხატვრული ჟურნალის დაარსების შესახებ;

კ) საჭიროა რევოლიუციონური რეპერტუარის შექმნა; მომავალ სეზონამდის დარჩენილი დრო ამისათვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ;

ლ) საჭიროა დეფიციტიანობის მინიმუმამდე დაყვანა და ამისათვის მაყურებელთა ორგანიზაცია;

მ) საჭიროა ზრუნვა საბავშო თეატრზე, მისი ჩაყენება განსაზღვრულ მდგომარეობაში აქაც და პროვინციაშიაც. ახალი, საბჭოთა დრამატურგები, ახალი, საბჭოთა მსახიობი, ახალი, საბჭოთა რეჟისორი, მათი ჰარმონიული მოქმედება, მასების აღსაზრდელად საზოგადოების გარდასაქმნელად სოციალისტურ ყაიდაზე, მათი ერთგული სამსახური იმ ჰიგანტიურ საზოგადოებრივ-სამეურნეო და პოლიტიკურ საზოგადოებრივ მშენებლობისათვის, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ,—აი ის ძირითადი ამოცანა, რომელსაც აყენებს ახალი თეატრის წინაშე კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ტყიბულის ქვანახშირის რაიონის გამოკვლევა

(საქ. სახ. პოლიტ. სამმართველოს მასალების მიხედვით)

ტყიბულის ქვანახშირის რაიონის ექსპლოატაციის დაწყებიდან იქ რამდენჯერმე ხანძარი გაჩნდა. უკანასკნელი ხანძარი მოხდა 1927 წლის ივლისში. ეს ხანძარი ისეთ პირობებში გაჩნდა, რომ საფიქრებელი იყო ან ბოროტი განზრახვა, ან დანაშაულებრივი დაუდევრობა. ამასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნა მაღაროების მთავარი ინჟენერი ელიაძე, მაგრამ შემდეგ ისევ იქნა განთავისუფლებული.

დონბასის შახტის რაიონის ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის აღმოჩენამ საქმეს ახალი მიმართულება მისცა. გამოირკვა, რომ ელიაძე 1924 წლამდე დონბასის სწორედ ამ რაიონში მუშაობდა; მას იქ თვალსაჩინო თანამდებობანი ეჭირა და დაკავშირებული იყო შახტის კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის მონაწილეებთან. ელიაძე ხელახლა დააპატიმრეს, ხოლო საქმის დაწვრილებით გამოსარკვევად ტყიბულში გაიგზავნა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიოდნენ საქ. სახ. პოლიტ. სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ბერია, საქ. სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ავაქოვი და საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ხვედელიძე.

კომისიამ შემდეგი სურათი გამოარკვია:

ქვანახშირის ამოღების საქმეს მაღაროებში. ნახშირის ფენების ექსპლოატაციის მთელ სისტემას ახასიათებს დანაშაულებრივი დაუდევრობა, მუშაობის მტაცებლური წესი, სამთო საქმის ელემენტარულ დებულებათა დარღვევა.

თვით ელიაძე (მაღაროების მთავარი ინჟენერი და ტეხნიკური დირექტორი) თავის ჩვენებაში ამბობს:

„მაღაროების გამგეობას არ სურდა დაენახვებია საქმის გაძღოლის შეუძლებლობა და იძულებული იყო დასავლეთი უბნის მაღაროების ექსპლოატაცია ეწარმოებია წინასწარ შემუშავებული გეგმის გარეშე, მტაცებლური წესით. ჩვენ გვთხოვდენ დღეში 22.000 ფუთ ქვანახშირს, მაღაროებს კი, თუ საქმეს ნორმალური წესით გაუძღვებოდით, მხოლოდ 8.000 ფუთის მოცემა შეეძლო. მაშასადამე, მაღაროების დატვირთვა 300 პროცენტზე მეტს შეადგენდა ნორმასთან შედარებით, რაც აშკარად დანაშაულებრივი მოქმედებაა... ამოსავსები მუშაობა 70 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე ნახშირის ამოღება [illegible] მოითხოვდა, მაშინ როდესაც ამოსავსები მუშაობა კვალდაკვალ უნდა მიჰყოლოდა ნახშირის ამოღებას... დაცალიერებული მაღაროების დროზე ამოუვსებლობის გამო ხდება ნახშირისა და ხაწყავი ფიქალის ჩამოზვავება და ამიტომ ტყიბულის ნახშირის განსაკუთრებული თვისების გამო ნახშირს თავისთავად ცეცხლი უჩნდება... ადმინისტრაცია და ტეხნიკური პერსონალი რომ მაღაროების ექსპლოატაციას შეუწყნარებელი ტემპით აწარმოებდნენ, მათთვის აშკარა იყო, რომ შესაძლებელია სრულიად შეწყდეს მუშაობა ერთად-ერთ საექსპლოატაციო რაიონში—დასავლეთ უბანზე, და სრულიად შეჩერდეს მუშაობა საზოგადოდ მაღაროებში".

ტრანსპორტი ტყიბულის რაიონში სრულებით მოუწესრიგებელია. რაიონში არ არის ცოტაოდენად გამოსადეგი გზატკეცილი. რკინისგზის ხაზი, რომელიც ამ რაიონში გადის, შეიძლება გამოგვეყენებინა გზატკეცილის ნაცვლად, მაგრამ რკინისგზის ადმინისტრაციამ რომელიღაც მოსაზრებით კატეგორიულად აკრძალა რკინისგზის ხაზის გამოყენება ქვანახშირის გადაზიდვისათვის. ერთად-ერთი გამოსავალი მდგომარეობიდან ტყიბულის მაღაროების ადმინისტრაციამ ნახა იმაში, რომ მალულად ღამით სარგებლობდა რკინისგზის ხაზით.

მაღაროების ბუხჰალტერიაში და ანგარიშების მთელი სისტემაში ქაოსია გამეფებული, შარშან სრული უვარგისობის გამო გამოსცვალეს ორი მთავარი ბუხჰალტერი, ეხლა დაპატიმრებულია მესამე (ჯვარიშვილი) საქმისადმი დაუდევრად მოპყრობისათვის. ეს უკანასკნელი თავის დროზე პასუხისგებაში იყო მიცემული გაფლანგვისათვის და მისჯილი ჰქონდა დაპატიმრება ორი წლით.

ქვა-ნახშირის კალკულაციის საკითხებს მაღაროების სამმართველო სავსებით თვითნებურად სწყვეტდა. ელიაძე თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ფუთი ქვა-ნახშირის თვითღირებულება შეადგენდა არა ნაკლებ 19 კაპ.-ისა. მაგრამ ეს ციფრი მიუღებელია და საჭირო იყო, რომ თვითღირებულება არ აღმატებოდა 16,5 კაპ.

„რომ დაუახლოვდეთ ამ ციფრს,—ამბობს ელიაძე—ჩვენ ქვა-ნახშირის ამოღებას უჩვენებთ ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება ტექნიკურ შესაძლებლობას, მუშა-ხელის ნაწილს და მუშაობის უმთავრეს ღირებულებას ვაკუთვნებთ ნაწილობრივ იმ თანხას, რომელიც რამდენიმე თვისა და წლის განმავლობაში უნდა განაწილდეს, ან ნაწილობრივ კაპიტალურ ხარჯებს, რომელთა ამორტიზაცია მომავალში მოხდეს საერთო წესით... ასეთი განაწილების გამო კვარტალიდან კვარტალში გროვდება თანხა, რომელიც წარმოებაზე ირიცხება... ვინაიდან ქვა-ნახშირს რკინისგზის ხელშეკრულების მიხედვით ვაბარებთ 16,5 კ., ხოლო „ნოვოროსცემენტს" 18,5 კაპ.-დ ფუთს, ამიტომ ტრესტს მნიშვნელოვანი ზარალი აქვს—ტყიბულის მაღაროებში"

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ბინების ასაგებად ტყიბულის რაიონში დაიხარჯა და იხარჯება დიდი თანხები. მაგრამ აქაც ვამჩნევთ უყაირათობას და დაუდევრობას ელემენტარული ტექნიკური მოთხოვნილებების შესრულების მხრივ. მშენებლობის ტექნიკური აპარატი ძალიან დიდია. მუშაობა იმგვარად არის დაყენებული, რომ ყველა შენობები ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი დაჯდება და გარდა ამისა ამ შენობებს მთელი რიგი დეფექტები ექნება. ახალ შენობებში, რომლებშიაც მუშები ცხოვრობენ, ანტი-სანიტარული მდგომარეობა არის გამეფებული: ყველგან ტალახია, ოთახებში იბანენ პირს და რეცხავენ სარეცხს.

კომისიის მიერ აღმოჩენილი ფაქტები მოწმობს, რომ ადგილობრივი ორგანოების მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი (ადს).

ა.-კ. პროფკავშირთა მე-4-ე ყრილობა

10 მაისის დილის სხდომა

10 მაისის დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ბ. მახაიძე.

დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი სოცდაზღვევის მთავარი მმართველობის მოხსენების გარშემო.

ამხ. აგზიანიძე
(აფხაზეთი)

სოცდაზღვევის საქმეში ჩვენ ბევრი მიღწევები გვაქვს, მაგრამ მე არ მინდა შევჩერდე ამ მიღწევებზე. ყრილობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ამ მუშაობის უარყოფითი მხარეები.

მე მინდა შევეხო სოცდაზღვევის საქმეს აფხაზეთში, როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთი საკურორტო ადგილია, იქ მრავლად აგზავნიან ავადმყოფებს, რომლებიც იმყოფებიან სოცდაზღვევის ხარჯზე. ჩვენ მათ უნდა მივსცეთ ფული, მაგრამ საიდან, როდესაც ჩვენი საკუთარი დაზღვეულებიც ვერ დაგვიკმაყოფილებია. ამისათვის მე მგონია, რომ აფხაზეთში უნდა იყოს ცალკე პუნქტი, რომლებიც დააკმაყოფილებენ სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ ავადმყოფებს.

შემდეგ ორატორი ეხება სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ მუშებს და კერძოდ მოჯამაგირეების დაზღვევის საქმეს და აღნიშნავს, რომ საჭიროა გამომუშავებული იქნეს დაზღვევის გამაადვილებელი ფორმები. ორატორი ეხება აგრეთვე სოცდაზღვევის კანონმდებლობას და ამბობს, რომ ამ კანონმდებლობაში ძლიერ ხშირია შეცვლა სხვადასხვა მუხლებისა, ასე რომ ადგილები ხშირად ვერ ერკვევიან ამ ცვლილებებში და ადგილი აქვს გაუგებრობას.

ამხ. აგაიერდიევი
(აზერბეიჯანი)

ეხება კურორტებზე ადგილების განაწილების საქმეს და აღნიშნავს, რომ ადგილების განაწილება უმთავრესად ხდება მსხვილ სამრეწველო ცენტრებს შორის, როგორიც არის, მაგალითად, თბილისი, ბაქო და ერევანი, პროვინციებს კი ამ შემთხვევაში ძლიერ მცირე ყურადღება ექცევა იმ დროს, როდესაც პროვინციაშიც დიდია ჭლექით და სხვა სნეულებით დაავადმყოფებულთა რიცხვი.

ამხ. შალაშვილი
(მიწა-ტყის კავშირი)

ეხება მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმეს და აღნიშნავს, რომ საჭიროა მათი საქმეში დახმარება უფრო გაძლიერდეს, ვინაიდან ამჟამად მოჯამაგირეთათვის დახმარების გაწევა ვერ არის დაყენებული სასურველ დონეზე. ორატორი ეხება აგრეთვე მწყემსების საექიმო დახმარების საქმეს და ამბობს, რომ პირველი დახმარების პუნქტები ისე შორსაა დაშორებული მწყემსებიდან, რომ შეუძლებელია მათ ისარგებლონ რაიმე დახმარებით.

ამხ. ნარჩემაშვილი

ორატორი ეხება დამზღვევ სალაროების დეფიციტს და აღნიშნავს, რომ ძნელი იქნება მუშაობა, თუ ის დეფიციტი, რომელიც აქვს დამზღვევ სალაროებს არ იქნა დაფარული დოტაციით. არის შემთხვევები, როდესაც დამზღვევ სალაროს არ აქვს საშუალება გასცეს რაიმე დახმარება გარდა სამარხი ფულისა. ორატორს საჭიროდ მიაჩნია გამომუშავებული იქნეს ისეთი წესი, რომელიც აიძულებს ყველა ორგანიზაციებს და კერძო პირებს დასაზღვევი თანხები სრული 100 პროცენტით გადაიხადონ. ორატორს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე მუშაობის წარმოება მტკიცე ხარჯთაღრიცხვის ნიადაგზე.

კამათში მონაწილეობა მიიღო სულ 16 ორატორმა.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ნანოვიჩი.

ამხ. ნანოვიჩის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო,—ამბობს მომხსენებელი,—მე საშუალება არა მაქვს შევეხო ყველა აქ წამოჭრილ საკითხებს, მაგრამ ვეცდები პასუხი გავცე მნიშვნელოვან ნაწილს მაინც.

ზოგიერთი აქ წამოჭრილი საკითხები სრულიად არ შეეხება სოცდაზღვევის ორგანოების მუშაობას. ამ საკითხის ნაწილი სხვადასხვა ორგანოების მუშაობის გეგმაში შედის. ასე, მაგალითად, აქ იყო ლაპარაკი ჯანმრთელობის დაცვაზე. ეს საკითხი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების საქმიანობასთან არის დაკავშირებული და არა სოციალურ დაზღვევასთან. საკითხი მუშათა საბინაო აღმშენებლობის შესახებ სრულიად არ არის სოცდაზღვევის ორგანოების საქმე.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კანონმდებლობის საქმეს სოცდაზღვევის ხაზით და ამბობს, რომ დაზღვევის პროპაგანდა ტარდება პროფკავშირების საშუალებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კავშირების კულტგანყოფილებების მუშაობა ამ ხაზით მოიკოჭლებს. ჩვენი სოცდაზღვევის კანონები ისეთი სისწრაფით იცვლება, რომ მათში არამც თუ ადგილობრივი ორგანოები, ხშირად ცენტრიც ვერ ერკვევა ხოლმე.

რაც შეეხება მოჯამაგირეთა დაზღვევას—განაგრძობს ორატორი,—ეს საქმე ჯერ-ჯერობით მოიკოჭლებს არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიაც. ჩვენ განზრახვა გვაქვს წელს დავაზღვიოთ 15,000 მოჯამაგირე. ჩვენ ავიღეთ მინიმალური ციფრი.

ამხ. ნანოვიჩის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ სოციალური დაზღვევის მთავარი მმართველობის მუშაობა მოიწონა და გამოჰყო კომისია 25 კაცის შემადგენლობით რეზოლიუციების გამოსამუშავებლად.

ამით დამთავრდა 10 მაისის დილის სხდომა.

საღამოს სხდომა

ყრილობის მეშვიდე სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. ედუნოვი. ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოდის ამხ. ბუკრეევი.

ამხ. ბუკრეევის მოხსენება

თავისი მოხსენების შესავალში ამხ. ბუკრეევი ესალმება ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა მეოთხე ყრილობას, ამიერ-კავკასიის კოოპერატივებში გაერთიანებულ 200.000 წევრის სახელით.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მდგომარეობას ზოგადად და მოყავს ცნობები კოოპერატივების მუშაობის შესახებ.

სულ ამ.-კ.-ში, მომხსენებლის გადმოცემით არსებობს 19 ძირითადი მუშათა კოოპერატიული ორგანიზაცია. მათ შორის 4 კოოპერატიული ორგანიზაცია მუშაობს ამიერ-კავკასიის მთავარ ქალაქებში. გარდა ამისა 15 კოოპერატივი არსებობს მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და დიდ ქალაქებში. ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს გახსნილი აქვთ 1145 სავაჭრო განმანაწილებელი დუქანი. წელს 1-ლ მაისამდე მათი რიცხვი გადიდებულ იქნა 48 ახალი პუნქტით. თანხების ბრუნვის მხრივ პირველ ადგილზე სდგას ბაქოს მუშათა მთლიანი კოოპერატივი, რომელიც ყოველთვიურად ატრიალებს ხუთ მილიონ მანეთს; მეორე ადგილი უკავია თბილისის მუშკოოპს (ყოველთვიური ბრუნვა ორი მილიონი მანეთი).

1927 წლის პირველი ოქტომბრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში კოოპერატიულ ორგანიზაციებს აღრიცხული ჰყავდათ 217.000 პაის მეპატრონე წევრი. მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის კი ეს რიცხვი გაიზარდა 16 პროცენტით. მნიშვნელოვნად ზრდა ეტყობა აგრეთვე საპაიო კაპიტალს. 1927 წლის პირველ ოქტომბრისათვის ყველა კოოპ. ორგანიზაციების საპაიო კაპიტალი უდრიდა 1.257.000 მანეთს, ხოლო მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის ეს თანხა გაიზარდა 1.424.000 მანეთამდე. ამჟამად საჭიროდაა ცნობილი, რომ კოოპერატიული ორგანიზაციების საქმიანობა მიმართული იქნეს იმ მხრივ რათა მომავალში სისტემატიურად ხდებოდეს საპაიო კაპიტალის ზრდა. ამ მიზნით საპაიო გადასახადის მინიმუმად განზრახულია დაწესებულ იქნეს ათი მანეთი.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება კოოპერატივების სავაჭრო საქმიანობაზე და ციფრებით ასურათებს კოოპერატიულ ორგანიზაციების შემოსავალ-გასავლის მდგომარეობას. 1926-27 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციათა საერთო წლიური ბრუნვა უდრიდა 80.595.000 მანეთს, ხოლო 1927 წლის პირველი ოქტომბრისათვის წლიური საბრუნავი თანხა ავიდა 105.148.000 მანეთამდე.

— დასასრულ, მე მინდა,—ამბობს ამხ. ბუკრეევი,—თქვენს წინაშე გადავშალო ჩვენი კოოპერატივების ფინანსიური მდგომარეობის სრული სურათი. უკანასკნელ წლების განმავლობაში შესამჩნევი გახდა კოოპერატივების საკუთარ საშუალებათა ზრდის და კრედიტების პროპორციონალურად შემცირების ტენდენცია. თუ უწინ კოოპერატიული ორგანიზაციების საქმიანობა სწარმოებდა უმთავრესად სესხად მიღებული თანხების საშუალებით, ამჟამად მდგომარეობა შესამჩნევად გამოსწორებულია და კოოპერატიული ორგანიზაციების მთავარი ოპერაციები სწარმოებს საკუთარი თანხებით, თუმცა კრედიტებიც ფართოდაა ამ საქმეში გამოყენებული.

ყრილობის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 6 ნახევარ საათზე.

სათეატრო თათბირი

კამათი ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენების გარშემო

მესამე დღის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენების გარშემო, რომელიც გაგრძელდა მეოთხე დღის დილის სხდომაზეც. ოპონენტები შეეხნენ დრამატურგიის კრიზისის მიზეზებს, მსახიობისა და რეჟისორის შემოქმედების პრობლემებს, ახალ გზებს სათეატრო ხელოვნებაში, ოპერის საკითხებს და სხვ. რამოდენიმედ კამათმა მიიღო წმინდა თეორიული განხრა.

ამხ. ს. ამაღლობელი არ ეთანხმება მომხსენებელის დებულებას, თითქოს სათეატრო ხელოვნებაში მთავარი მოვლენა მსახიობის და მაყურებლის ურთიერთობა იყოს.

სათეატრო შემოქმედებისათვის მთავარი დასაყრდენის მასალა წარმოადგენს. დღევანდელი თეატრის კრიზისი უმთავრესად მასალის კრიზისით აიხსნება. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სათეატრო მიმართულებას განსაზღვრავს მხოლოდ მასალა. წინანდელი ურთიერთობის მომენტები დღევანდელ თეატრს მასალად არ გამოადგება. ოჯახური დრამა, რომელიც წინად არსებულ თეატრების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა, დღეს ვერ მისცემს მასალას შემოქმედებისათვის ვერც მსახიობს და იგი ვერ დააინტერესებს ვერც დღევანდელ მაყურებელს. ოჯახური დრამების კვანძი გაიცვითა. სათეატრო შემოქმედების მასალის კრიზისს აქვს ღრმა სოციალური მიზეზები, სახელდობრ ის, რომ ძველი მორალი საფუძვლიანად შერყეულია, ხოლო ახალი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა და მხოლოდ შექმნის პროცესში იმყოფება. სწორედ, ამ ახალი მორალის შექმნის პროცესში უნდა ეძიოს მასალა დღევანდელმა დრამატურგმა. დრამატურგმა უნდა შეისწავლოს ის სულიერი ცვლილებები, რომლებიც დღეს ჩვენს არსებაში ხდება. ის ნაკლი, რომელსაც დღევანდელ თეატრში მასალის კრიზისი ბადებს, რეჟისორს სურს შეავსოს თეატრის მექანიზაციით, მისთვის ესთეტიურ-ბუტაფორული განხრის მიცემით. რეჟისორის გაბატონება სცენაზე ეს არის თეატრის არა გამარჯვება, არამედ მარცხი. ამგვარად, თანამედროვე თეატრის პირველი ამოცანაა, შესაფერი მასალის გამონახვა, მერე თანამედროვე აქტიორის აღზრდა, ხოლო დასასრულ, შექმნა სცენის იმ გარეგნულ ეფექტების, რომელიც უნდა გახდეს ფონი მსახიობის შემოქმედების გაშლისათვის.

მასალის გამოუძებნელობაში ხედავს კ. ანდრონიკაშვილი დრამატურგის კრიზისს. ისტორიულად ქართული თეატრი წარმოიშვა და აღორძინდა იმ მასალაზე, რომელსაც იძლეოდა მე-19 საუკუნის იმ პერიოდის ყოფა-ცხოვრება, როცა ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრა სავაჭრო კაპიტალი და წარმოიშვა ინტერესთა წინააღმდეგობა ფეოდალურ თავად-აზნაურობის და ახლად ჩასახულ კლასის ინტერესების შორის. ამ ინტერესთა წინააღმდეგობაზე ააშენა გ. ერისთავმა თავისი კომედიები. ჩვენ დროს კიდევ უფრო ძლიერი გარდატეხის დროაა, რასაც თან სდევს ძველ შეხედულებათა რღვევა. ეს რღვევის პროცესი, განსაკუთრებით შესამჩნევია ჩვენს სოფელში, სადაც რევოლიუციამდე, შედარებით, უფრო დაცული იყო მამა-პაპური ზნე-ჩვეულებები. თანამედროვე დრამატურგის დანიშნულება შეისწავლოს და დაკვირვებით ასწონ-დასწონოს ეს ჩვენი სინამდვილის დღევანდელი ფაქტები. ქართველ მწერალთა დიდი ნაწილი თბილისს არ სცილდება, მაშინ, როცა რუსი დრამატურგები სპეციალურად მოგზაურობენ რუსეთის სხვადასხვა რაიონებში ახალი ყოფა-ცხოვრების, მუშაობის ახალი პირობების, წარმოების პროცესების შესასწავლად.

საქმე მარტო მასალაში არ არის, ამბობს ბესო ჟღენტი. საქმე ის არის, რომ ყოველი ეპოქა ხელოვნების მიმართ გარკვეულ ამოცანას აყენებს, რომელიც დაახლოებით ისეთივეა, როგორც თვით ეპოქის ძირითადი ამოცანები. შეცდომა იქნებოდა, რომ შეიცვალოს მხოლოდ მასალა, და იგივე დარჩეს დამოკიდებულებანი. ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან ხატი განდევნილია, მაგრამ არ შეიძლება ხატის მაგივრად ელექტრონის მუჭში ვილოცოთ. ახალმა ცხოვრებამ თეატრს ახალი დანიშნულება მისცა. მას ახალი ამოცანები წაუყენა გადასაჭრელად. თეატრი წინანდებურად არ უნდა დარჩეს ლიტერატურის გამმეორებად. იგი ცხოვრების ამსახველი კი არ უნდა იყოს, არამედ ამ ცხოვრების მშენებელი. იგი მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ყოველდღიურ მშენებლობაში. წინანდელი ფორმები და ხერხები დღეს თეატრს არ გამოადგება.

— ხელოვნების დანიშნულება,—ამბობს ნ. შენგელაია,—პასუხი გასცეს დღევანდელ მოთხოვნილებებზე—იმ მასალის მიხედვით, რომელსაც ცხოვრება იძლევა. მაგრამ ყველა მასალის ერთი და იმავე ხერხით დამუშავება არ შეიძლება. ყოველი მასალა მოითხოვს თავისებურ ხერხს. მაგალითად, ყველა მასალა გამოსადეგი ვერ იქნება მეიერხოლდის, თუნდ თაიროვის თეატრისათვის. მთავარი კი ის არის, რომ მასალა ისეთი ხერხებით იქნეს დამუშავებული, რომ შეუძლებელი გახდეს ცვლილებების შეტანით ამ დამუშავებული მასალის გამოყენება წინააღმდეგ იმ მიზნებისა, რომელსაც დრამატული ნაწარმოების სცენიური განსახიერება ისახავს (მაგალითად „იღმუე ჩინეთო", და „ჯავშნოსანი პატიომკინი"), ორატორს საჭიროდ მიაჩნია თეატრებს შორის სფეროების განაწილება სხვადასხვა მასალის მიხედვით.

ამავე საკითხზე ილაპარაკეს აკაკი ფაღავამ, გრ. რობაქიძემ, ჩიქოვანმა, თოხაძემ და სხ.

მსახიობის შემოქმედების პრობლემებს შეეხნენ გარიკი, კ. მეზრილიძე და სხ.

თათბირის ყურადღება მიიქცია აგრეთვე ოპერის საკითხებმა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართველ კომპოზიტორების მიერ არ ყოფილა ერთი ცდაც, რომ თანამედროვე ცხოვრების ამოცანებთან შეფარდებით რაიმე ცვლილება შეეტანათ საოპერო ხელოვნებაში. ეს აზრი გაიზიარა კოტე ფოცხვერაშვილმა. როგორც რუსეთის მიყრუებულ კუთხეებს არაფერი გაუგიათ ნაპოლეონის შემოსევის და მასთან ფიცხელი ბრძოლის გადახდის შესახებ, ისე ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედებისათვის გაუგებარი დარჩა ჩვენი დროის უდიდესი რევოლიუცია. ამაში ბრალი ჩვენს საზოგადოებრიობასაც მიუძღვის. ხელმძღვანელი ორგანოებიც ნაკლებ ყურადღებით ეპყრობიან საერთოდ მუსიკის საკითხებს. არ არსებობს დაწერილ ოპერების შერჩევა, დღემდე ნაბიჯი არ არის გადადგმული მუსიკის მუშაკთა შესაკავშირებლად და მათზე საჭირო რევოლიუციონური ზეგავლენის მოსახდენად. საჭიროა მუსიკოსები აღჭურვილი იქნენ სათანადო უფლებებით და ამავე დროს მოვალეობებითაც თავის სფეროში. კ. ანდრონიკაშვილს და კომპ. დ. არაყიშვილს დიდ მიღწევად მიაჩნიათ ის, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში რამოდენიმე ქართული ოპერა დაიწერა. იდეოლოგიური სისუსტე არაყიშვილის აზრით, ქართულ ოპერებს არ ჩაეთვლებათ დიდ დანაშაულად, რადგან ახალ, იდეოლოგიურად გამართლებული ოპერები დღემდე ვერ შექმნა თვით რუსეთმაც, სადაც მუსიკალურ კულტურას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. შემდეგ იგივე ორატორი აღნიშნავს, რომ ქართველ კომპოზიტორებს არა აქვთ სათანადო მატერიალური პირობები შემოქმედებისათვის. — ქართულ მუსიკალურ შემოქმედების ჩამორჩენილობას,—უპასუხებს ორატორს მომხსენებელი,—ვერ მივაწერთ მატერიალურ სიდუხჭირეს. თუ მათ დრო და საშუალება აქვთ სწერონ ძველი ყაიდის ოპერები, რატომ არ შეიძლება, რომ ეს დრო და საშუალება გამოყენებულ იქნეს ახალი გზების გამოსანახავად საოპერო ხელოვნებაში.

თავის საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა შეაფასა რა ოპონენტების მიერ წამოყენებული პრინციპიალური დებულებები,—ხაზი გაუსვა თეატრალური კულტურის ზრდას და აქტუალურ ინტერესს თეატრალური ხელოვნებისადმი, დასასრულ, მან წამოაყენა ახალი ამოცანა თანამედროვე მაყურებლის შესწავლის შესახებ, ეს ღონისძიება, მომხსენებლის დასკვნით, გაუადვილებს სათეატრო ხელოვნების მუშაობას ახალი გზების და ახალი მეთოდების გამოსამუშავებლად. კონკრეტულად მომხსენებელს ეს ასე აქვს წარმოდგენილი: თეატრებთან უნდა მოეწყოს პოლიტიკური სამხატვრო საბჭოები, რომლის მუშაობაში ჩაბმული იქნებიან მუშები, წითელ არმიელები, მუშკორები და ყველა ის ელემენტები, რომლებიც ახალ ცხოვრებას ქმნიან. ამ საშუალებით შეიქმნება საღი ატმოსფერო და მტკიცე ნიადაგი თეატრის განვითარებისათვის.

ამხ. მამულიას და შ. დუდუჩავას მოხსენებათ, მიხედვით რეზოლიუციების გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია.

როგორ მიმდინარეობს

აჭარ.-წყლის ელსადგურის სამუშაოები

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ—ინჟენერმა ბ. ჭიჭინაძემ აჭარის-წყალის ელსადგურის მშენებლობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ამიერ-კავკასიის საამშენებლო-ტეხნიკურმა კომიტეტმა საქართველოს ს. მ. უ. ს. დავალებით განიხილა საბოლოო პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა აჭარის-წყალის ელსადგურის დასამთავრებლად. აჭარის-წყალის ელსადგურის დამთავრება ამ გეგმით განზრახულია 1930 წლის აპრილში.

ა.-კ. საამშენებლო - ტეხნიკურ კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვით ჰიდრო-სადგურის აგება დაჯდება 8,5 მილ. მ. დღემდე დახარჯულია დაახლოვებით 4 მილ. მანეთი და შესრულებულია მუშაობის 40 პროც. ვინაიდან 1926 წ. ცენტრის მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვით ყველა ნაგებობათა ღირებულება განსაზღვრულია მხოლოდ 5 მილ. მან., ამიტომ ყველა პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვები საქართველოს ს. მ. უ. საბჭომ გადაუგზავნა ცენტრს, სადაც ამჟამად იხილავენ ამ საკითხს.

სადგურის ხანგრძლივი მშენებლობა გამოწვეულია თანხების სიმცირით და მნიშვნელოვანი ტეხნიკური დაბრკოლებებით,—ბუნებრივმა პირობებმა გამოიწვია ზედმეტი ხარჯები. ტეხნიკური პირობების მიხედვით აჭარის-წყალის ჰიდრო-სადგურის დამთავრება შეიძლებოდა 2 ნახ. - 3 წლის განმავლობაში, მისი აშენება გაცილებით უფრო იაფიც დაჯდებოდა. ამჟამად აუცილებელია გადაუდებელ სამუშაოს დასრულება და ამ მიზნით აღძრულია სათანადო შუამდგომლობა ცენტრის წინაშე. (ადს).

როგორ უნდა მუშაობდეს მაზრის პროკურორი

მაზრის პროკურორის მთავარი მოვალეობა არის **საერთო ზედამხედველობის წარმოება.** სოფლად რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცება არ შეიძლება მარტო სასამართლოსა და საგამომძიებლო ორგანოებში მუშაობით განისაზღვროს. სამწუხაროდ, დღემდე ეს ასე იყო. თუ საერთო ზედამხედველობა მკვიდრ ნიადაგზე არ არის დაყრდნობილი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფლად რევოლიუციონური კანონიერების გატარების საქმე საგრძნობლად მოიკოჭლებს. ამიტომ ჩვენ უნდა შევეცადოთ საერთო ზედამხედველობის გაჯანსაღებას.

მაზრის პროკურორი მაზრის მუშაობის ყველა დარგთან საკმაოდ გაცნობილი და დაახლოვებული უნდა იყოს; ის ყოველთვის და ყოველგან თვალყურს უნდა ადევნებდეს როგორც საბჭოთა, ისე სამეურნეო ორგანოების მუშაობას და, თუ რაიმე უკანონო მოქმედებას აღმოაჩენს, უნდა მიიღოს ზომები მის სასწრაფოდ გამოსასწორებლად კანონით გათვალისწინებული წესით. ეს საპასუხისმგებლო მოვალეობა პროკურორმა, რომ პირნათლად შეასრულოს, საჭიროა მუშაობის ერთნაირი გეგმა და მეთოდის გამომუშავება. ზოგიერთი მაზრის პროკურორი გეგმის შედგენას უარყოფითად უყურებს და მის მნიშვნელობას არ აფასებს, რაც დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. გასული წლის ბოლოს ცენტრალურმა პროკურატურამ გამოიმუშავა ყველა მაზრებისათვის ერთნაირი სანიმუშო გეგმა, რომლითაც დღემდის მაზრის პროკურორები ხელმძღვანელობენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სანიმუშო გეგმა უნაკლო იყოს. მას ნაკლი აქვს და ეს უმთავრესად გამოიხატება მის არარეალობაში. **გეგმა უნდა იყოს რეალური,** ე. ი. სინამდვილესთან შეფარდებული, შიგ აღნუსხული უნდა იყოს მხოლოდ ის, რის გაკეთებაც განსაზღვრულ დროის განმავლობაში მაინც შეიძლება. რა საჭიროა გეგმა გაბერილი იყოს და ის მხოლოდ ქაღალდზედ დარჩეს. იუსტიციის სახ. კომისარიატი ამ ნაკლს ახლო მომავალში გამოასწორებს, ხოლო სანამ ეს არ მომხდარა, მაზრის პროკურორი ვალდებულია არსებული სანიმუშო გეგმით ხელმძღვანელობის და თავის დროზე წარმოადგინოს საკუთარი სამუშაო გეგმა.

როგორია მაზრის პროკურორის მოვალეობა საერთო ზედამხედველობის დარგში? ეს არის შემდეგი: 1. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმისა და პლენუმის სხდომებზე მონაწილეობის მიღება, 2. თემაღმასკომებისა და თემსაბჭოების მუშაობის შემოწმება, 3. ადმინისტრატიული ორგანოების მიერ დადებულ სასჯელის კანონიერების შემოწმება, 4. თვალყურის დევნება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სწორად განაწილების და მის კანონიერად გატარებაზე, 5. თვითდაბეგვრის მიზანშეწონილებისა და სისწორით გატარების შემოწმება, 6. თვალყურის დევნება არჩევნების კანონიერად ჩატარებაზე, 7 კოოპერატიულ ორგანიზაციების, გლეხკომების და სხვა ორგანოების მუშაობის გაცნობა და სხვა.

სამაზრო აღმასკომის სხდომებს პროკურორი სისტემატიურად უნდა ესწრებოდეს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს მის მუშაობაში, აქ ის საკმაოდ თვალსაჩინო ფიგურას უნდა წარმოადგენდეს. რასაკვირველია, მაზრის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო სამაზრო აღმასკომი არის, ეს ორგანო სოფლად რევოლიუციონური კანონიერების გამტარებელი და განმამტკიცებელი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ის არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან და ამიტომ მაზრის პროკურორი უნდა სდარაჯობდეს მას არა როგორც რევიზორი-კონტროლიორი, არამედ როგორც დამხმარე პირი, შეიძლება ითქვას, როგორც მთავარი კონსულტი, რომელიც, როგორც საბჭოთა კანონების უფრო მცოდნე, დახმარებას უწევს მას კანონიერ დადგენილებათა გამოტანასა და გატარებაში. მაზრის პროკურორი სამაზრო აღმასკომის სხდომების დღის წესრიგს წინასწარ უნდა ღებულობდეს და ეცნობოდეს. მაზრის აღმასკომის ხელმძღვანელი არის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე. კარგი იქნება მაზრის პროკურორი წინასწარ მოელაპარაკებოდეს აღმასკომის თავმჯდომარეს, მოახდინოს აზრთა გაცვლა-გამოცვლას და გაიგებდეს, თუ რას ფიქრობს ის ამა თუ იმ საკითხზე. თუ ურთიერთ შეთანხმება არ მოხდა, პროკურორს შეუძლია თავისი წინადადება დაიცვას სამაზრო აღმასკომის სხდომაზე და თუ აქაც არ გაიზიარებენ მის თვალსაზრისს, მას უფლება აქვს იუსტიციის სახალხო კომისრის მეშვეობით პროტესტით შევიდეს ცაკში, სადაც მომხსენებლად თვით იუსტიციის კომისარი, ან მისი მოადგილე გამოდის. მე ვფიქრობ, თუ ასე დააყენებენ საქმეს, როგორც სამაზრო აღმ. თავმჯდომარე, ისე მაზრის პროკურორი, მაშინ ადგილი აღარ ექნება შეუთანხმებელ მუშაობას, რომელსაც ზოგიერთ მაზრაში ჯერ კიდევ ვამჩნევთ.

თემაღმასკომებისა და თემსაბჭოების მუშაობის დასათვალიერებლად და შესამოწმებლად პროკურორს ორი საშუალება აქვს. პირველია იმ ოქმებისა და დადგენილებების გადათვალიერება, რომლებიც თემებიდან სამაზრო აღმასკომში იგზავნება. მეორე საშუალება მუშაობის ადგილობრივად შემოწმება. პირველი შედარებით ადვილი საქმეა, მეორე კი უფრო ძნელი. ამიტომ მაზრის პროკურორი ვალდებულია სამაზრო აღმასკომში თემებიდან შემოსული ოქმები თვეში თუ ოთხჯერ არა, სამჯერ მაინც გადაათვალიეროს და თუ რაიმე უკანონობას აღმოაჩენს, წინადადებით შევიდეს სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმში მის გასაუქმებლად. აქაც მიზანშეწონილია სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარესთან წინასწარ მოლაპარაკება და შეთანხმება. ამნაირად, ამ პირველი საშუალებით მაზრის პროკურორი საერთო ზედამხედველობას უწევს მაზრაში შემავალ ყველა თემებს.

მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. პირველი ადგილი ჩვენ თემების მუშაობის ადგილობრივად დათვალიერებისა და შემოწმებას უნდა დავუთმოთ. სულ სხვაა ქაღალდების საშუალებით შემოწმება და სულ სხვა არის თემაღმასკომებთან და საბჭოსთან ცოცხალი კავშირის გაბმის მეთოდით მათი მუშაობის შემოწმება და შეცდომების გამოსწორება. ადგილობრივად შეიძლება ისეთ უკანონო მოქმედებას წააწყდე, რაც ოქმებში არც კი ყოფილა აღნიშნული, რამდენი არის თემებში ისეთი სამუშაო, რომლის სხდომებზე აღნუსხვა ყოველთვის შეუძლებელია; ასეთი კატეგორიის სამუშაოს შესრულების დროს შეიძლება უხეშად იყოს დარღვეული კანონი და ეს მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იციან, ოქმში კი მისი კვალიც არა ჩანდეს. ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებისა და მუშაობის მთავარი კონტროლი თვით მშრომელი გლეხკაცობა არის. ამიტომ საჭიროა პროკურორი ამ მშრომელ მასასთან უშუალოდ დაკავშირებული იყოს.

აუცილებელია პროკურორის თემში მისვლა თემის ფართო მოსახლეობამ იცოდეს. ამიტომ მაზრის პროკურორი ვალდებულია სამი ოთხი დღით ადრე აგებინებდეს თემაღმასკომს თემში მისვლის შესახებ. თავმჯდომარე კი თვალსაჩინო ადგილებზე გამოაკრავს ცნობას ამის შესახებ, რითაც მშრომელ მასას საშუალება მიეცემა პროკურორს მიაწოდოს ის ცნობა, რაც მან იცის, და პროკურორისაგანაც მიიღოს საჭირო იურიდიული რჩევა-დარიგება. თემაღმასკომის უკანონო დადგენილებათა და მოქმედების გასაუქმებლად პროკურორმა ყოველთვის სამაზრო აღმასკომს არ უნდა მიმართოს. მით უმეტეს საჭირო არ არის ეს, როცა პროკურორი ადგილობრივად ათვალიერებს და იხილავს თემაღმასკომის და თემსაბჭოს საქმიანობას. პროკურორი უნდა შეეცადოს დაჯერებითი მეთოდით თვით თემაღმასკომის და თემსაბჭოს გააუქმებინოს უკანონო და მიზანშეუწონელი დადგენილება და, თუ ეს აღარ მოხერხდება, მხოლოდ მაშინ უნდა შევიდეს პროტესტით სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმში.

პროკურორის ადგილობრივად მისვლა ფორმალური და „კამპანიურ" ხასიათს არ უნდა ატარებდეს. არ კმარა პროკურორის თემში ერთი დღით მისვლა. აუცილებელი არის პროკურორმა თემში დაჰყოს ორი დღე მაინც. ის საფუძვლიანათ უნდა გაეცნოს თემაღმასკომის და საბჭოს მუშაობას. ის უნდა შეეცადოს თვეში 3—4 თემის საფუძვლიანათ შესწავლა-შემოწმებას. ეს დიდი პლიუსი იქნება საერთო ზედამხედველობის დარგში. თემიდან დაბრუნების შემდეგ პროკურორი სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმში უნდა აკეთებდეს მოხსენებას თემის მდგომარეობის შესახებ და იქ აღმოჩენილ შეცდომებზე და უკანონობაზე უნდა მიუთითებდეს (თუ ასეთი იქნება), რის შემდეგ სამაზრო აღმასკომს გამოაქვს ესა თუ ის დადგენილება, კარგი იქნება, რომ სათანადო ოქმის ამონაწერი ყველა თემებს გაეგზავნებოდეს. ამით დანარჩენი თემებიც შეეცდებიან თავიანთი ნაკლი გამოასწორონ და უკანონო მოქმედება გააუქმონ. ეს ერთნაირი სკოლა იქნება თემაღმასკომებისა და თემსაბჭოებისათვის.

აღნიშნულის გარდა, პროკურორი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მაზრაში მოჯამაგირეების მდგომარეობას. მას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს მიწა-ტყის კავშირთან და მასთან ერთად იღებდეს ყოველივე ღონეს კულაკებისაგან მოჯამაგირეთა დასაცავად. კულაკები ბევრგან ჯერ კიდევ ახერხებენ მოჯამაგირეთა უდიერ ყვლეფას და ამის წინააღმდეგ ბრძოლა პროკურორის ერთ უმთავრეს მოვალეობას შეადგენს.

სოფლად მევახშეობას კიდევ ადგილი აქვს. კულაკები სარგებლობენ ღარიბი გლეხთა ხელმოკლეობით და უზომო პროცენტებით ატყავებენ მათ. ამ ბოროტების წინააღმდეგ მაზრის პროკურორმა სასტიკი ზომები უნდა მიიღოს. დამნაშავენი პროკურორის თვალს არ უნდა გამოეპარონ და სისხ. სამ. წესით უნდა იქნენ მიცემულნი პასუხისგებაში.

ამასთან პროკურორმა თვალყური უნდა ადევნოს ადგილობრივ ბაზრის მდგომარეობას. ხშირად სპეკულიანტები ბაზარზე ხელოვნურად სწევენ საქონლის ფასს და მით მძიმე მდგომარეობაში აყენებენ როგორც მომხმარებლებს, ისე ჩვენს სავაჭრო ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს. ეს დანაშაულება ისჯება სისხ. სამ. წესით და პროკურორმა უნდა ეცადოს, რათა ასეთი დამნაშავენი არ ასცდნენ მოსალოდნელ ღირსეულ სასჯელს.

თ. დოლიძე.

პირველ ივლისს

ოზურგეთში მუშაობას დაიწყებს ახალი აბრეშუმის ძაფსალები ქარხანა

სააქციო საზოგადოება „საქართველოს აბრეშუმი"-ს ცნობით 1 ივლისს ქ. ოზურგეთში ამუშავებული იქნება ახალი ძაფსალები ქარხანა. ეს ქარხანა აშენებულია აბრეშუმის ძაფსალები პირველი ქარხნის გვერდით. ახალ ქარხანაში იმუშავებს 800 მუშა, უმთავრესად ქალები. მუშაობა სწარმოებს ორ წყებად. ქარხანა აგებულია სანიტარულ ჰიგიენის, შრომის დაცვის და თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნილებათა მიხედვით.

1 ივლისისათვის ამუშავებული იქნება აგრეთვე ახალი ელექტრო-სადგური, რომელიც ენერგიას მიაწოდებს ორივე ქარხანას.

ოზურგეთის აბრეშუმის პირველ ქარხანაში ამჟამად ითვლება 500 მუშა. მუშაობა სწარმოებს ორ წყებად. ახალ კოლხელშეკრულებით, წელს ხელფასი გაიზარდა 10—15 პროც. მუშებს დაურიგდა სპეცტანისამოსი. საზაფხულო შვებულება განისაზღვრება სამ კვირით. ქარხანასთან მოწყობილია კოოპერატიული სავაჭრო, სადაც მუშებს საჭირო სანოვაგე და ფართლეულობა ნისიად ეძლევათ.

ქარხანასთან მუშაობს კარგად მოწყობილი ამბულატორია.

სტუდენტთა კვირეული

საქართველოს ცაკთან ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით დაარსებულმა კომისიამ შეიმუშავა პროლეტარულ სტუდენტთა დახმარების კვირეულის ჩატარების გეგმა.

კომისიის დადგენილებით სტუდენტთა კვირეული დაიწყება 13 მაისიდან და გაგრძელდება 20 მაისამდე.

14 მაისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი აკადემიური დრამის და ბალეტის მსახიობთა მონაწილეობით. ამ საღამო-კონცერტში, სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ ნეჟდანოვა, ეიხარევა, მესხიშვილი და სხ.

კვირეულის განმავლობაში 10 პროცენტით იქნება დაბეგრილი ყველა გასართობები.

ქ. ბათომში, ფოთში, სოხუმში, სამტრედიაში, ხონში; ზესტაფონში; ჭიათურაში; ხაშურში და კახეთში კვირეულის ჩასატარებლად პროლეტარულ სტუდენტთა ბიურომ გაგზავნა თავის 22 წარმომადგენელი.

რკინის გზის ხაზებზე კვირეულის ჩასატარებლად გაიგზავნა შანიძე, ვ. დოლიძე, შ. მაღლია, ენაგელი და სხ.

კვირეულის განმავლობაში საქართველოს მთავარ ქალაქებში იწარმოებს ყულაბებით ფულის შეგროვება და შემოწირულების შეკრება.

სტუდენტთა ალმასბიუროში

პროლეტარულ სტუდენტთა კვირეულის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებათ ყველა სტიპენდიანტი და პროფკავშირების წევრი სტუდენტები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ პროლეტსტუდენტთა ალმასბიუროში დღეს ნაშუადღევის 3 საათამდე და ხვალ დილის 10 საათამდე. სტიპენდიანტები უნდა გამოცხადდენ ამხ. გულისაშვილთან. პროფკავშირების წევრი სტუდენტები პროფკომში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ურწმუნოთა წრეები

ცხინვალი, 9 მაისი. სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭო ცალკე პროფკავშირებთან აწყობს ურწმუნოთა წრეებს. (ადს).

მეწყერი

ცხინვალი, 9 მაისი. რაიონებში გაგზავნილმა სპეციალურმა კომისიამ ოკანის, ორტევის, ლეხურის და განსაკუთრებით ანდორეტის რაიონებში აღმოაჩინა დიდი მეწყერი, დანგრეულია რამოდენიმე სოფელი. საფრთხეშია კიდევ ზოგიერთი სოფლები. (ადს).

საავტომობილო მიმოსვლა კურორტებზე

ქუთაისი, 9 მაისი. „ზაკავტოპრომტორგის" ქუთაისის განყოფილება 20 მაისს ხსნის რეგულიარულ მიმოსვლას—წყალტუბოს და ქუთაის-ზეკარს შორის. (ადს).

წერილები

მომავალში ნუ დავაგვიანებთ

რამოდენიმე წელიწადია, რაც საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ყოველწლიურად ატარებს „ტყის დღეს". ამ დღის დანიშნულებას შეადგენს გლეხობაში პროპაგანდა-აგიტაციის გაწევა ტყის მნიშვნელობის შესახებ სახალხო მეურნეობისათვის და აგრეთვე მისი მოშენებაც ისეთ ადგილებზე, სადაც ამისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობს.

ეს უდავოდ სასარგებლო საქმეა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტყის დღიდან მიღებული შედეგი ჯერ-ჯერობით ვერ იძლევა ისეთ ნაყოფს, რომელიც მისგან უნდა გამომდინარეობდეს.

ტყის დღის ჩატარებაში გლეხობა მხურვალე მონაწილეობას იღებს, ამ დღეებში აშენებენ ახალ ტყეებს, რგავენ ნერგებს, მაგრამ ეს ისეთ დროს ხდება, როდესაც ნერგის გადარგვა უკვე დაგვიანებულია და ამგვარად გადარგული ნერგი უმრავლეს შემთხვევაში ხმება და მასზე გაწეული შრომა ფუჭად იკარგება.

ტყის სათანადოდ მოვლა-პატრონობას, მის მოშენებას, რომ უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს უდავოა, მაგრამ თუ გვსურს, რომ ტყის დღემ მართლა გამოიღოს შესაფერი ნაყოფი, ამისათვის ის ჩატარებულ უნდა იქნეს არა მაისის ბოლო რიცხვებში, როგორც ამას ადგილი აქვს დღემდე, არამედ მარტ - აპრილის თვეებში, სანამ მცენარეს ფოთლები არა აქვს გამოტანილი. ამ დროს გლეხობასაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ტყის დღის ჩატარებაში და გაწეული შრომაც უფრო მეტ შედეგებს მოგვცემს.

მიმდინარე წელში ტყის დღის ჩატარება განზრახულია მაისის ბოლო რიცხვებში. მისი დაჩქარება წელს ვეღარ მოხერხდება, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რომ მომავალში შეიცვალოს ეს თარიღი და გადმოტანილი იქნეს გაზაფხულის პირველ თვეში.

გარდა ამისა ტყის მოვლა-პატრონობის და მისი გაშენების საქმე არ უნდა დაუკავშირდეს მარტო ამ დღის ჩატარებას. პროპაგანდა-აგიტაცია ტყის დასაცავად მუდამ უნდა სწარმოებდეს გლეხობაში. მხოლოდ ასეთი ზომებით არის შესაძლებელი ტყის დაცვა უთავბოლო გაჩეხვისაგან და მისი არის კიდევ უფრო გაფართოება.

გლეხი.

დიდი მიღწევები გვაქვს

სოფ. სამება, გურია

გასულ წელს სოფ. სამებაში გლეხობამ დიდი ნაბიჯი გადასდგა საამშენებლო და კულტურულ დარგში. სოფლის ცენტრში, სადაც კოოპერატიული სავაჭროა, გამოჰყავთ მილების საშუალებით წყაროს წყალი. სახალხო სახლის ასაგებად გადადებულია 1.500 მანეთი, რომლითაც ახლო მომავალში შეუდგებიან სახლის აგებას. ყველა ამ მუშაობაში გლეხობას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი ხელისუფლება.

მიმდინარე წელშიც გლეხობამ ასეთივე ენერგიით შეუდგა მუშაობას. 60-მდე წევრის შემადგენლობით დაარსდა კოლექტივი. კოლექტივის მიზანს შეადგენს დაამუშაოს დღემდის გამოუყენებელი მიწები, რომლებიც არავითარ ნაყოფს არ იძლეოდა და მასზე გააშენოს ჩაის, ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინის და სხვადასხვა ტროპიკული მცენარეების ბაღები. ყოველივე ამის სისრულეში მოსაყვანად მთავრობამ გამოგზავნა აგრონომი, რომელმაც მიზანშეწონილად სცნო ეს მუშაობა. მუშაობის საწარმოებლად ბანკი კოლექტივს აძლევს გრძელვადიან სესხს. გარდა ამისა, განზრახულია ადგილობრივ ააგონ აგურის, კრამიტის და კირის საწვავი ქურა. დასამუშავებელი ნედლი მასალა ბლომად მოიპოვება ადგილობრივად, როგორც თიხა, ისე კირის ქვა

თესვის კამპანიაც დიდის წარმატებით ტარდება.

კლ. წერიძე.

ხშირად უნდა მოეწყოს

(წერილი სენაკიდან)

ამას წინედ სენაკის მაზრის განათლების განყოფილებამ ცენტრიდან მიიღო შრომის სკოლებისათვის ფიზიკური კაბინეტები. კაბინეტების ადგილებზე მაქსიმალურად გამოყენებისათვის განათლების განყოფილების მიერ მოწვეულ იქნა მაზრის ყველა შრომის სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენციაზე აწარმოეს ცდები და ცდების წარმოების დროს შუქდებოდა სხვადასხვა თეორიული საკითხები ცდებთან დაკავშირებით, მასწავლებლობა გაეცნო სხვადასხვა ხელსაწყოებს, ივარჯიშა ცდების დაყენებაში და სხვ.

უნდა ითქვას რომ კონფერენციის მუშაობამ საგრძნობლად დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა.

საჭიროა ასეთი კონფერენციები ხშირად იმართებოდეს, რათა მასწავლებლობამ მაქსიმალურად გამოიყენოს ადგილებზე მათ განკარგულებაში მყოფი ფიზიკური და სხვა ხელსაწყოები.

დამსწრე.

კოოპერატივის მუშაობა

(წერილი დუშეთიდან)

დუშეთის კოოპერატივის მუშაობა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, კოოპ. წევრთა რიცხვი უდრის 2.130. უკანასკნელ ხანებში კოოპერატივმა შესძლო თავის ირგვლივ შემოეკრიბა გლეხობის უმრავლესობა. კვირაობით კოოპერატივში განსაკუთრებულად ვაჭრობენ მახლობელ სოფლებიდან ჩამოსული გლეხები. კოოპერატივს აქვს განყოფილება, რომ კოოპერატივში საქონელი ყოველთვის [illegible] კვირაობით ვაჭრობა იმდენად დიდია, რომ მომხმარებელთა სავსებით დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება. აღსანიშნავია ისიც, საკმაოდ მოიპოვება, გარდა მანუფაქტურისა, ხოლო მანუფაქტურის მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ მისი დაკმაყოფილება მთლიანად არ ხერხდება.

კოოპერატივის გამგე ამხ. მანჯგალაძე ენერგიულად მუშაობს. მისი ინიციატივით ფართოვდება კოოპერატივის მუშაობა. კოოპერატივი ხსნის გასტრონომიულ განყოფილებას და სოფლებში გახსნილია სავაჭრო წერტები. კოოპერატივის გამგეობას საქონელი მოაქვს შერჩეული ასორტიმენტით, რაც უფრო მეტად იზიდავს მომხმარებელს.

ქართლელი.

მუშკორთა წერილებიდან

ქეიფის ნაცვლად ვიმუშავეთ

სოფ. ქოხერელი, გორის მაზრა

ჩვენი სოფლის გლეხობა დღესასწაულობდა „კვირიცხოვლობას". წელს გლეხობამ დაადგინა ამ დღეს არ ექეიფა და გასულიყო სამუშაოთ. მართლაც ცხველანი დიდი ხალისით წავიდნენ სამუშაოზე და 5 კილომეტრის მანძილზე გასწმინდეს არხი. დღეობიდან გადარჩენილი თანხები განზრახულია მოხმარდეს სოფლის კეთილმოწყობის საქმეს.

შურა ხუციშვილი.

მიაქციეთ ყურადღება

ორპირის თემი, ქუთაისის მაზრა

ორპირის თემის სოფელ ლეგვლევის სკოლაში გლეხები იძულებული არიან თავისი შვილები სწავლას დასთხოვონ, ვინაიდან მასწავლებელი ვარლამ ფაცხავა თავის მოწაფე ქალიშვილებს პირდება ცოლად შერთვას და რყვნის მათ. იმედია განათლების სამაზრო განყოფილება მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას.

ლეკერთელი.

დროზე მიიღეთ ზომები

ქ. დუშეთი

ბავშვთა ახალშობილის სავადმყოფოს ექიმად ითვლება ექიმი შახტინაროვა, რომელიც ძლიერ გულგრილად ეკიდება თავის მოვალეობას. წინედ ის მსახურებდა დუშეთის სავადმყოფოში, საიდანაც დაითხოვეს ალბად გულგრილობისათვის. ასეთი ექიმი ვერ დაიცავს ბავშვთა ჯანმრთელობას და საჭიროა სათანადო ზომების მიღება.

პოინგერი.

მუშათა ცხოვრება

როგორი წერილები უნდა იწერებოდეს კედლის გაზეთში

კედლის გაზეთის მნიშვნელობა ზოგიერთ ამხანაგებისათვის ჯერ კიდევ უცნობია. მათი აზრით, როგორი ხასიათის წერილიც არ უნდა იყოს, კედლის გაზეთში აუცილებლივ უნდა მოთავსდეს. მაგალითად: სხვადასხვა დღესასწაულების აღსანიშნავად გამოდის კედლის გაზეთის განსაკუთრებული ნომერი. ამ ნომრისათვის ყველა ცდილობს წერილი დაწეროს, იწერება გრძელი, ფილოსოფიური და მოვლენ მნიშვნელობის სახის წერილები. ასეთი წერილების გაშვება კი უკარგავს კედლის გაზეთს თავის დანიშნულებას და არც მკითხველის ინტერესებს.

კედლის გაზეთის საიუბილეო ნომერში უნდა მოთავსდეს მხოლოდ რამოდენიმე მოკლე წერილი ამა თუ იმ დღესასწაულის შესახებ. დანარჩენი მასალები ადგილობრივ ცხოვრებას უნდა ეხებოდეს.

კედლის გაზეთის დანიშნულებაა: წარმოება-დაწესებულების საქმიანობის გაშუქება; ამა თუ იმ ნაკლის თუ ბოროტების გამომჟღავნება მუშა-მოს. ყოფა-ცხოვრ. გაშუქება, წარმოების შემაფერხებელ მიზეზების გამომჟღავნება და სხ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ადგილობრივი კომიტეტების მუშაობას და კოლექტიური ხელშეკრულებების ცხოვრებაში გატარებას. გარდა ამისა წარმოება-დაწესებულებებში არსებულ ზოგიერთი თავისუფალი ორგანიზაციების მუშაობა ამ ბოლო ხანებში ძალზედ მოიკოჭლებს. ეს ნაკლიც უნდა აღინიშნოს კედლის გაზეთში და მიეთითოს პროფორგანოებს ამ ორგანიზაციების მუშაობის გასაცხოველებელ ღონისძიებებზე. კარიკატურების შერჩევასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. დაწესებულების თანამშრომლებმა კედლის გაზეთს უნდა მიაწოდონ მასალები დაწესებულების მახინჯი მოვლენების შესახებ.

ასეთი მუშაობით კედლის გაზეთები შეასრულებენ თავიანთ დანიშნულებას და მკითხველებშიც მოიპოვებენ პოპულარობას.

ნიკო მგერელი.

მუშაობა ფერხდება

(შავი ზღვის რკ. გზა)

შავი ზღვის რკინის გზის საჯუდში არ არის საკმაო სამუშაო ხელსაწყო-იარაღები. ამის გამო ერთი საათის გასაკეთებელ საქმის შესრულებას, ზეინკლები 2 და 3 საათს უნდებიან და მაინც ვერ აკეთებენ ხეირიანად. ორთქლმავლების ხრახნების უმრავლესობა, გასაღების უქონლობის გამო, [illegible] არის მოჭერილი. ასეთივე მდგომარეობაა ორთქლმავლებზეც. არც აქ არის საკმაო ხელსაწყო-იარაღი და რაც არის ისიც უვარგისია; ეს გარემოება დიდად აფერხებს ორთქლმავლის მოვლა-შენახვას და მემანქანის თანაშემწის მუშაობას. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ორთქლმავალს გზაში უზიანდება რომელიმე ნაწილი, ან ეშვება ხრახნილი და საჭიროა მისი გამაგრება. უიარაღობის გამო ამ აუცილებელ საქმის შესრულება შეუძლებელი ხდება. თანაშემწეს დიდი შრომა და დრო ესაჭიროება იმისათვის, რომ როგორმე შეაკეთოს ორთქლმავალი საჯუდში მისვლამდე.

ამ საქმის მოწესრიგებას არც ისე დიდი თანხა ესაჭიროება, რომ შეუძლებელი იყოს საკმაო იარაღის შეძენა. საჭიროა მხოლოდ ყურადღება.

ეს ყურადღება კი შავი ზღვის რკ. გზაზე ჯერ-ჯერობით მოიკოჭლებს. საჯუდში დიდი ხანია არსებობს საიარაღო, რომელსაც ჰყავს თავისი საკუთარი გამგე. მაგრამ ამ საიარაღოში არავითარი ხელსაწყო-იარაღი არ მოიპოვება. საიარაღოს გამგეც თავს არ იწუხებს იარაღის მოსამარაგებლად.

შავი ზღვის რკ. გზის სამმართველომ დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას და მიიღოს ზომები შავი ზღვის რკ. გზის ხელსაწყო - იარაღებით უზრუნველსაყოფად.

შანდელი.

მიღწევები საკლუბო მუშაობაში

ორჯონიკიძის სახელობის კლუბის წევრთა საერთო კრებაზე, კლუბის გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ალავიძე, რომელმაც დაწვრილებით გააცნო აუდიტორიას გამგეობის მუშაობა და აღნიშნა მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

მომხსენებლის სიტყვით, კლუბი აერთიანებს 1.502 წევრს. ამათში 921 მუშაა, 446 მოსამსახურე, 31 ოჯახის წევრი და 54 მოწაფე. კლუბთან ჩამოყალიბებულია: საფინანსო და სამეურნეო კომისიები და სამხატვრო საბჭო, სამხედრო-სპორტული და ფიზკულტურული წრეები. კლუბის გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობათა შორის მუშაობას. ამ მიზნით გამართულ იქნა 19 სხვადასხვა სახის ,,ახალგაზრდობის შესაფერი საღამო-წარმოდგენები, რომლებსაც დაესწრო სულ 5.284 ახალგაზრდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, კლუბის გამგეობას, საანგარიშო ხნის განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ გაუკეთებია. კლუბთან არსებული წრეების მუშაობაში ჩაბმულია 386 კაცი. კლუბის სამკითხველოს აქვს 21,318 სხვადასხვა წიგნი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მოკამათენი მიუთითებდნენ გამგეობის ზოგიერთ ნაკლზე და მოითხოვდნენ მომავალში მის გამოსწორებას. დასასრულ კრებამ გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და მომავალი მუშაობის გასაცხოველებლად მისცა რამოდენიმე პრაქტიკული ღონისძიებანი.

ხ. ახალაძე.

წინ მივიწევთ

ნაფთლუღის სახალხო მამულის მუშებმა, ძველი მუშის, დ. ათუაშვილის თაოსნობით, შეადგინეს მომღერალთა გუნდი, მაგრამ ნაფთლუღში არ მოიპოვება მომღერალთა გუნდისათვის საჭირო ნოტები, რის გამო შეუძლებელი ხდება ნორმალური მეცადინეობის წარმოება როგორც მუშებში, ისე მოწაფეთა შორისაც. განათლების განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

შავსოფლელი.

მუშკორთა წერილებიდან

ყურადღება მოგვაქციეთ. მეთორმეტე სამილიციო უბანში, დიდუბის მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე შესახვევებში მცხოვრები ცუდი გზისა და წყალსადენის უქონლობის გამო აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. არც ერთ, აქ აღნიშნულ ქუჩაში, არ არის გაყვანილი წყალსადენი. მცხოვრებლები წყალს ეზიდებიან ქალაქის წყალსადენის არხიდან, რომელიც საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული ხსენებულ ქუჩებიდან. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ ზომები უნდა მიიღოს აღნიშნული ქუჩების შესაკეთებლად და წყალსადენის მილის გასაყვანად.

ბორიდული.

სახლის პატრონი „მკლავაძე". კრამიტის ქ. № 7 სახლის პატრონი, მოქ. კანდელაკი და მისი მეუღლე მდგმურების მიმართ „ტარიელ მკლავაძის" როლს ასრულებენ. ხშირად ავიწროებენ მუშა მდგმურებსა და ემუქრებიან მათ ბინიდან გამოსახლებით. მილიცია, მოაჭკვიანე მკლავაძე სახლის პატრონი.

ტიტიკო.

მიეცით თავშესაფარი. ორი კვირის წინად, 19 თებერვლის ქუჩაზე მდებარე ქ. დადიშიანის სახლის ერთ ოთახში, რომელშიც სცხოვრობდა გემო-კვების კავშირის წევრი ასტღიკ ავჩანოვა თავისი უმუშევარი ქმრითა და მცირეწლოვანი შვილებით, ჩაინგრა კედელი და იატაკი. ავჩანოვა დარჩა უბინაოთ, ღია ცის ქვეშ, რის გამო გემო-კვების კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის მმართველობის წინაშე, რათა დროზე შეეკეთებინათ ბინა და ჩაესახლებინათ ღია ცის ქვეშ მყოფი ავჩანოვა. მას შემდეგ კარგა დრომ განვლო, მაგრამ ბინის შეკეთებაზე არც აღმასკომი და არც სახლის პატრონი თავს არ იწუხებს. კავშირი, მიაქციე ყურადღება და ავჩანოვას მიეცი თავშესაფარი.

ვ. ლიახველი.

საღი კრიტიკის ნაცვლად--ცილისწამება

ჟურნალ „განათლების მუშაკ"-ში (1928 წ. № 9) დაბეჭდილია ვინმე ლა.-შას წერილი სათაურით: „ასე აღარ შეიძლება". ავტორს სპეციალური აღზრდის მთავარმმართველობასთან არსებული მეთოდიური ორგანო ამოუღია მიზანში; მისი თქმით, მეთოდიურ ორგანოში, წიგნების შერჩევის ნაცვლად, ავტორების შერჩევა ხდება; ზოგ ავტორს წიგნის გამოცემის გარანტია და პატენტი წინდაწინვე ეძლევა; მეთოდიურ ორგანოზე მიხვეულ-მოხვეული გზები გაივლის და სხვა.

ერთი სიტყვით, ბოროტმოქმედებაზე და სისხლის სამართლის დანაშაულზეა ლაპარაკი.

ამიტომ ეს საქმე უკვე გადავეცით მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომელიც გამოარკვევს საქმის ნამდვილ ვითარებას და იტყვის ამის შესახებ. მოქ. ლა.-შა და ყველა, ვისაც კი რაიმე ეჭვი და საბუთი გააჩნია, ალბათ, მიაწოდებენ მასალას მუშათა და გლეხთა ინსპექციას და მით დაეხმარებიან სინამდვილის გამორკვევაში.

ისე კი წინდაწინ ვიტყვით, რომ მოქ. ლა.-შა, საღი კრიტიკის ნაცვლად, ცილისწამებას ეწევა. მან, სჩანს, სრულიად არ იცის საქმის ვითარება, არც კი მოუსურვებია მისი გაგება თვითონ დაწესებულებაში, სადაც ყოველგვარ საბუთებს და მასალას გაეცნობოდა და ამ გზით ასცდებოდა ცილის მწამებლის არა საპატიო როლს.

მეთოდიური ორგანოს მუშაობის შესახებ უახლოეს ხანში გაკეთდა საინფორმაციო მოხსენება განათლების მუშაკთა სახლში. იმედი გვაქვს, რომ მასწავლებლობა, ავტორები და ყველა, ვინც კი გულწრფელად დაინტერესებულია, ჩვენი კულტურული მშენებლობის წარმატებით, აქ მოურიდებლად და გულახდილად იტყვიან თავის სიტყვას, იტყვიან დანაშაულზე, თუ ასეთს ხედავს და საბუთი აქვთ, მიგვითითებენ შეცდომებზე და ამით დაგვეხმარებიან მუშაობის გაუმჯობესებაში. ვიმედოვნებ, მოქ. ლ.-შაც იტყვის თავისას.

მართალია, ზოგი ავტორი მეთოდიური ორგანოს მუშაობით უკმაყოფილოა,—უკმაყოფილოა, თუ წარმოდგენილი წიგნი დაიწუნეს, რადგან ავტორს ჩვეულებრივად [illegible] სრულქმნილად [illegible] მიზეზს მეთოდიურ [illegible] ხედავს; უკმაყოფილოა, თუ რამდენიმე მოწოდებული წიგნიდან სახელმწიფო გამომცემლობა, საშუალებათა სიმცირის გამო, მეთოდიური ორგანოს არჩევით, მხოლოდ ერთსა ან ორს, უფრო უკეთესს, ბეჭდავს. აქაც ისე ფიქრობს ავტორი: მისი წიგნი მეთოდიური ორგანოს მიერ სრულებით უსაფუძვლოდ და წიგნის ღირსებისაგან დამოუკიდებლად გადადო გვერდზე და უპირატესობა უარესს, მაგრამ პატენტით აღჭურვილი ავტორის წიგნს მიეცა და სხვ. ასეთი ავტორების დაკმაყოფილებას ჩვენ არ ვკისრულობთ. ამ სახის უკმაყოფილოთა ჯგუფი კვლავ გვეყოლება, სანამ წიგნზე მუშაობის მაღალი კულტურა ჩვენში არ დამკვიდრებულა და სანამ ყველა ავტორი არ აღიჭურვება მაღალი პედაგოგიური იდეებით, ცოდნით, გამოცდილებით და შემოქმედებითი მუშაობის უნარით.

არ ვიტყვით, თითქოს მეთოდიური ორგანოს მუშაობა სრულიად უნაკლო იყოს შეცდომების მხრივ. ზოგი შეცდომების შესახებ კიდეც დაიწერა და ითქვა. სამწუხაროა, მაგრამ ბუნებრივია არა თუ უმნიშვნელო, არამედ დიდი შეცდომებიც იქ, სადაც დიდი და ახალი საქმე კეთდება, სადაც ძიება და დადებითი მუშაობის წარმოება ერთსა და იმავე დროს ხდება. ამ დიდ მუშაობაში ფხიზელი და ულმობელი თვითკრიტიკა გვმართებს; აქ ძლიერ საჭიროა მასების აზრი და საღი საზოგადოებრივი კრიტიკა, შეცდომების მხილება და მითითება. ჩვენ ყოველთვის ვაფასებდით, ვაფასებთ და კვლავაც დავაფასებთ საზოგადოებრივ კრიტიკას, რადგან მასში მუშაობის გაუმჯობესების თავდებს და საწინდარს ვხედავთ, მაგრამ საღს, საქმიანს და გულწრფელ კრიტიკას და არა ქვენა გრძნობებზე და ზრახვებზე ან მოუფიქრებლობაზე აღმოცენებულ ცილისწამებას.

ვერ ვიტყვით, როგორი ბუნებისაა მოქ. ლა.-შას ცილისწამება, მაგრამ ის მაინც ცილისწამებაა და მუშაობაში ხელისშემშლელია.

მარიამ ორახელაშვილი.

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

ხომლელის დასაკრძალავი ხარჯების დასაფარავათ

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ იმ 150 მანეთის გარდა, რომელიც ერთხელ მისცა „მწერალთა კავშირმა", კიდევ დამატებით თავის მხრით გაიღო სპეციალურ საშუალებებიდან რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) დასაკრძალავი ხარჯების დასაფარავათ 150 მანეთი.

ინვალიდების სამუშაოზე მოწყობა

ინვალიდების კოოპერატიულმა ნადმა „ბლარუსმა" დადგენილება მიიღო მიმდინარე ზაფხულში ზოგიერთ საკურორტო ადგილებში მოაწყოს თუთუნის და პაპიროსების სავაჭრო წერტები და ამ წერტებში დააყენოს სავაჭროთ სამოქალაქო და იმპერიალისტური ომის ისეთი ინვალიდები, რომლებიც სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოებში არიან აღრიცხულნი.

პენსიების და ერთდროული დახმარებების მისაცემათ

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ განკარგულება მისცა განყოფილების საფინანსო ნაწილს ამ თვეში (მაისში) ქალაქ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ომის და შრომის ინვალიდებისათვის პენსიების და ერთდროული დახმარებების მისაცემათ გადასცეს ნაწილ-ნაწილად განყოფილების თბილისის საპენსიო ნაწილს—5.300 მანეთი.

ინვალიდთა კოოპერატიულ ნადების საკავშირო თათბირი

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: მოსკოვში 27 აპრილს დაიწყო და უკვე დამთავრდა საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკების ინვალიდთა კოოპერატიული ნადების (არტელების) კავშირების წარმომადგენლების თათბირი. თათბირს დაესწრო: რუსეთის; უკრაინის, საქართველოს, ბელორუსიის, უზბეკისტანის, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკების ინვალიდების კოოპერატიული კავშირების და შენაერთების წარმომადგენლები. თათბირზე გამოირკვა, რომ სულ მოწყობილი ყოფილა რუსეთში—ინვალიდების 2.400 კოოპერატიული ნადი, რომლებშიაც მუშაობს—35.000 კაცი, უკრაინაში მოწყობილია 897 ნადი, ამ ნადებში სულ ეხლა მუშაობს 12.000 კაცი, ბელორუსიაში მოწყობილია 100 ნადი, მუშაობს ამათში 2500 კაცი, უზბეკისტანში მოწყობილია 26 ნადი, სომხეთში მოწყობილია 21 ნადი, აზერბეიჯანში 26 ნადი და საქართველოში 35 ნადი. ყველა რესპუბლიკების ნადებში მოწყობილია და მუშაობს 51.069 კაცი. თათბირმა დაადგინა: ყველა რესპუბლიკების ინვალიდთა კოოპერატიული კავშირებიდან შექმნას ერთი საკავშირო ცენტრი. ინვალიდთა საკავშირო ცენტრის შესაქმნელათ თათბირმა დაავალა რესპუბლიკების ინვალიდთა კოოპერატივების საჭიროთ გამოიმუშავონ სათანადო პროექტი და წარუდგინონ ის მთავრობას დასამტკიცებლად.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ა.-კავკასიაში გასაღებულია 2.848.000 მან. ობლიგაცია.—რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 11 პროც. გადამეტებით.

ამიერ-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის უკანასკნელი ცნობების თანახმად, გლეხის მეურნეობის სესხის ობლიგაციები გასაღებულია: აზერბეიჯანში—1.365.000 მანეთის რაოდენობით, საქართველოში—1.020.000 მანეთის და სომხეთში—460.000 მან. რაოდენობით. ამრიგად მთელს ამიერ-კავკასიაში გასაღებულია სულ 2.845,000 მან. ობლიგაცია ე. ი. სესხის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 11 პროცენტის გადამეტებით.

რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატების ცნობის მიხედვით, რეალიზაციის კამპანიის დამთავრებამდე, ამიერ-კავკასიაში გასაღებული იქნება სულ 3.000.000 მან. ობლიგაცია.

ამიერ-კავკასიაში ცენტრიდან დღემდე გამოგზავნილი იყო 2.750.000 მან. ნაღდი ობლიგაცია, ამჟამად უკვე შესამჩნევია ნაღდი ობლიგაციების ნაკლებობა. ამიერ-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ამის შესახებ აცნობა საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სთხოვა ამიერ-კავკასიაში დამატებით გადმოგზავნოს 300.000 მან. ნაღდი ობლიგაცია. ამ დღეებში მოსკოვიდან მიღებული იქნება ობლიგაციების გამოთხოვილი რაოდენობა და პირველი ტირაჟის დროისათვის, ე. ი. 1 ივნისისათვის, ამიერ-კავკასიის ყველა რაიონები მთლიანად იქნება დაკმაყოფილებული ნაღდი ობლიგაციებით.

სახელმწიფო სესხების პოპულარიზაციის კამპანია

მიმდინარე საამშენებლო სეზონში სოფლებიდან ქალაქებში ჩამოდის დროებითი მუშების დიდი რაოდენობა. მეორე მხრივ იწყება საზაფხულო შვებულებების სეზონი, როდესაც ქალაქიდან სოფლად მრავლად ჩადიან შვებულებაში წასული მუშები. ფინანსთა სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს ეს გარემოება გამოიყენოს სახელმწიფო სესხების პოპულარიზაციისათვის.

ეს კამპანია ჩატარებული იქნება ერთი მხრივ შვებულებაში მიმავალ მუშებისათვის ინსტრუქციების და საჭირო მასალების მიცემის გზით და მეორე მხრივ, ქალაქში სოფლიდან შემოსულ დროებით მუშათა შორის საგიტაციო კამპანიის ჩატარებით.

სესხის ობლიგაციის შეძენის დროს დროებით მუშებს მიეცემათ შეღავათები, სახელდობრ: ობლიგაციის ღირებულებას გადაიხდიან ნაწილ-ნაწილად სამი თვის განმავლობაში და სხვ. ობლიგაციის შემძენი დროებითი მუშა სესხზე ხელის მოწერის დღიდან სარგებლობს უფლებით მოგებაზე, რომელიც შეიძლება ხვდეს ობლიგაციას.

ლენრაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 ნახ. საათზე შესდგა ლენინის რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი: 1) მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს მიერ ჩატარებულ სარაიონო შეჯიბრის შედეგების შესახებ და 2) მოხსენება—ომის საფრთხე და თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების ამოცანები.

პირველ საკითხზე ილაპარაკა ამხ. ტუხალოვმა. მომხსენებლის სიტყვით, სარაიონო შეჯიბრი საუკეთესო მსროლელზე ჩატარდა მიმდინარე წლის 26 თებერვალს. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო თავდაცვა-ავიაქიმის 23 უჯრედმა; ლენინის რაიონში კი სულ 30 უჯრედი არსებობს. ამას გარდა შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 70-მდე ინდივიდუალურმა მსროლელმა.

პირველი ჯილდო მიეცა—ამიერ-კავკ. გზების მთავარ სახელოსნოს სადურგლო საამქროს, თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის ბიუროს (პატარა კალიბრის თოფი—„ვინტოვკა" და ვერცხლის ვაზა); მეორე ჯილდო—რკ. გზის სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბნის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედს (პატარა კალიბრიანი თოფი—„ვინტოვკა"); მესამე—რკ. გზის სამმართველოს თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედს—(მაგიდის საათი); მეოთხე—ამიერ-კავკ. საგზაო პროფგანათლების კურსების უჯრედს (სამხედრო ლიტერატურა, სამხედრო იარაღების მოდელები და სხ.) მეხუთე—რკ. გზის მთავარ სახელოსნოების ელექტრო-ტეხნიკური საამქროს უჯრედს („ვინტოვკა"-ს სისტემის თოფი); ხოლო მე-6 ჯილდო მიეცა რკ. გზის საამშენებლო ტექნიკუმის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედს.

ინდივიდუალური ჯილდოები მიეცათ შემდეგ საუკეთესო მსროლელებს: პირველი ჯილდო—რკ. გზის სამმართველოს [illegible] თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის წევრს ამხ. თოფჩიშვილს;—(ვერცხლის საათი); მეორე ჯილდო—ამავე [illegible] უჯრედის წევრს—ამხ. სოკოლოვს (ვერცხლის ხანჯალი); მესამე—რკ. გზის საამშენებლო ტექნიკუმის თავდაცვა-ავიაქ. უჯრედის წევრს—ამხ. კრასნოვს (ჯიბის საათი); ხოლო მეოთხე ჯილდო—ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბთან არსებულ სამხედრო წრის წევრ-ქალს ამხ. ოლღა კაკუნის (რედიკული).

დასასრულ, პლენუმმა მოისმინა ამხ. კლიმენტოვის მოხსენება—მომავალი ომის საფრთხის და თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების ამოცანების შესახებ.

ახლოვდება საავიაციო ლატარიის გათამაშება

საკავშირო საავიაციო 1-ლი ლატარიის წარმატებით ჩატარების შემდეგ 1926-27 წელში, საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობმა საზოგადოებამ 1927-28 წლისათვის გამოსცა მეორე ავიო-ლატარია.

პირველ ლატარიაში გამოშვებულ იქნა 2 მილიონი ბილეთი ხოლო მეორე ლატარიაში —3.000.000 ბილეთი 1.500.000 მან. რაოდენობით.

ლატარიიდან მიღებული მთელი თანხა მოხმარდება თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების მუშაობის გაძლიერებას მშრომელთა მასების გასამხედროების, წითელი არმიის ტეხნიკური ძალების გაძლიერების დარგში და აგრეთვე სამეცნიერო სამხედრო ინსტიტუტების და დაწესებულებათა შექმნას და გაფართოებას, დიდ საბჭოთა გადაფრენების მოწყობას (1928 წელში) საზღვარ-გარეთ და საბჭოთა კავშირში და სხ. ბილეთების რეალიზაცია დაიწყო 1927 წლის დასასრულში, უკანასკნელი ბილეთების გაყიდვა სწარმოებს ამჟამადაც საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების შენობაში (კალოუბნის ქ., № 7), ლატარიის ჩატარებას თავიდანვე ხელი შეუშალა სხვადასხვა კამპანიებმა, მაგრამ რეალიზაციის შედეგები მაინც დამაკმაყოფილებელია.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების წევრები და საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები უდიდეს ინტერესით ეკიდებიან ამ ლატარიას, მით უფრო, რომ ამ ტირაჟში გათამაშებულ იქნება დიდი მოგებანი: ერთი—მოგზაურობა დედამიწის ყველა ქვეყნებში ან 7.500 მანეთი, ორი—მოგზაურობა დედა-მიწის ირგვლივ ან 5.000 მანეთი, ხუთმეტი—მოგზაურობა ევროპაში, ორმოცდაათი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში და სხ. სულ არის 11.093 მოგება.

მოგზაურობისა ან გაფრენის მომგებთ უფლება ეძლევა მოგება მიიღონ ფულით ან ნატურით.

საქართველოში შარშან გასაღებულ იქნა პირველი ლატარიის 29.000 ბილეთი, მიმდინარე წელში გასაღებულია 35.000 ბილეთი, 17.500 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა, ბილეთებზე მოთხოვნილების გაძლიერების გამო უკანასკნელ თვეში მოსკოვიდან დამატებით იქნა მიღებული 3.000 ბილეთი.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების უჯრედებისა და ქვედა საფეხურების ორგანიზაციების მატერიალური ბაზის გასაძლიერებლად ლატარიის ბილეთების ნომინალური ღირებულებიდან გადარიცხულ უნდა იქნას 7-დან 25 პროც.-მდე.

ლატარიის ტირაჟი უნდა მომხდარიყო ა. წ. აპრილში, მაგრამ ტეხნიკური მიზეზების გამო გადაიდო მაისისათვის. ახლა მიღებული ოფიციალური ცნობებით საკავშირო მე-2 ავიოლატარიის მოგებათა გათამაშება მოხდება ხარკოვში ა. წ. 26-27 მაისში.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების უჯრედებმა და აგრეთვე საზოგადოების სამაზრო და სარაიონო ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა მიიღონ ზომები, რათა სასწრაფოდ იქნას გადაგზავნილი ბილეთების რეალიზაციისაგან მიღებული ფული, რომ ა. წ. 15 მაისისათვის დამთავრდეს ლატარიის ყველა ანგარიშების გასწორება ლატარიის კამპანიის წარმატებით ჩატარება სავსებით არის დამოკიდებული იმ ენერგიაზე და დაინტერესებაზე, რომელსაც ამ საქმეში გამოიჩენენ თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი გაყიდული ბილეთი—ლახვარია ჩემბერლენისა და მისი ლაქიებისათვის, და ამიტომ საქართველოს მშრომელებმა და პირველ რიგში თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების წევრებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ლატარიის პოპულარიზაციის საქმეში.

ჩვენი ლოზუნგია: „არც ერთი ბილეთი არ უნდა დარჩეს გაუყიდავი ლატარიის ტირაჟის დღისათვის".

ა. ჭილოსანი.

ქრონიკა

ჰიდრო-სადგურების პროექტების შეთანხმება

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, იმ მიზნით, რომ წყალთა რესურსებს გამოყენება ელექტროფიკაციისათვის შეთანხმებული იქნეს მელიორაციის ინტერესებთან, დაადგინა: ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო-ელექტრო სადგურების პროექტები შეთანხმებული იქნეს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან; შეთანხმებული უნდა იქნეს იმ სადგურების პროექტები, რომელთა სიმძლავრე არ აღემატება 500 კილოვატს.

იმ ჰიდრო-ელექტრო სადგურების პროექტები კი, რომელთა სიმძლავრე 500 კილოვატზე მეტია, სათანადო ორგანოებში დასამტკიცებლად წარდგენამდე შეთანხმებული უნდა იქნეს ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან.

პენსიის დანიშვნა რაფიელ ჩიხლაძის ქვრივისათვის

საქართველოს ცაკმა გადასწყვიტა ცნობილ რევოლიუციონერის რაფიელ ჩიხლაძის ქვრივს დაუნიშნოს პენსია.

„გლაველექტროს" დეპეშა

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარემ ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ გუშინ მოსკოვიდან საკვ. ს. მ. უ. ს. მთავარელექტრო - სამმართველოდან („გლაველექტრო") მიიღო მისასალმებელი დეპეშა აბაშის ჰიდრო-ელსადგურის ამუშავების გამო. მისალმებაში ნათქვამია:

„გილოცავთ კიდევ ერთ მორიგ გამარჯვებას აღმშენებლობის ფრონტზე. აბაშის ჰიდრო ელსადგურის აგებით, იხსნება ახალი გზები საქართველოს ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის განვითარებისაკენ. გაუმარჯოს ყველა მუშაკებს, რომლებმაც თავისი ენერგია არ დაზოგეს აბაშის ჰიდრო-ელსადგურის აგების საქმეში.

„გლაველექტროს" თავმჯდომარე—
ინჟ. კორონტაშევსკი.

აბრეშუმის თესლი

აბრეშუმის თესლის დარიგება მეაბრეშუმეობის ყველა რაიონებში დამთავრდება ამ დღეებში.

წელს სულ დარიგებული იქნება 104.000 კოლოფი თესლი, აქედან 94.000 კოლოფი დამზადებულია ადგილობრივ, 10.000 კოლოფი კი შეძენილია საზღვარგარეთ.

კოლოფი თესლი ღირს 2 მან. 50 კ. ნისიად დაურიგდება მეაბრეშუმე გლეხებს მოსავლის გასაღებამდე.

წელს აბრეშუმის ჭიის მოვლა-კვებას უხელმძღვანელებენ სპეციალისტი ინსტრუქტორები.

მეფუტკრეობის კურსები

მეფუტკრეობის კვალიფიციურ ტეხნიკოსთა მოსამზადებლად მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა 20 მაისს გახსნას მეფუტკრეობის 3-თვიანი კურსები. კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს უფასოთ. კურსებზე მიღებული იქნება 7-წლედ დამთავრებულნი. პრაქტიკული მეცადინეობა იწარმოებს ნორიოს მეფუტკრეობის ახალშენში.

თბილისის აღმასკომში

◆ ტიპიურ საბეითლო პუნქტის მოსაწყობათ წალკის თემში თბ. აღმასკომმა გადასდო 7.000 მანეთი.

◆ **ბაღების მორწყვა.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა წელს მოაწყოს კრწანისის ბაღების მორწყვა.

◆ **ლუდის ახალი ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება შეუდგა ლუდის ახალი ქარხნის აგებას. ქარხანა ყოველწლიურად დაამზადებს 300.000 ვედრო ლუდს.

◆ **თბილისსა და მის მაზრაში** არსებულ სასაკლაოებთან იხსნება ტყავის შემსყიდველი პუნქტები.

◆ **რძის ნაწარმოების ქარხანა.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილება ბეშთაშენში აგებს რძის პროდუქტების დამამზადებელ ქარხანას. ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა უკვე შეძენილია.

მიწსახკომში

◆ **72 ტრაქტორი.** სიღნაღის მაზრაში ამჟამად მუშაობს 72 ტრაქტორი.

◆ **საფილოქსერო თათბირი.** მიწსახკომი შაბათს, 12 მაისს, იწვევს სპეციალურ თათბირს ფილოქსერის წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად.

სხვადასხვა

◆ **საქ. ტეხნიკურ საზ-ბაში** კვირას, 13 მაისს, დღის 12 ს., (თბ. ინდუსტრ. ტეხნიკუმში) ინჟ. ბ. ჭიჭინაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ფარავანის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევის შედეგები".

◆ **რადიო-აპარატზე** ფასები დაკლებულია 20 პროცენტით.

◆ **სამილიციო ცნობარი.** აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება შეუდგა სამილიციო ცნობარის (კალენდარი) გამოცემას. ცნობარში განმარტებული იქნება მილიციის უფლება-მოვალეობანი და აგრეთვე აღნიშნული იქნება წარმოება-დაწესებულებების მისამართი და ქუჩების ახალი სახელწოდება.

ხელოვნების ქრონიკა

კომპოზიტორ სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავად

თბ. სახელმწიფო კონსერვატორიის გამგეობამ კომპოზიტორ სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავ კონცერტის მოსაწყობად გამოყო ცალკე კომისია.

გამგეობამ გადასწყვიტა აგრეთვე სპენდიაროვის დაკრძალვაზე დასასწრებლად ერევანში გააგზავნოს კომისია კომპ. დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით.

ექსპერიმენტალური საბავშვო თეატრი „მოზარდი"

ა. წ. მაისს 9-ს თბილისის მუშათა თეატრში წარმოდგენილი იქნა მარკ - ტვენის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა „ტომ-სოიერი". ეს იყო პირველი საბავშვო წარმოდგენა, რომლითაც საფუძველი ეყრება ექსპერიმენტალურ საბავშვო თეატრს—„მოზარდს" თბილისში.

განათლების სახ. კომისარიატის სახელოვნო დაწესებულებათა მთავარსამმართველობას განზრახული აქვს აღნიშნულ თეატრის ექსპერიმენტების მიხედვით, მომავალში დაარსოს მუდმივი საბავშვო თეატრი, რომელიც სპეციალურად იმუშავებს ახალგაზრდა მაყურებელთა მხატვრული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სამხატვრო აკადემიაში

სამხატვრო აკადემიის გამგეობამ განათლების სახ. კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ზაფხულის განმავლობაში აკადემიიდან პრაქტიკაზე გაგზავნილ იქნას 49 კაცი. აკადემიას განზრახვა აქვს მოსკოვსა ლენინგრადს და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში გააგზავნოს: ხუროთმოძღვრების ფაკულტეტიდან 30 სტუდენტი, მოქანდაკეობის ფაკულტეტიდან—4, გრაფიკულ ფაკულტეტიდან 5 და სამხატვრო ფაკულტეტიდან—10.

◆ **კამერულ თეატრის** მიერ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ჟიროფლე-ჟიროფლეი".

◆ **მუშათა თეატრში** კვირას, 13 მაისს გერმანელ სცენის მოყვარეთა წრე გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „ცხოვრება და სიყვარული".

◆ **ჟიხარევას** საგასტროლოდ დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ანა კარენინა".

◆ **კინო ბავშვებისათვის.** კვირას, დღით, კინო „არფასტოში" გაიმართება საბავშვო კინო-სურათების ჩვენება.

◆ **ახალი კლუბი.** ფ.-ტ. მუშაკთა კავშირმა გადასწყვიტა ლენინის ქუჩაზე თავის წევრებისათვის ააგოს ახალი კლუბი.

◆ **პლეხანოვის სახ. კლუბში** შაბათს, 12 მაისს გაიმართება ს. დოლიძის საღამო. წარმოდგენილი იქნება „დემონი".

◆ **დისპუტი დ. კაკაბაძის სურათების გამოფენის შესახებ.** კვირას, 13 მაისს, დღის 12 ს. სამხატვრო აკადემიის კლუბში შესდგება დისპუტი მხატვარ დ. კაკაბაძის სურათების გამოფენის შესახებ.

აგრონომები პრაქტიკაზე

აგრონომიული დახმარების გაფართოებისა და აგრონომიული პერსონალის რიცხვის გადიდების მიზნით, მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა თავის ხარჯზე ადგილობრივ სამაზრო აგრონომიულ ორგანიზაციებში სამუშაოდ მიიღონ 28 სტაჟიორი და 26 პრაქტიკანტი.

სტაჟიორებად გაიგზავნება ის აგრონომები, რომლებმაც წელს დაამთავრეს სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი, ხოლო პრაქტიკანტებათ ის ახალგაზრდები, რომელნიც ითვლება აგრონომიულ ფაკულტეტის უფროს კურსზე.

პრაქტიკანტების და სტაჟიორების ხელფასით დასაკმაყოფილებლად მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა გადასდო 12.300 მანეთი.

პრაქტიკანტები და სტაჟიორები გაიგზავნება იმ მაზრებში, სადაც აგრონომიული დახმარება მოისუსტებს და მათ ექნებათ მეტი ცოდნისა და პრაქტიკის მიღების საშუალება.

სტაჟიორ-პრაქტიკანტები გაიგზავნება აგრეთვე საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებებში, მათ შორის თბილისის ბოტანიკურ ბაღში, ცენტრალურ ბოტანიკურ სადგურში, სასოფლო სამეურნეო ქიმიურ ლაბორატორიაში, სამეურნეო საცდელ სადგურში, საქარის და კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურებში.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მომავალში გაადიდოს სტაჟიორ-პრაქტიკანტების რიცხვი და ამ მიზნით შეიმუშაოს სათანადო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

სასამართლო

თაღლითი გამგე

ვთხოვთ გაიცნოთ ალექსანდრე სეხნიაშვილი. 1924 წლიდან 28 წლამდე სულ მუდამ გამგე გახლდათ. მას ებარა ფოსტა-ტელეგრაფის ტეხნიკური ნაწილი.

მას უნდა მიექცია ყურადღება ტეხნიკურ სახელოსნოების, ტეხნიკური პერსონალის მუშაობისათვის.

მოგეხსენებათ, ტელეგრაფის აპარატების მდგომარეობაზეა დამოკიდებული ტელეგრაფის ნორმალური მუშაობა. „ერთი მათგანი რომ წახდეს, მაშინვე უნდა შეველაო".

თუ დაზიანებული აპარატი მაშინვე არ შეკეთდა, კიდევ უფრო გახშირდება შემთხვევა, როცა ავადმყოფის დასახმარებლად დეპეშით გაგზავნილი ფული მისი გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე მიდის დანიშნულების ადგილას.

როგორ აქცევდა სეხნიაშვილი ყურადღებას აპარატების თავის დროზე შეკეთებას?

გასულ წელს სეხნიაშვილის ხელქვეითმა თანამშრომლებმა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილეს განცხადება მიართვეს, რომ სეხნიაშვილი სრულებით ყურადღებას არ აქცევს აპარატების მდგომარეობას. ზოგიერთი აპარატები დაზიანებულია. მუშაობა ფერხდება და როცა საჩივრები მოდის, საყვედური ჩვენ არ აგვცდებაო.

ამის შემდეგ ზედმეტია ლაპარაკი გამგის სიფხიზლეზე.

სწორედ ამ ხანებში დაარსდა დეპეშების დაგვიანების მიზეზების გამომრკვევი კომისია, რომელსაც დაევალა გადაესინჯა აგრეთვე გამგე სეხნიაშვილის საქმიანობა.

ბევრი ფრიად მნიშვნელოვანი და სამწუხარო რამ აღმოაჩინა კომისიამ.

სეხნიაშვილს 1925-26 წელს დაავალეს აპარატ „ჰიუდის" შეკეთება და ამისათვის მისცეს 1200 მანეთი. აპარატი, რასაკვირველია, შეკეთებული უნდა ყოფილიყო ტეხნიკურ სახელოსნოში. ეს რომ ასე არ ხდებოდეს, მაშინ რაღა საჭიროა სახელოსნო.

სეხნიაშვილმა სახელოსნოს გვერდი აუარა. მას დაახლოვებული მექანიკოსები ჰყავდა, რომლებიც შინაურულად აკეთებდნენ რემონტს. ეს უფრო ნაკლები უჯდებოდა სეხნიაშვილს და რემონტისათვის გამოწერილ თანხიდან „გამოსარჩენი" რჩებოდა.

ანგარიშების გასასწორებლად სეხნიაშვილმა წარადგინა „საბუთები", რომელთა შორის ყველაზე უფრო საინტერესო საგამომძიებლო ორგანოებისათვის აღმოჩნდა ხელწერილები 200 მანეთის შესახებ, მექანიკოსებმა მახაშვილმა და ღლონტმა ამ ხელწერილების თანახმად, ვითომ მიიღეს შეკეთების დროს გაწეულ შრომის ხელფასად 200 მანეთი, ნამდვილად კი მათ არც უმუშავიათ, არც ფული მიუღიათ და არც ხელი მოუწერიათ.

თვითონ სეხნიაშვილმა ჩააგვირისტა მათი სახელი და გვარი. ფულიც ჩაიდო ჯიბეში.

1927 წ. ივნისში გამგე სეხნიაშვილმა თავის თავზე იკისრა ელექტრონის მავთულის გადაკეთება, ამ ფრიად კეთილ განზრახვისათვის მას მიეცა 2.860 მანეთი. მან, რასაკვირველია, თითიც არ გაუნძრევია. თავის მეგობარ მექანიკოსებს მიანდო.

ჯერ კიდევ არ იყო მუშაობა დამთავრებული, რომ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მისდის სეხნიაშვილისაგან ცნობა: მუშაობა დამთავრებულია და, რაც მთავარია, ფულიც დახარჯულია.

დახარჯულ ფულის ანგარიშად წარადგინა მის ხელქვეით მექანიკოს ჩერნიშოვის მიერ შედგენილი ცხრილი, რომელშიაც აღნიშნული იყო, თითქოს თვითონ ჩერნიშოვს მიღებული აქვს გასამრჯელოდ 854 მან. ნამდვილად კი 160 მანეთის მეტი არ მიუღია, და ნარჩენი საქეიფოდ გადასდეს გამგემ და მექანიკოსმა.

იმავე წლის დეკემბერში სეხნიაშვილს უნდა შეეძინა მოტორი „ბოდოს" აპარატისათვის და გაეგზავნა განჯაში. ამისათვის მას მიეცა 230 მანეთი.

იცით რა ჰქნა გამგემ? ეს 230 მანეთი ჯიბეში ჩაიდო და განჯაში გაგზავნა სატელეგრაფო კანტორის კუთვნილი მოტორი, რომელიც უვარგისი აღმოჩნდა და უკანვე დააბრუნეს განჯიდან.

გამგე სეხნიაშვილი განიერ ცხოვრებას ისე შეეჩვია, რომ როცა „გამოსარჩენს" ვერსად წააწყდებოდა, მის თანამშრომლებსართმევდა „სესხად" ფულს, რომელსაც იშვიათად თუ დაუბრუნებდა.

— რა მექნა? მე თვითონ გაჭირვებული ვიყავი, მაგრამ გამგე, რომ გამეწბილებია, (ცუდი თვალით დამიწყებდა ცქერას,—ლაპარაკობს თანამშრომელი სამოილოვი.

კერძო მოქალაქიდანაც უსესხებია გამგეს თამასუქით ფული, რომელიც გაფლანგულ თანხის დასაფარავად უნდოდა, მაგრამ ისიც „შემოეხარჯა" და ეხლაც მასზე ირიცხება.

— თვალები დაითხარე და გამიჩინე სადმე 300 მანეთი,—უბრძანა გამგემ თანამშრომელ სამოილოვს.

— ბატონო, თუ რამე არ დავუგირავეთ, არავინ ფულს არ იძლევა. მე არაფერი მაქვს ძვირფასი, თორემ დიდი სიამოვნებით ხელს გაგიმართავდი.

გამგეს ფული უნდა, ქეიფი უნდა, ლაპარაკი ზედმეტია. ფული გაჩნდეს უნდა.

სეხნიაშვილმა გამოიღო უჯრიდან პლატინა, რომელიც საკმაო რაოდენობით ებარა მას (პლატინა ტელეგრაფის აპარატებისათვის არის საჭირო) და გაატანა დასაგირავებლად სამოილოვს.

საქმის წარმოებაც ისე ჰქონდა არეული სეხნიაშვილს, რომ ძალიანიც, რომ ეცადოთ, ვერ გაიგებთ, რამდენი ძვირფასი ნივთი მიისაკუთრა და რამდენი ჩერვონეცი დალუპა მის უფსკერო ჯიბეში.

ეხლა გაგაცნობთ სეხნიაშვილის მეორე თანამდებობას. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან საბინაო ამხანაგობა არსებობს. აი ამ ამხანაგობის ხაზინადრადაც გახლავთ სეხნიაშვილი. საერთოდ, როგორც დაინახეთ, მას დიდი ლტოლვა ჰქონდა ფულისადმი და ხაზინადრობაზე უარი ვერ სთქვა, თუმცა ძალიან დატვირთული იყო მუშაობით.

ამა წლის 10 იანვარს საბინაო ამხანაგობას კარს მიადგა რევიზია.

შემოიკრა ალექსანდრემ თავში ხელი. ცუდათ არის საქმე. 915 მანეთი აქვს გაფლანგული. სადმე უნდა გაჩნდეს, თორემ გათავდა მისი კარიერა.

მოხერხება როდი აკლია სეხნიაშვილს. იმავე შენობაში შემნახველი სალარო იყო, რომელსაც განაგებდა მოქ. პეტრე კიკული.

გამოიხმო სეხნიაშვილმა კიკული და გაუზიარა თავისი გაჭირვება.

— ეხლა თუ დამიხსენი, შენზე ძვირფასი არავინ მეყოლება ჩემს სიცოცხლეში. მომიხერხე ერთი ორი საათით 915 მანეთი. ორი საათით მხოლოდ რევიზორების თვალის ასახვევათ, სალაროს გასინჯვის შემდეგ უკანვე დაგიბრუნებ,—ემუდარება გამგე გამგეს.

— როგორ მოვახერხო, კაცო, ჩემთანაც რომ შემოვიდეს რევიზია, სადღა წავიდე!

— არა უშავს,.. გააკეთე საბუთი, ვითომ მე შემნახველ სალაროში შემოტანილი მქონდა 915 მანეთი და უკანვე წავიღე. მალარიჩი ჩემზე იყოს.

პეტრე კიკული მოლბა მალარიჩის გაგონებაზე. გააკეთა ყალბი საბუთი და ხელი გაუმართა მეგობარს.

სარევიზიო კომისიის წევრებმა გაიგეს ეს „იშკილი". ორივე გამგე გამოტყდა ამ სიყალბის ჩადენაში.

ასეთი ატესტატით ალექსანდრე სეხნიაშვილი გაიგზავნა გამასწორებელ სახლში.

ამასთან ერთად პასუხისგებაში არიან მიცემული სიყალბის ჩადენისათვის მექანიკოსი ნიკოლოზ ჩერნიშოვი და შემნახველ სალაროს ყოფ. გამგე პეტრე კიკული.

საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

ზერ.

სრ. საქ. ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მოწოდება

საქართველოს ცაკთან არსებული ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლ. ქართველიშვილმა საქართველოს ყველა მშრომელ და ყველა ფიზკულტურისნებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

პროლეტარული ფიზიკური კულტურა და სპორტი საბჭოთა საქართველოში წარმატებით ვითარდება.

წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტურ სასპორტო ორგანიზაცია „შევარდენი"-ს მაგივრად იზრდება და ფართოვდება მუშაობა წითელი სასპორტო ორგანიზაციებისა, რომლებიც აერთიანებენ საბჭოთა საქართველოს მშრომელთ.

ფიზიკური კულტურა შევიდა სასკოლო განათლების და აღზრდის სისტემაში, ფიზკულტურა განუყოფელი ნაწილი გახდა იმ დიდი კულტურულ - განმანათლებელი მუშაობისა, რომელსაც პროფკავშირები აწარმოებენ მთელს საბჭოთა კავშირში.

ფიზიკური კულტურა საბჭოთა საქართველოში თანდათან იპყრობს მშრომელთა ფართო მასების ყურადღებას, იგი ხდება ახალი ჯანსაღი შრომითი ყოფა-ცხოვრების ნაწილად; ფიზკულტურის ორგანიზაციები თავის მუშაობას აწარმოებენ იმ მიმართულებით, რომ სპორტი სავსებით და მთლიანად ემსახურებოდეს მუშათა კლასის ინტერესებს, საბჭოთა კავშირის თავდაცვის ინტერესებს.

სასპორტო ორგანიზაციების გენერალური ხაზია—შექმნილი იქნეს სოციალიზმისათვის წარმოებულ რევოლიუციონურ ბრძოლისაგან განუყოფელი მოძრაობა, აღზრდილი იქნეს შეგნებული ფიზკულტურისნები არა მარტო ფიზიკურად განვითარებულ კუნთებით, არამედ ჯანსაღი პროლეტარული იდეოლოგიითაც, აღზრდილი იქნეს მამაცი და გაბედული მებრძოლი ოქტომბრის საქმისათვის.

იმ დროს, როდესაც თანდათან მწვავდება ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სისტემაში, როდესაც ბურჟუაზია გააფთრებულ შეტევას აწარმოებს პროლეტარიატზე, წითელმა სასპორტო ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა შეამჭიდროვონ ყველა ფიზკულტურისნები ფოლადის რიგებში და დაამტკიცონ თავისი მთლიანობა და ორგანიზაციული შეკავშირება.

საქართველოში წარმოებულ ფიზკულტურულ მუშაობისათვის ჯამის გასაკეთებლად ქ. თბილისში 3-დან 7 ივნისამდე ჩატარებული იქნება სრულიად საქართველოს ფიზკულტურის პირველი დღესასწაული, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ყველა ჩვენი მიღწევები და ნაკლულოვანებანი, რათა კიდევ უფრო გაძლიერებული იქნეს კულტურული მუშაობის ეს სერიოზული დარგი.

ფიზკულტურის დღესასწაულმა განსაკუთრებით მკაფიოდ უნდა გამოააშკარავოს ფიზკულტურისნების ინტერნაციონალური მთლიანობა, მათი სასპორტო მომზადება და მიღწევები.

დღესასწაულზე მოწვეულნი არიან ყველა უწყებების და ორგანიზაციების ფიზკულტურისნები, და აგრეთვე ყველა სამაზრო ორგანიზაციები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სრულიად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაული ჩატარებული იქნება სპორტ-ორგანიზაციების მთლიანობის ნიშნის ქვეშ, საქართველოს ფიზკულტურისნების საბჭოთა კავშირის მთელ მუშათა სასპორტო მოძრაობასთან სოლიდარობის ნიშნის ქვეშ.

ჩვენ მივმართავთ ყველა ფიზკულტურისნებს მოწოდებით:

— ენერგიულად ემზადეთ სრულიად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულისათვის.

— საქართველოს წითელ სპორტ-ორგანიზაციების მთლიანობისათვის.

— კლასიურ პროლეტარულ სასპორტო მოძრაობის განვითარებისათვის, რევოლიუციონური ბრძოლისათვის ახალი კაპიტალისტური ომების საშიშროების წინააღმდეგ, მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარულ ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის.

ფაბრიკა-წარმოებების გადასვლა ზაჰესის ენერგიაზე

დღემდე ზაჰესის ენერგიაზე გადასულია შემდეგი წარმოებები: ლითონტრესტის სახელოსნოები დიდუბეში, რადიო-სადგური, თბილისის ტრამვაი, ტყავტრესტის წარმოებათა ნაწილი, პოლიგრაფიული ტრესტი (მთლიანად), საპონ-ზეთის ტრესტის ფაბრიკათა ერთი ნაწილი და სახკინმრეწვი.

ახლო ხანში ზაჰესის ენერგიაზე მთლიანად გადავა საარტილერიო-მექანიკური ქარხანა და 26 კომუნარის სახელობის ქარხანა. უკვე დაწყებულია მუშაობა რკინის გზის წყალსაქაჩის (დიდუბეში) გადასაყვანად ზაჰესის ენერგიაზე, სწარმოებს ენერგიის მიმღებ მოწყობილობათა დადგმა ბამბის ქარხნებში, მზადდება ზოგიერთი სახერხი ქარხნების გადასაყვანად ზაჰესის ენერგიაზე და სხვა. არასაწარმოო ხასიათის დაწესებულებათაგან ზაჰესის ენერგიაზე გადავიდა რუსთაველის თეატრი.

წყალთა მეურნეობის პერსპექტივები

წყალთა მეურნეობის სამმართველომ შეიმუშავა 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია მთელი რიგი ახალი სამუშაოების ჩატარება, როგორც საირიგაციო, ისე სამელიორაციო დარგებში. გეგმაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეს, რისთვისაც გათვალისწინებულია მდინარეთა ნაპირების გამაგრება, ახალი არხების გათხრა მდინარეებიდან ზედმეტი წყლის გადასაშვებად და სხვა. სულ აღნიშნულ სამუშაოებზე 5 წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს 1.100.000 მანეთი.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე ახალ დასახლებულ რაიონებში წყალსადენის და სარწყავი არხების გაყვანას; ახალ გადასასახლებელ რაიონებში წყალსადენების და სარწყავი არხების გასაყვანად გათვალისწინებულია 350.000 მანეთის დახარჯვა.

გარდა ამისა მომავალ ხუთი წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს „მაშველის" და 1-ლი საბჭოთა არხის გაყვანა, სამურზაყანოს ზოგიერთი რაიონების ჭაობების დაშრობა, აჯამეთის სარწყავი სისტემის მოწყობა, ხაროულის ჭალების მორწყვა (იმერეთშია) დოუბ-გრაკალის და ყარა-ქარელის რაიონების მორწყვა და მთელი რიგი სხვა წვრილმანი სამუშაოები. ყველა აღნიშნულ სამუშაოებზე ე. წ. სამელიორაციო კრედიტის ფონდიდან და მოსახლეობაში შეკრებილი თანხებიდან დაიხარჯება 1.880.000 მანეთი.

ახალი სამუშაოები დაწყებული იქნება ნაგომარის ველზე (ოზურგეთის მაზრა) და შაორზე (რაჭის მაზრა). ორივე ადგილში დაშრობილი იქნება 2.000 ჰექტარი სახნავი მიწა.

დასახელებულ ადგილებში წყალსადენების გასაყვანად დახარჯული იქნება 600.000 მანეთი. ამ თანხაში არ შედის ის თანხა, რომელიც გადადებულია გადასასახლებელ რაიონებში წყალსადენის გასაყვანად.

რადიო გადაცემა

პარასკევი, 11 მაისი

დღეს, 11 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საუბარი—ქართულ ენაზე.

ცეკავშირის მოხსენება— ქართულ ენაზე.

ბუზები და სხვა მწერები, როგორც სნეულებათა გამავრცელებელნი, და მათთან ბრძოლა—ჯანსახკომის საუბარი —თურქულ ენაზე.

რადიო-მეგობართა საზოგადოების ტეხნიკური კონსულტაცია.

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან და ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებების შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

შემთხვევები

გამფლანგველის დაპატიმრება

მოქ. პავლე მოსტიცკიმ, ა.-კ. საგზაო-სატრანსპორტო კოოპერატივის თანამშრომელმა კარახინში (აზერბეიჯანი), ა. წ. 13 აპრილს, მოსტიცკიმ გაიტაცა 2.000 მანეთი და მიიმალა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა მოსტიცკი დააპატიმრეს თბილისში.

მოსტიცკი გამოტყდა 300 მანეთის მითვისებაში და გაფლანგვაში.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: სტეფანე კირაკოსიანი, ხ. ოსეპიანი და შაქრო დავიდოვი.

აფერისტის დაპატიმრება

გუშინ, დღისით, თბილისის სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა ცნობილი აფერისტი ელიზბარ კონსტანტინესძე ქაჯავარიანი, რომელმაც ამ რამოდენიმე ხნის წინედ თბილისის ზოგიერთ მოქალაქეებს გამოსტყუა 2.000 მანეთამდე.

თავის მოწამვლა

გუშინ, იოდით თავი მოიწამლა ეკატერინე ცინცაძემ. ცინცაძის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

გვამის პოვნა

გუშინწინ, მტკვრის პირას იპოვნეს დამხრჩვალი მამაკაცის გვამი.

გვამი გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

ხანძარი

გუშინ ცეცხლი გაუჩნდა ზორაბაშევის ქ., (№ 22-ში) მდებარე სახლს. ხანძარი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ზარალი ირკვევა.

საქონლის გატანა ყალბი ჩეკებით

ამ უკანასკნელ ხანებში მუშკოოპის მეცხრე მაღაზიიდან (თავისუფლების მოედანზე), ვიღაც ბოროტმოქმედი ყალბი ჩეკებით გაქონდა სხვადასხვა საქონელი. თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ ამ ბოროტმოქმედებას ეწეოდა თ. კ. ცინცაძე და კონსტანტინე გრძელიშვილი. ორივე დაპატიმრებულია.

დაჭრა

გუშინწინ, ვასილ გაბრიელისძე მასლოვმა ჩხუბის დროს დანით მძიმედ დასჭრა პეტრე ვასილისძე მარკინი (მცხ. პეტრიწის მოედანი, № 6). მარკინს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. მასლოვი დაპატიმრებულია.

* * *

ამ რამოდენიმე ხნის წინად ვართან არშაკის ძე ამირხანოვმა მშენებელთა კლუბში დასჭრა გოგი ზაქარიასძე პაპუნაშვილი. ამირხანოვი გუშინ დააპატიმრეს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა.

ქურდობა

გუშინ, გაქურდეს ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერატივის სავაჭრო მაღაზია, (პლეხანოვის პროსპექტი, 112), —წაიღეს 28 მანეთი.

* * *

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის პასუხისგებაში მისცა: სანდრო გოლოსძე ბერაძე, გიორგი ალექსანდრეს ძე აბულაძე, შალვა დიმიტრისძე მარკოზაშვილი, ოგანეზ გიორგისძე გულასპაროვი და ტიგრან მეიერისძე დავითიანი.

მილიციონერის მოკვლა

ქუთაისი, 5 მაისი. 5 მაისს აჯამეთის ტყეში ვარციხის გზის მახლობლად მოჰკლეს ბაღდათის რაიონის მილიციონერი დოგრაშვილი. მკვლელობა ასეთ პირობებში მოხდა: დოგრაშვილს ბაღდათიდან მოჰყავდა ქურდი-რეციდივისტები ძმები ვ. და გ. ინაკავაძეები და მ. სვანიძე, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ სასჯელი ბაღდათის სასამართლოს მიერ. რეციდივისტებმა გზაზე იხელთეს დრო და დაუშინეს ქვები მილიციონერს. ერთ-ერთმა მათგანმა მილიციონერს წაართვა თოფი დოგრაშვილმა ვერ მოასწრო რევოლვერის ამოღება, ვ. ინაკავაძემ მილიციონერი მოჰკლა თოფით. მკვლელობის ჩადენის შემდეგ ძმები ინაკავაძეები მიიმალნენ ტყეში, ხოლო სვანიძე ნებაყოფლობით გამოცხადდა ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციაში.

ვ. და გ. ინაკავაძეები მალე დააპატიმრეს ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა. (ადს).

რკინისგზებზე

გზის დეფიციტი კლებულობს

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ გზათა კომისარიატს წარუდგინა გასული წლის ბალანსი.

ბალანსის მიხედვით გზის ძირითადი ქონება 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის შეფასებულია 338.000.000 მანეთად. წინა წლებთან შედარებით გზის ქონების ღირებულება გაიზარდა 5,19 პროცენტით.

გზის ყველა ხარჯები 1926—27 წელში გამოიხატა 78.000.000 მანეთში ანუ გაიზარდა—30,5 პროცენტით. აქედან ხარჯები მხოლოდ ექსპლოატაციის დარგში უდრიდა 62.840.000 მანეთს (შემოსავალი ამ დარგში გამოიხატა—55.967.000 მანეთში).

ამგვარად ექსპლოატაციის დარგში დეფიციტი უდრის—5.882.000 მანეთს.

წინა წლებთან შედარებით დეფიციტი შემცირებულია.

ფხიზელი მუშა

ამ დღეებში ამიერ-კავკ. რკინის გზებზე შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიაში განიხილეს საქმე გელათ-ხრესილის შუა მიწის ზვავის ჩამოწოლის გამო მოსალოდნელ მარცხის თავიდან აცილების შესახებ.

საქმის ვითარება ასეთია: გელათ-ხრესილის შუა რკინის გზის ხაზზე ჩამოწვა მიწის ზვავი. ეს ამბავი დროზე შეამჩნია გზაზე მიმავალმა მუშამ **გვეტაძემ,** რომელმაც იცოდა, რომ გზაზე ცოტა ხანში უნდა გაევლო მატარებელს და მიიღო ყველა ზომები მარცხის თავიდან ასაცილებლად. მოახლოებული მატარებელი დროზე იქნა გაჩერებული.

გვეტაძეს გამოეცხადა მადლობა და ჯილდოს სახით მიეცა 25 მანეთი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 11 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** შალვა ქარბაძე; სერგო მათევოსიანი; ზურაბ აზარიანცი; არშაკ პოლოსოვი; თედორე სარქისოვი; არშაკ არუთინოვი და გეორგ იორამოვი. **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** მელიტონ მესხიშვილი; მელიქსედეკ გოთოშია და აიკ თათეოზოვი. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** კონსტანტინე წერეთელი; არკადი ზამთარაძე და ვასილ ცხომელიძე.

შოფერების შემოწმება

ახლო მომავალში, დაიწყება შოფერების ფსიქო-ნევროლოგიური შემოწმება (ამ საქმისათვის სპეციალურად მოწყობილ კაბინეტში).

ახალი კოლექტივები

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით შრომის ბირჟასთან დაარსდა შემდეგი ახალი კოლექტივები: ქაღალდის პარკების დამამზადებელი კოლექტივი, რომელშიაც იმუშავებს 75 კაცი; კოლექტივი „რკინისგზელი", რომელიც აერთიანებს 120 უმუშევარს; საშაქარლამო კოლექტივი, რომელთანაც ამ ახლო ხანში გაიხსნება კონფეტების სახელოსნო; კოლექტივი „ჰიგიენა", რომელიც კისრულობს ოჯახებში მრეცხავების გაგზავნას, ვიტრინების დასუფთავებას და სხვა.

მეცნიერება და ტეხნიკა

რადიო-გადაცემა მიწის ქვეშ

რადიო-ტალღები დიდ სიღრმეზე იჭრება დედამიწაში.—ამ დასკვნამდე მიიყვანა ამერიკელი მეცნიერები მიწის ქვეშ რადიო-გადაცემის მიღების ცდებმა. რადიო-გადაცემა ხდებოდა კოლორადოს ნახშირის მაღაროებში. მიღებული იყო ზომები, რომ რადიო-ტალღები მაღაროში არ მოხვედრილიყო მიწის ქვეშ გაყვანილი გზების საშუალებით. ცდების დროს მეცნიერებმა 550 ფუტის (170 მეტრი) სიღრმეზე მშვენივრად მიიღეს რადიო-გადაცემა. სიღრმის ზრდასთან ერთად გადაცემა სუსტად ისმოდა, მაგრამ გამოირკვა, რომ რადიო-ტალღები აღწევენ მაღაროს უღრმეს ადგილებამდე. აღსანიშნავია ის, რომ რაიონი, სადაც ცდებს ახდენდნენ, კლდოვანია. ამრიგად, რადიო-ტალღებს ჰქონია დიდი ძალა, რომელსაც მიწის ღრმა ფენაც ვერ აკავებს.

რამდენ ხანს ვიარსებებდით უმზეოთ

ჩიკაგოს (შეერთებულ შტატებშია) უნივერსიტეტის პროფ. ელვეიმ გამოიანგარიშა, თუ რამდენ ხანს იარსებებდა დედამიწა იმ შემთხვევაში, რომ მზე, რაიმე კატასტროფის გამო, დაიშალოს.

დაკვირვებებმა, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში ახდენდენ ვარსკვლავებზე (ჩვენი მზეც ვარსკვლავს წარმოადგენს სამყაროში), ცხადყვეს, რომ ისინი, ჯერ გამოურკვეველი მიზეზების გამო, ზოგჯერ ფეთქდება. უკანასკნელი ასეთი კატასტროფა მოხდა წარსული წლის აგვისტოში, როცა აფეთქდა ვარსკვლავი Nova Aquilae.

მაშასადამე, ადვილათ შესაძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი მზეც აფეთქდეს და დაიშალოს. ამ შემთხვევაში დედამიწაზე სიცოცხლე კიდევ იარსებებდა 138 საათს. ამ ვადის შემდეგ კი მზის აფეთქების დროს გამოტყორცნილი გავარვარებული გაზები მოაღწევდენ დედამიწის ზედაპირამდე და ყველაფერს გადასწვავდენ.

ნარევი

ბანდიტების კლუბი

ერთმა ნიუ-იორკელმა მილიონერმა, რომელიც თავის ცოდვებს ქველმოქმედებით „ინანიებს" ააგო ხუთსართულიანი შენობა, სპეციალურად დანიშნული ყოფ. პატიმართა კლუბის მოსაწყობათ. ამ კლუბში უკვე ჩაწერილია 300 კაცი. კლუბში მიღება მეტად გაძნელებულია. ქველმოქმედმა მილიონერმა მიღებისათვის დააწესა ისეთი პირობები, რომელთა შესრულება შეუძლებელია ზოგიერთ ბოროტმოქმედთათვის. ერთი ასეთი პირობათაგანია „სტაჟი": კლუბში მიიღებენ მხოლოდ ისეთ პირს, რომელმაც ორი წელი მაინც დაჰყო ციხეში. ამ წესს მტკიცედ იცავენ. ამერიკული გაზეთების ცნობით, ამ რამდენიმე ხნის წინად სამ ახალგაზრდას უნდოდა ამ კლუბის წევრად გახდომა, მაგრამ უარი უთხრეს რადგან მათი ბანდიტური სტაჟი არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი და, ალბათ, იმ მიზნით, რომ სხვა ბანდიტებს არაფერში ჩამოუვარდებოდნენ ,მათ იმავ დღეს გაძარცვეს კლუბი. ბანდიტთა კლუბის გამგეობამ დახმარებისათვის მიმართა პოლიციას.

ვის აქვს შარვლის ტარების უფლება

აღმოსავლეთ აფრიკაში არის ოლქი, სახელწოდებით სომალი, რომელიც იტალიის კოლონიას წარმოადგენს, იქაური შავკანიანი მცხოვრებნი წინად შიშველი დადიოდნენ, მაგრამ რამდენიმე წელია, რაც ადგილობრივმა მამაკაცებმა დაიწყეს შარვლის ჩაცმა. სომალის გუბერნატორი, ფაშისტი, როგორც სჩანს, ფიქრობს, რომ შარვლის ტარება—ეს, ასე ვსთქვათ, მხოლოდ ევროპიელების მონოპოლიას წარმოადგენს და ამიტომ შავკანიანებს აუკრძალა შარვლის ტარება. ბრძანების შეუსრულებლობისათვის დამნაშავე დაისჯება: როზგის 25-ჯერ დარტყმით და 2 წლის ციხით.

სომალიელების მთავარს—აბდი-ზეიეს განზრახული აქვს გუბერნატორის ეს ბრძანება გაასაჩივროს ერთა ლიგაში, რომელმაც მანდატი სომალზე გადასცა იტალიას.

ამრიგად ერთა ლიგის მოლაყბეებს მოემატება კიდევ ერთი საკითხი თავის „მჭერმეტყველობის" გამოსაჩენად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მინდობილობათა აღსრულებისათვის კონტროლის გაწევის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თვალყურის დევნება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დავალებათა და მინდობილობათა თავის დროზე და სისწორით აღსრულებისათვის დაეკისროს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას.

შენიშვნა: საქართველოს. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონ. საბჭ. საქმეთა მმართველობა ამა დადგენილებაში აღნიშნულ ფუნქციებს განახორციელებს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს მეშვეობით.

2. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნო ყველა იმ საკითხის გამო, რაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის დავალებათა და მინდობილობათა შესრულებასთან არის დაკავშირებული, უშუალოდ მიმართავს მოკავშირე აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავრობებს და აგრეთვე რესპუბლიკურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

3. დადგენილ იქნეს შემდეგი წესი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დავალებათა და მინდობილობათა შესრულების ვადის დანიშვნისა და შეცვლისა:

ა) მინდობილობის შესრულების ვადას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს გამგე, როგორც საერთო წესი, შეუთანხმებს დაინტერესებულ უწყებას და დაწესებულებას და ამ ვადას დაამტკიცებს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე;

შენიშვნა: ს.ს.რ. კავშირის ან ა.-კ. ს.ფ.ს.რ. მთავრობათა დავალებაზე დამყარებული მინდობილობის შესრულების დროის აღნიშნული ვადა იმ ანგარიშით უნდა იქნეს დადგენილი, რომ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს შეეძლოს მიეცეს თავის დროზე შესასრულებლად ზემოხსენებული ორგანოების დავალება.

ბ) აღნიშნული წესი არ გავრცელდება ისეთ მინდობილობაზე, რომლის დაყოვნებაც არ შეიძლება; ამგვარ მინდობილობის შესრულების ვადა უშუალოდ დადგენილ იქნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ან ეკონომიური საბჭოს სხდომაზე ან ამ ორგანოთა თავმჯდომარის მიერ ანდა თავმჯდომარის მოადგილის მიერ;

გ) მინდობილობის შესრულების ვადის გაგრძელება შეიძლება გამონაკლის შემთხვევაში; ამასთანავე მინდობილობის განსაზღვრულ ვადაზე შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მიზეზის აღნიშვნით, უნდა ეცნობოს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს წინასწარ, ყოველ შემთხვევაში, მინდობილობის შესრულების ვადის გასვლამდე. უკეთუ მინდობილობის შესრულების ვადის გაგრძელება აუცილებელია, საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნო, რესპუბლიკანურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, დაადგენს მინდობილობის შესრულების ახალ ვადას და წარუდგენს მას დასამტკიცებლად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს.

4. მინდობილობის შესრულებისათვის თვალყურის დევნება სათანადო უწყებაში დაეკისრება სახალხო კომისარს (ან დაწესებულების პასუხისმგებელ ხელმძღვანელს) ან ერთ-ერთ მის მოადგილეს, რომელიც დავალების მიღებისას შეიმუშავებს მუშაობის გეგმას, გაანაწილებს მუშაობას თავის აპარატში, დანიშნავს პასუხისმგებელ აღმსრულებელს აღნიშნული დავალებისათვის და მის დანიშვნას აცნობებს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს.

5. განსაზღვრული მინდობილობის ვადაზე შეუსრულებლობისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი მიეცემა პასუხისგებაში, როდესაც საქმის გამოკვლევა საჭირო არ არის— საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის განკარგულებით, ხოლო როდესაც საქმის გამოკვლევა საჭიროა—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მინდობილობათა შეუსრულებლობის მიზეზის სასწრაფო გამორკვევა, როგორც კი ამის შესახებ აცნობებს მას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სამდივნოს გამგე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**ს. ჟუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე—**ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 20.

პარტიული კალენდარი

დღეს, 11 მაისს საღამოს 7 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან არსებულ ამ. ლ.-კ.-კ. უჯრედის დახურული კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდნენ 6 საათზე.

* * *

სახ. უნივერსიტეტის ამ.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი იტყობინება კომკავშირელთა საყურადღებოთ, რომ სწარმოებს ერთდღიური სასწრაფო რეგისტრაცია. ვინც არ გამოცხადდება რეგისტრაციაზე ცალ-ცალკე ბიუროების ტეხნიკურ მდივნებთან მექანიკურად გამოირიცხება კავშირიდან.

რეგისტრაცია დაიწყება შაბათს, 12 მაისს, დილის 8 საათზე და დამთავრდება საღამოს 9 საათზე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კავშირის წევრს ნესტორ თავზერიძეს № 5339

1924 წლიდან 1926 წლამდე ვმსახურობდი ა.-კ. რკ. გზ. დაცვის 1 რაზმში. 1926 წლის 10 აპრილს სამსახურის საჭიროებისათვის გადაყვანილ ვიყავი სად. ხაშურის რკ. გზ. მცველთა არა სამხედრო ჯგუფის უფროს ქმედად, სადაც როგორც მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, გადმოვიყვანე სად. ქუთაისიდან ჩემი ცოლი 4 მცირე წლოვანი შვილებით. 1926 წლის 5 ოქტომბერს ჩემი თანამდებობა გაუქმებულ იქნა და დავრჩი შტატ გარეშე, რის გამო ჩავერიცხე სამხედრო რაზმში მსროლელის თანამდებობაზე. ვინაიდან ეხლანდელი სამსახური მაიძულებს უკანვეგადავიყვანო ცოლ-შვილი ქუთაისში, მოვითხოვე ამისათვის რონოდა, მაგრამ უარი მითხრეს.

თუ შევძლო ცოლ-შვილის გადაყვანა საკუთარი საშუალებით, მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ან მერგება თუ არა ფული ხაშურში გადმოყვანისათვის, ვინაიდან ეს გადმოყვანა გამოწვეული იყო სამსახურის საჭიროებით?

პასუხი

ვინაიდან თქვენი შეკითხვებიდან სჩანს, რომ თქვენ სამხედრო დაცვის რაზმიდან გადასულხართ სამსახურში არა სამხედრო ჯგუფის ქმედად, თქვენი ამ უკანასკნელი თანამდებობის დაკავება უნდა ჩაითვალოს სამსახურში ახლად შესვლად, რის გამო თქვენზე არ გავრცელდება ის წესები, რაც არსებობს დახმარების აღმოჩენისათვის სამსახურში გადაყვანის დროს. აგრეთვე თქვენი გადასვლა არა სამხედრო ჯგუფიდან სამხედრო რაზმში მსროლელად არ ჩაითვლება სამსახურში გადაყვანად, ამიტომ თქვენ ვერ მიიღებთ დახმარებას ოჯახის გადასაყვანად ვერც ქუთაისიდან და ვერც ხაშურიდან ქუთაისში.

კავშირის წევრს № 2017

კითხვა:

ვმსახურობდი და ეხლაც ვმსახურობ ქალაქის აღმასკომში. 1926 წლის აგვისტოში დამაპატიმრეს როგორც თანამონაწილე ისეთ გაფლანგვაში, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა ჩემს სამსახურთან. დაპატიმრებული ვიყავი ერთი თვე და სამი დღე. შემდეგ თავდებობით გამომიშვეს, სამსახურში აღმადგინეს, მაგრამ იმ ერთი თვისა და სამი დღის ხელფასი არ მომცეს. აღ. საქ. ოლქის სასამართლომ კი სრულიად გამათავისუფლა ბრალდებისაგან, როგორც უდანაშაულო.

მაქვს თუ არა უფლება მივიღო ხელფასი იმ ერთი თვისა და სამი დღის, რომლის განმავლობაში ვიყავი დაპატიმრებული?

პასუხი:

რადგანაც იმ სისხლის სამართლით დასასჯელ მოქმედებას, რომელიც თქვენ გბრალდებოდათ, არ ჰქონია უშუალო კავშირი თქვენს მუშაობასთან, ადმინისტრაციას შეეძლო არ მიეცა თქვენთვის ხელფასი იმ ერთი თვისა და სამი დღის, რომლის განმავლობაში თქვენ იყავით დაპატიმრებული, თუ ამის შესახებ ადმინისტრაციას ჰქონდა მიცემული დასტური შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ (ა.-კ შრომის კომისარიატის 1925 წლის 16 იანვრის განმარტება შრომის კან. კოდექსის მე-47 მუხ. შესახებ).

ღრმად დამწუხრებული რაისა ნიკოლოზის ასული ინაშვილი აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მისთვის უძვირფასესი დაუვიწყარი მეგობარი

ნიკოლოზ ალექსის-ძე ჭანკვეტაძე

გამოსვენება 11 მაისს, 3 საათზე, ბინიდან—ვეძინის ქუჩა № 5. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2322

ღრმად დამწუხრებული დები: ვერა, ელენე, ძმები: ილიკო, ვიქტორი, კოტე. ბიძები, მამიდა და მეგობარი რაისა ინაშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 8 მაისს, საღ. 5 ნახ. ს. გარდაიცვალა პირველთათვის დაუვიწყარი უფროსი ძმა, უკანასკნელთათვის სასიყვარულო ძმის-წული

ნიკოლოზ ალექსის-ძე ჭანკვეტაძე

გამოსვენება მოხდება 11 მაისს, 3 საათზე, ბინიდან—ვეძინის ქ. № 5, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2321

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი თანამოსამსახურის და გულითადი მეგობრის ილია ჭანკვეტაძის ძმის

ნიკოლოზ ალექსის-ძე ჭანკვეტაძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება პარასკევს, 11 მაისს, დღის 3 საათზე, საკუთარ ბინიდან—ვეძინის ქ. № 5. 2330

საქართველოს კომუნალურ მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრთ, რომ ა.-წ. 8 მაისს გარდაიცვალა ჩვენი კავშირის წევრი ტრამვაის მუშათა კლუბის ყოფ. ინსტრუქტორი ძველი კულტურული მოღვაწე ამხ.

ნიკოლოზ ალექსის-ძე ჭანკვეტაძე

გამოსვენება პარასკევს, ა.-წ. 11 მაისს, ბინიდან—ვეძინის ქ. № 5, დღის 3 ს., 2336

კვირას, 13 მაისს, დილის 12 საათზე, ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე უდროოდ გარდაცვალებულის

ილარიონ ანტონის ძე ხაზარაძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს უღრმეს მწუხარებაში მყოფნი მეუღლე გულჩინა გაიოზის ასული ხაზარაძისა შვილებით. 2314

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი შვილები: ანა დიმიტრის ასული გოგელიასა შვილებით, ელენე დიმიტრის ასული კვიტაშვილისა, სიძე ალექსანდრე დავითის ძე კვიტაშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ქეთევან (თაფლო) ევგენის ასული პახიძისა

ხსოვნის აღსანიშნავად ქ. ქუთაისში კვირას, 13 მაისს 12 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2327

გულდათუთქულნი დედა ანნა, დეიდა ნინო, დისწულები: ელენა და ლიზა, სიძეები: ნიკოლოზ მეზვრიშვილი, დიმიტრი კალმახელიძე შვილებით, დეიდაშვილები გიორგი, ვანო და ვერა პიჩინაძეები და ნიკოლოზ, ლიზა, ვარინკა მჭედლიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი მუდამ დაუვიწყარი

ზაქარია იოსების ძე სიდამონიძე

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 12 საისს, დღის 2 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი—დღეს, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან 1 თუმანოვის ქუჩ. № 17 კუკიის სასაფლაოზე 2324

ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე ლიზა, შვილი ზაინკა და მამა იროდიონი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფას და დაუვიწყარ

ვასილ (ვასო) იროდიონის ძე რეხილაძის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 საათზე—კალინინის ქ. № 22 (ყოფ. ნიკოლოზის) გამოსვენება 12 მაისს 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. (შ)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამი, შვილები გიორგი, თამარა, მარო და ელო, სიძეები: დავით შავდია და იაკობ ლაფელაშვილი; შვილიშ-შვილები: მზია და ლია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორეთა მამა, მესამეთა სიმამრი და უკანასკნელთა დიდი პაპა

ალექსანდრე გაბრიელის-ძე ყარაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 12 მაისს, საღ. 7 საათზე, საკუთარ ბინაზე (პლეხანოვის გამზ. № 75), გამოსვენება კვირას, 13 მაისს, 12 საათზე, ბინიდან—ახალი ვერის სასაფლაოზე. (ე)

სახკინმრეწვის კინოები

აპოლო	პარიზის უკანასკნელი ახალი სურათი	ორი ქმარის ცოლი	
არფასტო	მეორე კვირა	გორა	დადგმა რეჟისორ — კ. მარჯანიშვილის.
სოლეი	უცხოეთის მხატვრული სურათი	„სიკვდილი მასკარადზე"	
ოდეონი	უკანასკნელად თბილისში	„ნამდვილი მამაკაცი"	კარმენ ბონის მონაწილეობით
დარბაზი	პირველად თბილისში მხატვრული სურათი	„ახალი ქარი"	
პროლეტარი ავლაბარი	საინტერესო სურათი	„ნიღაბი ახდილია"	(ბელვედერის ჩრდილები)

ანონსი: მალე საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული სურათი „გოშური სისხლი" 0—7

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს, 12 მაისს დილის 10 საათზე, ალავერდოვის ქ. № 1 ფინსახკომისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება 200 ვედრა ღვინო და 23 ცალი სხვადასხვა ზომის ცარიელი ბოჩკები ნ. 1074

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამარ. აღმასრულებელი დ. აშორდია
ამით აცხადებს, რომ 31 მაისს, 1928 წ. დილის 7 საათზე, სახლში № 20, ქ. ქუთაისში, ცაცხვების ქუჩაზე მე-2-რე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის **ვარლამ განუგრავას ქონებას.** ერთი ხის და აგურის სახლს, რომელიც შეიცავს ოთხ საცხოვრებელ ოთახს. აგრაფინა ჩიქოვანის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია ორასი (200) მანეთად, საიდანაც დაიწყება ვაჭრობა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. საპრ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 1075

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12 საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.
25—1 ტელ. 12—76

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აპოფაშვილი
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა.
ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—9

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორისის ქ. კუთხე.

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 1 6—ნიკოლოზ გუჯაბიძეს სახელზე, ჩ. გ. 2335

დაიკარგა: მელითონეთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 650 742 ლუარსაბ ალ-ძე ებანოიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1 63

დაიკარგა: პირადი წიგნაკი, მოცემული როზოვო პავლოვის რაიონიდან პასპორტი და პროფკავშირის წიგნაკი ნიკოლოზ ივანეს-ძე პაპოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1075

დაიკარგა: პირადობის მოწმობა, გაცემული ხობის სამხედრო მაგიდის მიერ № 344 ილარიონ თათარიშვილის სახელზე ჩ. გ. 2329

დაიკარგა: ცხრა წლედის დამთავრების მოწმობა დიმიტრი კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძეს სახელზე, ჩ. გ. 2331

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი სამსონ ფირცხალავას სახელზე, ჩ. გ. 2333

დაიკარგა: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 6450 ნიკოლოზ ლალაძაშვილის სახელზე ჩაით. გ. 2321

დაიკარგა: სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა, გაცემული ოზურგეთის სამხ. უწყების მიერ ტარიელ დოლიძეს სახელზე, ჩ. გ.

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68